

გადგრიძენ გუნია.

# ქართული თეატრი

(1879—1889)

## მინარე

- I. სახსოვრად ქართულის სამედამო სცენის ათის წლის  
თავისა, ლექსი. II. წინა-სიტყვაობის მაგიკად. III.  
ქართულის თეატრის დასაწყისი და მისი თავგადასა-  
ვალი. IV. ქართული სამედამო სცენა (1879—1889).  
V. რა ეჭირვება ქართულს თეატრს—IV. ქართუ-  
ლი დრამატურგები. VII. ქართველი არტისტები.  
VIII. ღრამატული ხელოვნება. IX. სასცენო ხე-  
ლოვნება. X. თეატრის მნიშვნელობა.

თბილისი

1889



ମୁଖ୍ୟମନ୍ତ୍ରୀ ପାତ୍ରଙ୍କିଳୀ

გადერიან გუნია.

# ქართული თეატრი

(1879—1889)

2/593

## შინაარსი

- I. სახსოვრად ქართულის სამუდამო სცენის ათის თავისა, ღუქსი. II. წინა-სიტყვაობის მაგიერად. III. ქართულის თეატრის დასაწყისი და მისი თავგადასავალი. IV. ქართულის სამუდამო სცენა (1879—1889). V. რა ქტირვება ქართულს თეატრს? — IV. ქართველი დრამატურგები. VII. ქართველი არტისტები. VIII. დრამატული ხელოვნება. IX. სასცენო ხელოვნება. X. თეატრის მნიშვნელობა.

## თბილისი

ზრ. ჩარკვეიანის სტამბა. || Типографія Гр. Чарквіані.

1889



Дозволено цензурою, Тифлісъ. 1 Сентября 1889 г.

Типографія Г. Чарквіані, на Лор.-Мелик. ул. д. Зубалова.

## კუბლი:

ჩართულის სამუდამო სცენის მუშაკებს.

ჩალ-არტისტებს: მ. საფაროვანიძეს, ნ. გაბუნია-  
ცავარილისას, ქნ. ბარ. ავა-  
ლოვისას, ქეთ. ანდრონიკოვისას  
(კახიძესას), ბარ. მელიქოვა-  
როვისას, ნ. თამაროვისას (იანა-  
თამოვისას) ბ. კორინთელს (ეიფ-  
შიძესას), ლ. ჩერქეზიძეილისას,  
გ. მმინაროვისას (ლეონიძესას)  
და სხვათა.

ვაჟ-არტისტებს: ვ. აბაშიძეს, ქ. უიფიანს, ვლ.  
ალექსი-მესხი ევს, კოტე. მესხს, ნ.  
ჯორჯაძეს, დ. აწეურელს, (გამ-  
ერელიძეს) ა. მოხევეს (ეაზიბეგს)  
ი. ცაგარელს, ვიქტ. გამერელიძეს  
კონს. მაქსიძეს (მმინარაძეილს)  
და სხვათა.

# სახსოვნალ

ქართულის სამუდამო

სცენის ათის წლის თავისა.

ქართულის სცენის დაარსებიდამ  
შესრულდა სწორედ დღეს ათი წელი  
და ამ დღეს უნდა კეკებებიდეთ  
სრულ სისარულით უკერა ქართველი.  
თუმც დიდი ხანი არ არის ეს დრო,  
თუმცა ნორჩია დღეს ისევ სცენა,  
თუმც ჩვილი არის და უსუსური,  
თუმც ახლადა აქვს ადგმული ენა,—  
მაგრამ დიდია მისი ნაღვაწი,—  
უნდა მივიღოთ, ვით ღვიძლი შვილი;  
კელა თავიდან მოკიდებული  
ჯერ ქორფა არის, ნორჩი და ჩვილი;  
მაგრამ როდესაც გაივლის ხანი,  
გაუმაგრდება ძვალი და ობილი,  
მაძინ დაიდგამს კვირკვინს დაზნისას,  
ისე ვით მეტე ძლევა-მოსილი...

როგორც სხვა საქმეს ჩვენში, თეატრისაც  
დახვდა პირველად გვა უველვან მოუდე,  
მავრამ მან უველას სძლია და ქართველთ  
გულში აიგო სიმტკიცის ბუდე.

სასურველია მოჭქონდეს უველას  
სრული ნაუოფი—ვით ქართულ სცენას—  
უველა ამ რიგად გვახალისებდეს,  
გულზედა კვლენდეს შვებას და ლსენას...

კურთხეულ იყოს ის, ვინც პირველად  
თეატრი ფეხზე წამოაუენა,  
ვინც არ დაზოგა შრომა და ლაპრლი  
არ დაიშურა მახვილი ენა,—

ვინაც არაფრიდ არ მიიჩნია  
კუთილ საქმისთვის ტანჯვა-ზიანი,  
გასჭრა პირველად და გაიარა  
გვა ოლოო-ჩოლრო და ექლიანი,  
უური არ უვდო არასუერ მიზებს  
და წაუმლეული ალბეჭდა კვალი;  
ბნელს, უმეცრებით მოცულ მხარეებს  
მოავლო უველბან გონების თვალი!

თანამერძნობელი.

## ამხანაგებო!

დღეს შესრულდა სწორედ ათი წელიწადი მას აქეთ, რაც თქვენ პირველად გამოსვედით ახლად დარსებულ ქართულ სცენაზე.

ათი წელიწადი დადი ხეხი არ არის, მაგრამ, ვის გვამშიაც ძარღვი და ხესხლი მუდამ მოძრაობს, ვინც შვილთვით და საღველით ცხოვდებს, ჯავით ღვთვა ღვრის და ვისაც გჭლის-თქმა გონებისათვის ვერ შეუთანხმებია, კრთის სიტყვით, ვინც მოქმედებს სცენაზედ, მისთვის ათი წელიწადი ნახევრ საუკუნეს უდრის.

ამიტომ უგელასათვის აშეარად გასაგებია დღევან-დევი თქვენი დაქსასწაული და ხისარული, — დღესასწაული კელიანის და ღვარმლიანის გზის გამოვლისა, ხისარული ძალ-მოძრეობისა და უმეცრების ძლევისა.

ამ ათის წლის განმავლობაში, თქმა არ უნდა, რომ თქვენ ბერი გიმოქმედნიათ ჩეხი სცენისათვის და თქვენთან ერთად კიდევ უგელა იმათ, რომელიც ასე თუ ისე ეშვახურებოდნენ, უგლიდნენ და მხარს აძლევდნენ ჩვენის ძვირფასის ქრონიულის თეატრის აღმოჩინებას. უკერ-ლია, კერძოდ თქვენთვის და საზოგადოდ გვმდა ქართვე-ლი კაცისთვის მეტად საგულის-სმიერთ და სასურველი იქნება, მოგონება და თვალ წინ სურათად წარმოდგენა იმისა, რაც მოგიმკით ამ ათი წლის განმავლობაში.

მე თითქმის უკანასკნელ დღემდე მოკელოდი, რომ ვინმე ჩვენის სცენის გულ-შემატევიარი ქართველი იკი-სრებდა ჩვენის სამუდამო თეატრის ნამოქმედარის ანუ-

სხვას, ჯამის შედგენას, მაგრამ ჩემი მოლოდინი არ გა-  
მართდა, ხმა არავის აშლულია. სამწუხაოთ-კია, მაგრამ  
რას იქ! ეს ნიშანია ჩვენს ძვალ-რბილში გამჯდარ გულ-  
გრილობისა და იმავე ღროს ნათლად გვიმტკიცებს, რომ  
თქვენი საქმე ჯერ არ დაგვირგვინებულა და გასაკლები  
გაქვთ კედებ დაუჯილდებულისა და თავ-გასწირულის  
შრომის და ჯაფის გზა.

მსოლოდ ზემოთ მოუვანილმა გარემოებამ და სცე-  
ნის უსამზღვრო სიყვარულმა გამაბედვინა კისრად ამედო  
ის სამძიმო მოვალეობა, რომელიც სხვებს ჩემზე ბეკ-  
რად ჭირა-გონებით ღონივრებს, ცოდნით და გამოცდი-  
ლებით მდიდრებს უფრო შეშვენდებოდა და მოეხერხე-  
ბოდა; მაგრამ რა გაეწყობა! სულ არარათისა ჩემი წიგ-  
ნავი თუ არაფერს შეგვძარებს, სომ არას დაგვაქლებს მაინც.

ამ წიგნავში მე გაკვრით მოვისხენიებ უპელაფერს  
ქართულ სამუდამო სცენის შესასებ რაც-გი ვიცი და მი-  
სასავს. შესაძლებელია და დარწმუნებულიდა ვარ, რომ  
ჩემ წიგნავში ბეკრ შეცდომა იქნება, რადგან სხვების  
მოლოდინში პრიელ ცოტა ღრო დამრჩხა და მეტად გზა-  
რობდა, რომ დღეგანდებული დღისათვის მომესწორო რაც  
უნდა იყოს ამ წიგნავში განზოახვით და პირ-მოთხეო-  
ბით არაფერია დაწერილი. იქნება ზოგიერთ შემთხვე-  
ვაში კცდებოდე — ეს შესაძლებელია: შეცდომისაგან და-  
სიზნული არვინ არის, მაგრამ ჩემი შეცდომა უცოდვებ-  
ლია, იგი შედეგია უფრო გრანტულობისა და არა რა-  
იმე პირადის მოუკრობისა ან ტელებისა, თორუებ თქვენ  
თვითონ დარწმუნდებით ამაში წავითხვის დროს.

ვალერიან ბუნია:

## ქართულის თეატრის დასაწყისი

და

### მისი თავგადასავალი.

ყოველ საქმეს საზოგადოდ და განსაკუთრებით საზოგადოებრივს საქმეს, როგორც საზოგადოებრივის თვით მოქმედობის წარმოებას, ვით ყოველს სხეულს ბუნებისას, უეჭველად აქვს თავისი დასაწყისი, ამ ღასაწყისის ზრდა და განვითარება და მიმდინარეობა ე. ი. თავისი ისტორია.

ესე ითქმის ქართულ თეატრზედაც.

მართალია ქართულის თეატრის ისტორია მდიდარია არ არის და ერც არა ვინ მოსთხოვს მას ისტურიულს სიმდიდრეს, რადგან ყოველს საქმეს და მეტადრე თეატრს ისტორიულის სიმდიდრისათვის ეჭირვება დრო დაფამი, ხოლო ქართულს თეატრს ფამი და დრო მეტად მცირე ჰქონია, მაგრამ შედარებით სხვა საზოგადოებრივ საქმეებთან მაინც ამ მოკლე ხანში ისეთი კვალი დაამჩნია ჩვენს ეროვნულს ცხოვრებას, რომ მისს უარყოფას მარტო ზრმა და ყრუ თუ გამედავს, თორემ სხვა ვერავინ.

ქართულის თეატრის პირველი თესლი ნიადაგში ჩავარდა მე-XVIII საუკუნის დამლევს, როდესაც საქართველოს ერის თავისთავადობა უკანასკნელ ღონემდე იყო მიწეული და როდესაც ერთის ძხრით გარეშე მტრების მუდმივმა შემოსევამ და მეორეს

მხრით შინაურმა გახნეთქილებამ ისტე დაასუსტა  
ოდესმე ტურუად და დიდებულად აგვეზული ივე-  
რია, რომ არამც თუ თეატრი, მისი აღორძინება და  
საზოგადოთ სულიერი ცხოვრება, არამედ პირეელი  
ადამიანური მოთხოვნილებაც, როგორც მაგალითად  
ჭამა-სმა, ოჯახის მოვლა და შეილების აღზრდა,  
მოსვენება და ლოცვაც-კი ფიქრად არავის მოსდი-  
ოდა, რადგან უველაფერი სალალბედო იყო.

ამისთანა უბედურს დროს, რა თქმა უნდა, ძნე-  
ლად თუ აღორძინდებოდა რამე საზოგადოებრივი  
და მით უფრო თეატრი, რომელიც დიდს მოვლას  
და სიფაქიზეს თხოულობს. მაგრამ რაც უნდა იყვეს  
მე-XVIII საუკუნემ საზოგადოთ მთელს კაცობრი-  
ობის ცხოვრებას საოცარი წარმატების ბეჭედი და-  
კრა, რაიცა საქართველოსაც დატყო.

რაც უნდა ითქვას მე-XVIII საუკუნისა, მაინც  
ეს საუკუნე მთელს დედა-მიწის ზურგზე ყოველის  
მხრით შესანიშნავია. ამ საქვეყნო მოძრაობას არ  
ჰყდენია საქართველოც. ამა დაკაცირდით კარგათ  
რამდენს საოცარს მაგალითს შეხედებით. განუ-  
წყვეტელი ომები დიდებული ირაკლის წინამძღო-  
ლობით, სისხლის ღვრა, მტერთა ხან შემოსევა და  
ხან გაძევება, რამდენიგმირი ქალთა თუ გაეთა შო-  
რის, რამდენი ზნეობით დაცემული გაყრვნილი,  
მოღალატე, შურიანი ერთად ირევა, თოფ-ზარბაზ-  
ნის გრგვინვესადა ქუჩილშეა, ხმალ ხანჯლის ჭახა-  
ჭუშში გაიმის დამშვიდებული მწიგნობრის ქადა-  
გება და ცხოველი სიტყვა. იქ იხსნება სკოლები, იქ

თთარების უცხო ენიდამ ასამეცნიერებით წიგნები ერთსა და იმავე დროს ჩაინგრეფა საქმე და მიწასონა სწორდება; ხან კალევ ხელახლად შენდება და ამ ვალევა გლახში ბრძოლასა და შრომაში, ალორძინ ებას დანგრე კაშა ქრისტული თეატრიცაპირებს თავის გამოყოფას და მალე კაშლებოდა კალევ, მაგრამ, როგორც ზემოდ უსთქვით, მე-XVIII საუკუნეში და მეტადან მის დაძლევები საქართველოს მატორიული არსებობის და თეით მყოფელობის ვარსკვლავი თითქმის მიწურული ჩამოვალი დამოუდა.

ამას შემდევ გავიდა თითქმის ერთი საუკუნე და ქართველმა ერთა სრულებით სხვა ფერიდაკალო მიიღო; გარემოებამ სულ სხვა ქერქსა და ტყაფში ჩასეა ქართველთა საქმე და თეით მათი ბედ-ილბალიც.

1845 წელსა საქართველოს ნამესტნიკად (ხელმწიფის მოადგილეთ) დანიშნულ იქმნა თეადი ვორონოვის ცორონცოვის ჩამოსვლისათანავე საქართველოში იწყება ეროვნული მიმდინარეობა, თუმცა უნდა გამოვტყდეთ, რომ ხენების მიმდინარეობას იმდენი არაფერი სიკეთე მოუტანია, რავდენ-საც ზოგნი ელოდნენ და ზოგთ დღესაც სჯერათ.

იმხანებში თბილის, საქართველოს დედა გულაში თეატრი არ იქნა და თავი ეორონცოვმა, როგორც ჭყანანმა და შორს გამჭვრეტმა დიპლომატმა აუცილებელ საქიზოებად სცნო რესულ თეატრის დაარსება, რაიცა შეასრულა კიდევ. ამ ხანებშიც ცორონცოვმა მოიწადინა ქართულის სცენის

გამართვაც; ამისათვის დაიბარა თავალი გიორგი ერის-  
და მას მიანდო წარმოდგენის გამართვა. გ. ერის-  
თავი გულმოდგინ ედ შეუდგა ამ მისთვის სანატრელს  
საქმეს და რამდენისამე ხნის შემდევ მოამზადა მო-  
თამაშენი და 1850 წლის 2-ს იანვარში გაიმართა  
პირველი ქართული წარმოდგენი, რომელშიც მო-  
ნაწილეობდენ მაშინდელი უველა განათლებული ქარ-  
თველები. ითამაშეს გ. ერისთავის ახლად დაწერი-  
ლი კომედია „გაყრა“, რომელიც ძრიელ მოეწონა  
ხალხს და ამ გვარად პირველი საძირკველი ქართუ-  
ლის თეატრისა უკვე მტკიცელ ჩადგმულ იქმნა სა-  
ზოგადოების გონებრივსა და სულიერს მოთხოვნი-  
ლებაში.

გ. ერისთავისაგან დაწყებული საქმე ჩინებუ-  
ლად მიღიოდა, სანამ თავ. ეორონცოვი ნამესტნი-  
კად იყო, ხოლო მის შემდევ საქმე შეფერხდა და  
მოლოს სრულებით მოისპო. ეორონცოვის ნამეს-  
ტნიკობის დროს ქართულს სცენას ხაზინისაგან ყო-  
ველ წლივ (შემწეობა) ეძლეოდა, ხოლო 1885 წელს  
ქართულს თეატრს შემწეობის უარი უთხრეს და  
საქმე მოშალა.

რაც უნდა იყოს ხუთის წლის განმავლობაში  
ქართულმა თეატრმა ბევრი რამ გააკეთა. თეატრს  
ჰყავდა თავისი სამუდამო დასი ჯამაგირით. სცენაზე  
ადგენდნენ ორგინალურ პიესებს. გ. ერისთავის და  
მისი მარჯვენა ხელის ზ. ანტონოვის პიესები თი-  
თქმის ყეველა წარმოდგენილ იქმნა. ორგინალ პი-  
ესების გარდა გადმოითარგმნა ბევრი უცხო ენის

პიესებიც. ხალხი შექმნია თეატრს და 1855 წლის  
შემდეგ, როცა გ. ერისთავმაც დაანება თავი თე-  
ატრს, ზოგი ყრთებმა საქმის მოუკვარულებმა და ქართუ-  
ლის თეატრის გულ შემატკიცირებმა ჩვენი პატივცე-  
მული მოხუცებულის მუშაკის ივანე კერძესელია  
ძის თაოსნობით შეადგინეს ამხანაგობა, გამართეს  
საკუთარი სცენა, სადაც ორის წლის განმავალობაში  
დიდის ფაი-ვაგლახით ჰმართავდენ წარმოდგენებს,  
მაგრამ ბოლოს ეს ამხანაგობაც მოიშალა და ამ რი-  
გად ჩინებულად დაწყებული საქმე თითქმის სრუ-  
ლებით გაუქმდა. ამასობაში დანიშნეს სხვა ნამეს-  
ტნიკი, ომი ლეკებთან გამწვავდა, საზოგადოებაში  
დატრიალდა სულ სხვა ნაირი გრძნობა, რომელსაც  
შეიძლება „კუჭის მრწამსი“ ვუწოდოთ. უეცრივ ან თე-  
ბული ალი შალე ჩაჭქრა, ამას ზედ მოემატა მის-  
თანა საგრძნობელი ეკონომიური ცვლილება, რო-  
გორც ბატონ-ყმობის გაუქმება, რომელმაც ერთ-  
ხანად ქართული თეატრი სრულებით დავიწყა ჩვენს  
საზოგადოებას.

მართალია, ათასში ერთხელ კიდევ გაიმართებო-  
და ხოლმე კერძო უჯახებში ქართული წარმოდ-  
გენები, მაგრამ იმათ საზოგადო ხასიათი აკლდა და,  
რა თქმა უნდა, იმ ნაყოფს ვერ მოიტანდა, რაც სა-  
სურველი და მოსალოდნელი იყო, მეტადრე ასეთის  
კარგი დასაწყისის შემდეგ.

ამ რიგად ქართული თეატრი დაპბადა გ. ერის-  
თავმა და იმ თავითვე ისრე საფუძლანად შეუდგა  
ამ საქმეს, რამ შედარებით სხვა ქვეყნებთან სწო-

რეთ საოცარი და სამაგალიოთა, ასე შეკრიც ხანში  
იმ გვარად საქმის ჯეროვან დონეზე დაყენება. გ-  
ერისთავთან არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე ზ. ან-  
ტონოვის რომელსაც არა ნაკლები ღვაწლი მიუძ-  
ლვის. თეატრის საქმეში, წერით და მეცადინეობით,  
თამაშობით და გამჭებლობით. გ. ერისთავის და ზ.  
ანტონოვის სახელი, ხანაშ დედა მიწის ზურგზედ ერ-  
თი მაინც ქართველი იქნება დაუეიწყარი დარჩება.  
მით უმეტეს რამ აგრე ნახევარი საუკუნეების დაიმა-  
თებური საქმის მცოდნენი, ნიჭიერნი და ნამდევი-  
ლი უტყუარი მუშაკები ჩვენს თეატრს არ გამოს-  
ჩენია, ფეჭვაბათ, რომანილო მომავალშიაც გამოჩენდეს  
ვინშე.

დიდებულ და კურთხეულ იყოს მათი ხსენე-  
ბა სამარავისოდ და საშეილოშვილოდ!

## ქართული სამუდამო სცენა

(1879 – 1889 წ.)

ამ 1889 წლის 5 სეტემბერს შესრულდა სწო-  
რეთ პირ წელიწადი იმ ლირს შესანიშნავი დღიდამ  
ჩვენი ქვეყნისათვის, რაც ქართული სამუდამო დასი-  
პირულად გამოჩენდა ახლაუ დაარსებულ სამუდამო  
სცენაზე. მართალია, სანჯ სამუდამო სცენა დარ-  
სდებოდა, 1873 წლებიდამ ქართული წარმოდგენე-

მი სმართებოდა დრო გიმოშეებით ხან კლუბებში  
და ხან კერძო ოჯახებში და ზოგი მოთამაშეთაგანი  
თითქმის იმ კლუბის სცენებზე იყვნენ კარგათ და-  
ხელოვნებულნი და გაწერთნილნი, მაგრამ რაც უნდა  
ყოფილიყო, ხენებული კლუბის წარმადგენებე  
უფრო სცენის მოყვარეთა თავშესაჭევი იყო, ვიდრი  
სერიოზული საქმე. თუმცა ისიც უნდა ვსთქვათ,  
რომ იმ კლუბის წარმოდგენებში ბევრად წასწია  
წინ სამუდამო სცენისგამართვის საქმე. იმ დროინდელ  
მოღვაწეთა შორის არ შეიძლება არ დავასახელოთ  
ბ-ნი როინაშვილი, რომელმაც ბევრი სამსახური  
გაუწია ამ საქმეს. სცენის მოყვარენი და წარმოდ-  
გენაზე დამსწრენი თანხათან შეეჩივნენ თეატრს,  
როგორც ერთის აგრძოფე მეორის შეჩით ინტერე-  
სი გაცხოველდა, წარმოდგენების ხალისი გაორკუცდა  
და როგორც ზემოდ ყსთქვით 1879 წლის 5 სექ-  
ტემბერს გაიმართა პირველი ქართულ წარმოდგენა  
ახლად შედგენილ სამუდამო დასისაგან. წარმოადგი-  
ნეს კნ. ბარბარე ჯორჯაძის „რას ვეძებ-  
დი და რა ვპოვე“.

ამ საქმის მეთაურებათ იყვნენ ჩვენი საზოგა-  
დოების წარჩინებულნი პირნი: მარად წეტარ ხენე  
ბული დიმიტრი ყიფიანი, რომლის მთელი ოჯახი-  
ბა იღებდა მონაწილეობას წარმოდგენებში, გიორგი  
თუმანიშვილი, დავით ერისთავიშვილი, ნიკო ავალი-  
შვილი, იოსებ ბაქრაძე, ალექ. სარაჯიშვილი, ილია  
ჭავჭავაძე და სხვანი. ამავე პატივცემულს პირებს მინდო-  
ბილი ჰქონდათ გამოეკვლიათ ამხანაგობის წესდეჭა

რომელიც მალე შეასრულეს. ამ გვარად შესღვადრამა-  
ტიული საზოგადოება მასის გამგებელი კომიტეტით.  
შეაგროვეს ზოგი ხელის მოწერით, ზოგი წინან-  
დელ წარმოდგენებისაგან ცოტა ოდენი ფული  
და საქმეს ბეჯითად შეუდვნენ.

იმ დღიდამ მოყოლებული ქართული წარმოდგენა  
დღემდე არ შეჩერებულა, იმ დღიდამ დაწყებული  
საქმე დღევანდლამდე ჩენდა საბედნიეროდ და სა-  
სიქადულოდ კარგად მიღის და ისრე მტკიცედ და  
ღრმად აქვს გადგმული ფეხეები საზოგადოების მო-  
თხოვნილებაში, რომ დღეს მისი უკულმართად სელა  
ყოვლად შეუძლებელია, თუ კი რაიმე მოულოდ-  
ნელი გარეგანი შემთხვევა და საზოგადოების გულ  
გრილობა ძირს არ გამოუთხრის ამ ჩინებულს და  
ყოვლად სასარგებლო საქმეს.

ქართულს სამუდამო სცენას ბედ-იღბალმა წი-  
ლად არგუნა ჩენი საზოგადოების გამოფხიზლება  
და კიდევ ბევრი სხვა სიკეთის მოტანა ჩენი ქვეყ-  
ნისათვის, რისთვისაც ერი და ქვეყანა დიდის. პატი-  
ვისცემით და ღრმა სიყვარულით მოიგონებს მას.

ბუნებამ იმ თავითვე იმ პირველ ნაბიჯიდამვე  
ისრე უხვად დაჯილდოვა ყოველისავე ნიჭით ქარ-  
თული სამუდამო სცენა და დასი, რომ მისი მომა-  
ვალი დღეგრძელობა ყველასათვის ცხადი და აშ-  
კარა იყო.

ქართულს სამუდამო სცენას უხვად ჰქონდა  
ყველაფერი ის რითაც შეიძლება საქმის რიგიანად  
წაყვანა, ცხოვრების მოედანზე კვალის დამჩნევა, თა-

ვის შემძლებლობის და ძალალონის გაორკეცება, ნიჭის  
და იდუმალ სურვილთა და მისწრაფებათა აღფრთოვა-  
ნება, შომავალ თროთა და უამთა გაცისკროვანება.  
ქართულს საჭუდამო სცენას არ ჰყოლია სხვა სცენებ-  
სავით მთარეველად ოქრო და სხვა ძლიერება ძალის  
მექონეთა, ურომლისოდ ძნელია წელში გაშლა და  
ფეხზე წამოდგომა. მართალია, ჩვენი სცენას და-  
იბადა ქვეყნად ლარიბად და უმწეოდ, მაგრამ სამა-  
გიეროდ დაბადებისათანავე გამოჰყეა იმდენი ნიჭი,  
სიყვარული და გულ-ქველობა, შრომის და ჯაფის  
ხალისი, მეცადინე უბადა ჭაბუკისებური იმედი, შე-  
უდრეველი ხასიათი და ბრძოლის უნარი, რომ მტე-  
რი არ გაახარა და მოყვარე არ აატირა.

იშვიათად თუ მოხდება სადმე იმ გვარად საჭ-  
მეს დაყენება, როგორც ჩვენში სამუდამო სცენის  
საჭმე დაიწყო. იმ ხანებში ჩვენს სცენა ყველაფერი  
ხელს უწყობდა: ერთის მხრით მომზადებული და  
მომწიფებული დრო, საზოგადოების მოლოდინება;  
მეორეს მხრით კარგად მოწყობილი, ნიჭით, შრო-  
მის სიყვარულით სავსე დასი, კარგი, თუმცა პაწია,  
რეპერტუარი, დახელოვნებული და საჭმის შცოდნე  
გამვებელნი, ცოტაოდენი შეძლება — ეს ისეთი სა-  
ბუთები იყო, რომ ყოველს უჩრწმუნო თომასაც-კი  
დაარწმუნებდა და მართლაც მაშინ ყველას სჯერო-  
და და იმედი ჰქონდა ქართული სამუდამო სცენის  
აჰყვავებისა,

ან მართლა შესაძლებელი იყო ვისმე ეჭვი  
აელო ქართული სცენის დღეგრძელობისა? თითქოს

განვება ხელს უწყობდა ჩვენს თეატრს. მას ერთბაშად გამოუჩნდა ოთხი ფრიად ნიჭიერნი. და სასარავებლო მოთამაშენი: მ. საფაროვისა, ნ. გაბუნია; ვ. აბაშიძე და კ. ყიფანი, როგორც ყოველს მაგარს შენობას ეჭირვება ხოლმე თხი დედა ბოძი, თხი კედელი, ისე ჩვენს თეატრსაც გაუჩნდა ოთხი დედა ბოძი, ოთხი საიმედო საძირკველი, რომლებ-შედაც დიდი და ტურფა შენობის აკება შეიძლებოდა. საქმეს უკვე სული ჩაედგა, თეატრს უკვე კედლები ამართულს პქონდა, აკლდა მხოლოდ ჭერის დახურვა და მორთვა-მოწყობა. და აი, აქაც ჩვენს სცენას ბედმა არ უმტკუნა და ერთი მეორე-ზე ზედი-ზედ გამოჩნდენ შემდეგი მოთამაშენი: კნ. ბ. ხერხეულიძის (ავალოვისა), კ. მესხი, ვ. ალექსი-მესხიშვილი, მ. მძინაროვისა, ბ. კორინთელი, მ. ყიფანისა, ნ. თომაშვილი (შიშნივი) ა. მოხევე (ყაზიბეგი), კ. მაქტიმიძე (მძინაროვი) და სხვანი.

ეხლა ჩვენს სამუდამო სცენას ვერ ვინ დას-დებდა წუნს და ვერვინ უზრახავდა. მართლაც პირველ ნაბიჯიდანვე ქართულმა თეატრმა ისეთის მეცადინეობით და დაბეჯითებით გასწია წარმატების-კენ, რომ ჩვენი საზოგადოების გული ერთბაშად მოიგო, ხალხი გამოაღვიძა და თან ისეთს აღტაცებაში მოიყვანა, რომ პირველს დროს თეატრში მაყურებლებისგან ტევა არ იყო.

უმთავრესი საგანი უკვე მიღწევნილი იყო: მშეენიერი დასი დაარსდა, საზოგადოება დაიძრა თეატრისაკენ, ჯერ ინტელიგენცია, მერე მას მოჰყვა.

დიდ ძალი ხალხიც, ერთის სიტყვით ქართველთ ცხოვრებაში გაჩნდა ახალი ნაკადი და ცხოველი მოძრაობა.

დრამატიული კომიტეტი ქართულს სცენას განაგებდა პირველ ხანებში მარჯვეთ და ბეჭითად, ხოლო ეს სიმარჯვე მეტად ხანმოკლე იყო. ორის წლის შემდეგ დრამატიული კომიტეტი ქართულ თეატრზე ხელს ღებულობს, სწორედ იმ დროს, როცა უფრო ბევრი სიმხე და სიბეჭითე იყო საჭირო.

ქართულს სცენას, რომელიც ბევრს საუკეთესო რუსულ სცენებს არ ჩამორჩებოდა გამგებლები შემოეფანტნენ. დადგა ძნელი დრო, ეს იყო 1880 წ.

ამ ძნელს დროს ქართული სცენის მეთაურობა იკისრა ორმა სცენის საუკეთესო არტისტმა ვა-აბაშიძემ და კ. მესხიმ (ეს უკანასკნელი პარიზილაშ ახლად ჩამოსული იყო): ამათ იკისრეს ქართული თეატრის მეთაურობა და წინ გაძლილა — ანტრეპრე-ენიორობა და პირ-უთვენელად უნდა აღვიაროთ, რომ ჩინებულად და საუცხოვოდ წაიყვანეს თეატრის საქმე. დრამატიული კომიტეტის მოშლა სცენას არ აგრძნობინეს, პირ იქით უფრო მეტი სიცხოველე შექმატეს და საზოგადოებრივი მნიშვნელობა თეატრისა ერთი ორად გააორკეცეს.

მაგრამ ჩვენში ხომ ხანგრძლივი არაფერი ყოფილა თითქმ გვებედებოდეს ქართველებს მდგო-მარეობათა ცელილება — გადაშალვთ ჩვენი განვლილ ცხოვრების ისტორიის ფურცლები. იმ თვრა-

შეც საუკუნეებზე მოჭიმულ ისტორიულ ცხოვრებაში ცერ შეხვდებით, რომ რომელიმე ყოფა თუ მდგომარეობა, ავი თუ კარგი დიდ ხანს გაგრძელებულიყოს....

ამ ჩვენის ცხოვრების უბედურს მოვლენაში ის მაინც არის საწუგეშო, რომ საკეთილდღეო მდგომარეობის გათახსირებასთან აევ საუბედუროც-კი მალე შეგვიცვლია და თავიდამ მოგვიშორებია ხოლმე... .

ვ. აბაშიძის და კ. მესხის ანტრეპრენიორობაზრდამატიულ კომიტეტზედაც უფრო ხან მოკლე იყო, რაღაც უცნაურის მიზეზების გამო ამხანაგები ვერ მორიგდნენ და სერიოზულად დაწყებული საქმე ვოდევილურად დააბოლოვეს. ჭართულ სცენას ისეც ხელ-ახლად საჭიროდ გაუხდა გამგებლის და მეთაურის ძებნა და მონახა კიდეც.

ეს გახლდათ ჩვენი პატივცემული და სახელოვანი პოეტი აკაკი წერეთელი. ამ ანტრეპრენიზისა ბევრი ვერაფერი ითქმის. ამით კიდევ ერთხელ დამტკიცდა ის უცილობელი მაგალითი, რომ შესაძლებელია ერთსა და იმავე დროს გამოჩენილი ადამიანი აღმინისტრატორი და საქმის გამგებელი ცუდი მოშაირე იყენეს და პირ-იქით გამოჩენილი და დიდებული პოეტი-კი აღმინისტრატორობას ვერ ეწყობოდეს. აკაკის ნახევარ სეზონამდეც ვერ მიუტანია ქართული წარმოდგენები....

ამის შემდევ იწყება ჭართული სცენის მერყეობა ერთის კუთხიდამ მეორეში. 1884 წელს ჭართულის თეატრის საქმეს ისევ ვ. აბაშიძე ღებუ-

ლობს. პირველში საქმე კარგად მიჰყავს, მაგრამ ეპი იმ ყოფას. ოეტრს შემოსავალი შემოაკლდა, ხალხი ცოტ-ცოტად დაფრთხა, ზედ მიემატა ჭორები, ინტრიგები, ჩენებური აჭია-ბაჭიობა და დასი ისევ დაიშალა.

ეხლა მეტად ძნელი იყო მოთამაშეთა ერთად თავის მოყრა, ზოგი საუკეთესო არტისტებმა უკან დაიხიეს. დარჩენენ ზოგიერთნი რიცხვით მცირენი და საქმის სიყვარულით მდიდარნი, რომლებმაც შეადგინეს ამხანაგობა და დაიწყეს ისევ წარმოზევნების მართვა. ჯერ თვითონ „ამხანაგობა“ ისეთი ძნელი მოსანელებელი რამ არის მოუმზადებელი სტომაქისა-თვის, რომ ყოველი კაცი ვერ აიტანს და მით უფრო ამხანაგობა თეატრალურს საქმეში და ისიც ჭიროვე-ლებში ყოვლად შეუძლებელია. ამხანაგობა უწინა-რეს ყოვლისა ითხოვს ზისი წევრებისაგან სრულ მორჩილებას, თანხმობას და ერთმანერთის გამგო-ნობას უმთავრეს საგნებში, ერთად შრომას და ჭ-პანის წევას, და არა გასიებული თავმოყვარეობას აულაგმელს ჭირვეულობას. ამის შემდეგ რასაკეირ-ებელია, რომ ამხანაგობას დიდ ხანს არ უთამაშნა. სცენაზე და ათიოდე წარმოდგენის შემდეგ თეატრს ისევ ძეველი და ძნელი დარი დაუდგა.

1885 წელს ანტრეპრენიორობას ხელი მოჰკი-და აღ. ნებიერიძემ. ნებიერიძეს თეატრისა ინჩი არ გაეგებოდა და თუმცა პირველ ხანებში არტისტები ერთად მოუყარა თვი, მაგრამ მესამე თუ მეოთხე წარმოზევნიდამ უვიცობით თუ უცოდინარობით

ზოგნი შემოეფანტნენ და ვაის ვაგლახით სეზონს ბოლომდე მიაღწევინა და თეატრს თავი დაანება კიდეც.

1885/₆ წელს ქართულს დასს შეთაურობს მ. საფაროვაბაშიძისა. ამ პატივცემულ ჭალა-არტისტის ხელში თეატრს ცოტა სიცხოველე და მეცა-ლინეობა დაეტყო, მაგრამ უმთავრესი მიზეზი უძლუ-ჩებისა ის იყო, რომ ყველთ მოთამაშენი ვერ და-იახლოვა, რის გამო შემდეგ სეზონში იძულებულ იქმნა თავი დაენებებინა.

1887 და 1888/₉, წლებში ქართულს თეატრს ისევ ახლად შემდგარი კომიტეტი ღებულობს. ამ-დენის რყევით მოღლილი მოქანცული არტისტები, სიამოვნებით იყრიან თავს კომიტეტის ხელთქვეშ და საქმე ისევ წელში იმართება, მაგრამ მაყურებლების ერთხელ აცრუებული და გატეხილი გული როგორდაც ვერა პსძლვნის მათ თანაგრძნობას და კომიტეტი ვაი-ვაგლახით, ძლივ-ძლივობით ახერხებს შემოსავალ ვასავლის ერთად მორიგებას. უკანასკნელ წლიწადში თუმცა საზნაურო ბანკმა შემ-წეობაც მისცა კომიტეტს, მაგრამ მაინც ორის წლის განმაელობაში დრამატიულმა კომიტეტმა ორმოცდა ათ თუმანზე მეტი იშარალა. ამის გამო კომიტეტმა თავის უკანასკნელ საზოგადო კრებაზე ჩემო ხსენებული მიხეზი თითზე დაიხვია და ქართული სცენის საქმე თავიდამ მოიშორა, ეითომ იმის იმედით, რომ ჯერ შეძლებას მოვნახავთ და მურე გაუძლევებით ქართულს თეატრსო. იქნება ეს აზრი საფუძვლიანი იყვნეს და ასე უნდოდა კიდეც.

მოქცეულიყო კომიტეტი, მაგრამ ჩვენი განვიდი-  
ლებიდამ ვიცით რომ ფულის მოგროვება ჩვენში  
არაბუ თუ თეატრზე არამედ წერაკითხვის გასავრცე-  
ლებლადაც-კი ძნელია—თითქმის ძოუხერაებელია—  
ესეც რომ არ იყოს, მაინც—ნათქვამია „სანამ პეტრე  
მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძრეს“ და სანამ კომი-  
ტეტი შეძლებას იშვინის, ქართული სცენა გევრს  
დაჲკარგავს, დაიკარგება აგრეთვე ორი წლის მეტა-  
დონეობა კომიტეტისა და ვინ იცის კიდევ ისრე  
ადეილი იქნება შემდეგ საქმის ხელახლად დაწყება.  
და გაგრძელება? ამიტომ ჩვენ გვვონია, რომ დრა-  
მატიული კომიტეტი ვერ მოქცა ისე როგორც  
რიგიყო და ისევ ის შეცდომა განიმეორა რაც 1881  
წელს მოახდინა.

ასე და ამ ვეარარად ხან ჯაგლავით მიღიოდი და  
ხან - კი მითოხარიკობდა ქართული სამუდამო  
სცენის საქმე. ჩვენ წერილმანებში არ შევსულვართ,  
გაკვრით შევეხეთ მხოლოთ თეატრის უმთავრეს  
წუთებს მისის ყოფნისას ამ ათის წლის განმავლო-  
ბაში. რაც უნდა სამწუხარო და იქნება ხშირად სა-  
საცილო ყოფილიყო თეატრის ნაბიჯები. ამ ათს  
წელიწადში, მაგრამ მაინც არ უნდა დავიერწყოთ ის  
გარემოება, რომ იმდენი უბედურების და ჭაპან  
წყვეტის ამტანს სამუდამო ქართულს სცენას ერ-  
თხელაც არ შეუჩერებია და არ გაუწყვეტია წარმოდ-  
გენები ათის წლის სეზონში. ავად თუ კარგად წარ-  
მოდგენები ყოველთვის იმართებოდა; თეატრს შე-  
ჩვეული ხალხი ცატად თუ ბევრად კოველთვის  
დადიოდა თეატრში.

აქ ურიგო არ იქნება მოვიყვანოთ ზოგიერთი  
სტატისტიკული ცნობანი სამუდამო ქართული და-  
სის შესახებ. ეს ციფარები უფრო ნათელს და უტ-  
ყუარს სურათს წარმოვეიდგენს ქართული თეატრის  
წამოქმედარისას, ვიდრე მაგალითებით შეუმოწმე-  
ბული სიტყვები.

დავიწყოთ მოთამაშეებიდამ. ამ უკანასკნელი  
ათის წლის განმავლობაში ქართულ სცენაზე უთა-  
შაშნიათ და იმავე ღროს ცოტა თუ ბევრი სასყი-  
დელიც შიულიათ შემდეგ პირთა: — რა თქმა უნდა,  
რომ ზოგნი მათგანნი ღროვამოშვებით მსახურებ-  
დენ, ზოგნი კი მუდმივ.

**ქალ-არტისტები:** მარიამ საფაროვაძეშიპისა,  
ნატალია გაბუნია-ცაგარლისა, ბარბარე კორინთელი-  
ყიფიშიძის, მარიამ მძინაროვის ქალი, მარიამ ყი-  
ფიანის ქალი, ქეთევან ანდრონიკოვისა, მერკულო-  
ვის, იოსელიანი-საენელისა, ტარიელოვისა, ღიღ-  
ბულიძისა, თამაროვის ქალი, (იონათამოვსა) ჩერ-  
ქეზიშვილი-მაჩაბლისა, არზაზიანის ქალი, ციციშვი-  
ლისა, მ. წერეთლისა, ჯორჯაძისა, ე. მესხის ქალი,  
ბარბარე მელიქოვი-საფაროვისა, ანტონოვსკისა, ბა-  
თიევის ქალი, კიკნაძისა, წყრომელიძისა, რუსიევისა  
და სხვანი, რომელნიც თითო თროლაჯერ გამოსუ-  
ლანს ცენაზე, ვითარცა სცენის მოყვარენი.

**ქაც-არტისტები:** ვაჲილი აბაშიძე, კონსტან-  
ტინე ყიფიანი, კონსტანტინე მესხი, ვლადიმერ  
ალექსი-მესხიშვილი, ზალ მაჩაბელი, ნოდარ ჯორ-  
ჯაძე, ნიკოლოზ თამაზიშვილი (შიშნიაშვილი), კ.

მაქსიმიანი (მძინარე ავი) აკესენტი ცაგარელი, ივანე  
ცაგარელი, ვ. ელბაქიძე, ალ. ბერიძე, დ. აბდუშე-  
ლიშვილი, ი. მიქელაძე, დავით აწყურელი (გამ-  
ყრელიძე), ვიქტორ გამყრელიძე, ალექ. მოხევე  
(ყაზიბეგი), ვალერიან გუნია, ალექსანდრე ნებიერი-  
ძე, დავით მესხი, ლომიძე, ნიკოლოზ ტყვიაველი  
(ერისთავი) ი. ჯაჯანაშვილი, გრიგოლ ყიფშიძე,  
ა. ჩუბინაშვილი გ. ხუციშვილი, არტ. ახნაზაროვი,  
ნ. თათარაშვილი, ა. თამაზიშვილი, ფალავანდიშვი-  
ლი, ნ. გალუსტოვი, გ. კანდელაკი, კანდელაკი  
მეორე, ნ. აბაშიძე, ხუნდუხოვი, ზ. საფაროვი, ი.  
კობაზიძე, ი. ნიობე (ტერ გრიქუროვი), ნიკიტინი,  
სარიდანიძე და სხვა. სცენის მოყვარენი, რომელნიც  
დროგამოშვებით თამაშობდენ ხოლმე. ამათ გარ-  
და ქართულ თეატრს სასყიდელი მიუცია მომ-  
ღერლებისა, მხატვრებისა და მემუსიკეთათვის,

როგორც ზემოდ ესთქვით ზოგიერთ მოთამა-  
შეთ უმსახურნიათ სცენაზე დროგამოშვებით და  
ზოგნი კი პირველ წარმოდგენიდამ დღევანდელამდე  
ემსახურებიან ქართულს სცენას და არც ერთ წარ-  
მოდგენას არ დაკლებან.

ამ უკანასქნელი ათის წლის განმავლობაში  
ქართულ სცენაზე გაუმართავთ ორთა შუა რიცხვად —  
სეზონში რომ 35 წარმოდგენა ვიანგარიშოთ და  
თვით სეზონი ხუთის თთვით — 350 წარმოდგენა-  
ზე მეტი.

ამ წარმოგენებში პირველის ხარისხის არტისტებს

შეუსრულებიათ 250-იდამ 400-მდე ახალი და ძველი როლები.

ათის წლის განმავლობაში ქართული თეატრის კასაში შემოსული სრული შემოსავალი 75,000-მდე მან. ხოლო ნაღდათ დარჩენია 40000-იდამ 45000 მდე მანეთი.

პირველის ხარისხის არტისტებს რეგებიათ ათის წლის განმავლობაში ბენეფიციების ფულებისა და სხვა საჩუქრების გარდა 3000-იდამ 6000 მანეთამდე.

ათის წლის განმავლობაში ქართულს სამუდამო დასს წარმოუდგენია არა ნაკლები 225 პიესისა. მათშორის კომედები, ვოდევილები, დრამები, ტრაგედიები და ოპერეტები.

ათის წლის განმავლობაში ქართულს სცენაზე წარმოუდგენიათ ყველა გ. ერისთავის პიესები: გაურა, დავა, ძუნწი, უჩინ მაჩინის ქუდი, თილისმის ხანი, ყვარყვარე ჩთაბაგი, მაიკო და თევზის კონტორა. ყველა ს. ანტონოვის პიესები: მზის დაბნელება, მე მინდა კნეინა გაფხდე, ქორწილი ხევსურთა, განა ბიძიამ ცოლი შეირთო, ქმარი ხუთის ცოლისა, ქოროლლი, ტიკით მოგზაურობა და ორი მდგმური.

ხოლო აშ ხანებშივე ახლად გადათარგმნილა და სცენაზე წარმოუდგენიათ შემდეგი კლასიკური პიესები: მოლიქისა: ეჭვით ავადმყოფი, სკაპენის ცულლუტობა, ყორე-დანდენი, ძალად ცოლის შერთვევინება, სგანარელი სიყვარული მხატვრობს და სიყვარული მკურნალობს, ბომარქები: სევილიელი დაღაქი, ბალ-

მეურედე; შექსპირისა მეუე ლირი; ჰამლეტი;  
 შევლოხა; ლევნეციული ვაჭარი, გაგრალისა რევიზორი  
 გრიბოედოვისა, ვაი ჭკუისაგან, ლერმონტოვისა; მასკა-  
 რადი, პუშკინის ძუნწი რაინდი; რატორგსკისა; შე-  
 მოსაელიანი ადგილი, ქორწილი ბალზამინოვისა,  
 შრომით ნაშოვნი პური, ბედნიერი დღე. ას, დაუ-  
 მასი: — ედმუნდინი კომოდეტისა: და ტერეზია ანუ  
 მონასტრის ზღუდეთა შორის, ჯორჟომეტისა: დამნა-  
 შავის ოჯახი, უირარდენისა ორ ცეცხლ შუა, ვაკრი სა  
 ეან ბოდრი, სკრიბისა: ვალერია ყომარბაზის ცხოვრება  
 ესპანიელიაზნაური; გოლდფონის: როგორც პეტეს ის-  
 რე არა სწვიშს, ორი ობოლი, სარდუსი ვევიყარნეთ  
 ქარაფ შუტა, შეღავდა გაღვენისა: პარიეკელი ბიჭი, შემ-  
 ლილია, ლაბიშისა: ბაქი-ბუქი, ჯერ თავო და თავო,  
 დიახენკოსი: ეხლანდელი სიყვარული: დანგრეული  
 ოჯახი, ნევეჟინისა: მეორედ გაყვაწვილება, ფრთხო-  
 ვისა ცოლი შეუდლე, მანსველდისა მგოსანი, სუსო-  
 ფო-გობილინისა კრეჩინ კის ქორწილი, ამათ გარდა  
 გაღმოუკეთებიათ ჩევრის სცენისათვის: ადვოკატი  
 მელაძე, ალერსთა ბადე, გზა დაკარგულნი ცხოვარ-  
 ნი, ალიაქოთი, ქმრების დამონავება, მაიკო, ცქრიალა  
 საძაგელი, სადაც მფლობელობა, რაინდი უშიშარი  
 და გულმართალი, მეჯლისი იტალიელებთან და სხვა,  
 რომლების სახელი არ გვახსოვს. ჩევრ აქ ჩამოვთვა-  
 ლეთ მხოლოდ ისეთი პიესები, რომელნიც ცოტად  
 თუ ბევრად ყველა ევროპიულ სცენებზე უთამაშ-  
 ნიათ და ასე თუ ისე რითიმე შესანიშნავნი არიან.  
 ხოლო ორიგინალური პიესები ამ ხანებში და-

წარმოუდგენით კიდევ ქართულ სცე-  
 ნაზე შემდეგი პიესები: ოთვიულ ერისთავისა: ბრილი-  
 ანტი, ადეოკატები, ქაჩუა, პარიქმახერისას (ამათ  
 გარდა ამავე ავტორს გადმოკეთებულიაქვე შემდეგი  
 პიესები რომელიც წარმოდგენილა სცენაზე: ჯერ  
 დაისოცნენ შერე დაქორწილდენ, ბიძიასთან გამო-  
 ხუმრება, პრისტავი და სადილი მარშლისას) აკავი  
 წერეთლისა: ბუტიაობა, კინტო, კულურსამუმ, თამარ  
 ცბიერი და ახალი გმირი დავით ერისთავისა სამშობ-  
 ლო; იდია ჭავჭავაძისა გლახა ჭრია შეილი, მაჭანკა-  
 ლი და დედა და შეილი, აგქენტი ცაგარლისა, ერთი  
 ნაბიჯი წინ, რაც გინაბავს ველარნახავ, ბაიყუში, მა-  
 თიკო, ხანუმა, მკითხავი და ციმბირელი, გილოვი  
 წერეთლისა ოჯახის ასული, დარია, შეტრე უმიგაშვი-  
 ლისა მისანი, აჯექსანდრე ყაზიბეგისა აღმზდელები  
 ქართველი ქალი სტუდენტებში და არსენა ქნ. ბარ-  
 ბარე ჭორჭავისა შური, რას ვეძებდი რავპოვე, ალა-  
 ლო თუთავებისა ფლავი ვის უდგას და იშტა ვის  
 აქვს, გაბრიელ სუნდუკიანცისა პეპო, ხათაბალა დაქ-  
 ცეული ოჯახი, კიდევ ერთი მსხვერპლი, ლამე ერთი  
 ცხეირიც კარგია, გილოვი შარვაშიძისა მომაკვდავნი,  
 სურაონი, გილოვი თუმანიშვილისა ბედნიძერი ქალი,  
 ცერცვაძისა ბედი უბედურთა, დავით გეზელისა სცე-  
 ნები „მიროვოი სუდში“ და ორ ცოლიანი: ანტონ  
 ფურცელაძისა ავაზაკები, მისეილ ჭორჭავისა პატრი-  
 სტატი, ვასილი აბაშიძისა ცოლითუ გინდა ეს არის,  
 კონსტანტინე უიფანისა ვახუშტი, კონსტანტინე  
 მესხისა თამარ ბატონიშვილი, ბაგრატ მეოთხე,

დაურ შესხისა ანუკა ბატონიშვილი, სურამის ციხე  
კალერიან გუნდასი უკანონო შვილი, კაკო ყაჩალი,  
გადსევანოვის ცოლები დაკარგეთ, კოდუბანსევის სი-  
უფარული ახალგაზდა ქალისა და ამათ გარდა ამ  
ხანებში კიდევ ხუთიოდე სხვა პიესები დაწერილა და  
წარმოუდგენიათ.

აქ უნდა შეენიშნოთ რომ ჩამოთვლილი პი-  
ესების გარდა კიდევ ბევრი პიესა, როგორც თარგ-  
მნილი და გადმოკეთებული აგრეთვე ორიგინალუ-  
რი, ხოლო ისინი ჯერჯერობით ქართულ სცენაზე  
არ წარმოუდგენია, სხვათა შორის: ქეთევან წამე-  
ბული, პატარა კახი, გულჯავარ, მამის მკვლელი  
ოტელო ურიელ აკოსტა, \*) ყაჩალები, ეძმონტი,  
ბორკილები, ცხოვრების მეჯლისზე და სხვა და სხვა.

ჩვენ არ ჩამოგვითვლია არც ერთი ნათარგმნ-  
ვოდევილები, ერთ მოქმედებიანი კომედიები, ფარ-  
სები, და სხვა სცენები, რომელნიც ათის წლის გან-  
მავლობაში ბევრჯელ უთამაშნიათ და რომელთა  
რიცხვი თითქმის 100-ზე მეტი იქნება.

ამ რიგად სერიოზული და სარეპერტუარო პი-  
ესები ამ ათის წლის განმავლობაში ორიგინალური,  
გადმოკეთებული თუ გათარგმნილი ქართულს დასს  
წარმოუდგენია 220-ზე მეტი. ეს რიცხვი შედარე-  
ბით მაინც სანუგეშოა, მაგრამ საქმე ის არის რომ  
მომეტებული ნაწილი ორიგინალური და გადათარ-  
გმნილი პიესებისა. ეკუთვნის ქართული სამუდამო

\*) ქეთაისის სცენაზე წარმოადგინეს.

სცენის დაარსების პირველ ხანებს ესე იგი 1879 წლიდამ 1883 წლამდე. შემდეგ წლებში-კი ნაკლებ გადათარგმნილა და უფრო ნაკლები დაწერილა ჩვენის აზრით ეს უნდა იყოს მიზეზი რომ ქართულს სცენას ამ უკანასკნელი ხუთი-ექვსის წლის წინათ შესამჩნევი სისუსტე დაეტყო.

ძველი ნათამაშევი პიესების განახლება—განმეორება საქმეს აფერხებს, თეატრს აუძლოურებს და იმ საზოგადოებასაც-კი თავიდაპ იშორებს, რომელიც წინედ დაიარებოდა, ეს მეტად რე ჭკუაზე ახლოა როდესაც მივიღებთ მხედველობაში ჩვენის თეატრის საზოგადოების სიმკირეს. საზოგადოთ ყველა თეატრებს ჰყავს თავისი საზოგადოება, რომ მელიც იშვიათს შემთხვევაში თუ იმატებს, თორემ სულ ერთს ჩვეულებრივ დონეზეა ხოლმე. მეტად-რე ჩვენს თეატრს ეს ყოველთვის ეტყობოდა და დღე-საც ეტყობა.

ხოლო რაც შეეხება ჩვენს სცენას და რეპერტუარს ამ ათის წლის განმავლობაში, ბევრს უთავდარიგობას დავინახავთ: ხშირათ ძველს პიესებს იმეორებდენ იმიტომ რომ ახალის მომზადება ეძნელებოდათ სიზარმაცისაგან, ან კიდევ იმიტომ რომ ხან არტისტის და ხან მწერალის გული მოეგოთ. ამ გვარი საქმის ურიგობა ამტკიცებს გამგებელთა უხასიათობას, სიზარმაცეს და პირვერობასაც. ყველამ ვიცით რომ პატარა საზოგადოებაში არაფერი დაიმალება და, რა თქმა უნდა, ზოგიერთი არა შესაწყნარებელი გამგებლისა თუ მოთამაშეთა საქციელი ხალხში

გადიოდა, იმადებოდა უქმაყოფილება, როგორც გა-  
რედ აგრეთვე კულისებში რის გამო თრთავე მხა-  
რეს გული უცრუედებოდა და იმავე დროს საქმეც  
უძლურდებოდა.

მართალია, ქართული რეპერტუარი ღარიბია,  
არც დასრა მდიდარი მოთამაშეთა ჩაოდენიბით,  
მაგრამ რაც უნდა ყოფილიყო, მაინც რიგიანი და  
მცოდნე საქმეს გამგებელი აქაცი მოსხებნიდა სა-  
შეველს და ოციოდე იმისთანა პიესას ამოარჩევდა  
და ფანატილებდა მოთამაშეთა შორის, რომ ყოვე-  
ლი სეზონი რიგიანად, მართებულად და სასარგებ-  
ლოდ გაეტარებინა.

იქნება ზოგმა გეიპასუხოს და ბეჭრჯელაც გა-  
ვიფონია კიდევც, რომ რაც უნდა ვიფიქროთ რე-  
პერტუარზე, ყოველივე ამაოა, რადგან ჩენი დასის  
ძალ-ლონე შეძლებასარ გვაძლენს პიესების დაუგმი-  
სათვისო. ეს ჩენის აზრით დიდი შეცდომაა და თან  
დიდი ტუშილიცა ღვთის წყალობით, ჩენი სამუდა-  
მო დასი იმდენად მაინც ღარიბი არ არის რომ თა-  
ვის ზურგზე ვერ აიკადოს თუ საუკეთესო პიესები  
არა, საშუალო პიესები მაინც. ეს რომ ლიტონი  
სიტყვა არ არის, ამას ის გარემოება ვეიმტკიცებს,  
რომ ათის წლის განმავლობაში ქართულს დასს ბე-  
კრი საუცხოვო და ძნელი პიესა შეუსრულებია იხი-  
ლეთ ჩემოდჩამოთვლილი პიესები,

ჩენებს დასს ბერი საქმის გაკეთება შეუძლიან  
და თუ ხშირად ვერაცერს აკეთებდა ეს ისევ საქმის  
გამგებლების ბრალია და არა დასისა, ქართულს დასს

ოუ აკლდა რამე და დღესაც აკლია, ეს არის მხო-  
ლოდ უყოლობა მეორე და მესამე ხარისხის მოთა-  
მაშეთა, რომელიც არა ნაკლებ პირველ არტისტებ-  
ზე საჭირონი არიან პიესის ჯეროვანი და ხელოვ-  
ნური წარმოდგენისათვის, აგრეთვე რიგიანი რეპერ-  
ტუარისათვისაც. ამ მხრით საქმის გამგებლებმა ვერ  
გამოიჩინეს ის თვისება, რომელსაც უწოდებენ მი-  
მზიდველობას. გვეტყვიან შეძლება არა გვქონდა.  
ეს ტყუილია. თუ პირველ ხარისხის არტისტების  
შენახვა შეიძლებოდა, -- როგორმე გაის და ვაგლახით  
მეორენი და მესამენიც შეინახებოდა.

ჩემის აზრით ყოველი ნამდვილი გამგებელის  
პირველი მოვალეობა არის ახალგაზდების მოზიდვა,  
ნიჭის და შრომის ერთად თავის მოყრა და ისიც  
იმ დროს, როცა გარემოება საქმეს გიძნელებს. კა-  
ცი და მოღვაწე ფასდება გაჭირვების დაძლევით და  
გამრჯელობით.

საჭიროა აგრეთვე მოვიხსენიოთ ქართული დრა-  
მატიული დასის ლვაწლი პროეინციებში. ჩვენის  
აზრით ქართულმა დასმა არა ნაკლები სამსახური  
გაუწია ჩვენ პროეინციების კუთხეებს, ვიდრე სამუ-  
დაშო თბილისის სცენას. პირველად პროეინციებში  
წარმოდგენების გამართვა შემოიღეს ქართველ  
არტისტებმა და ამ მხრით დიდი ქების და პატივის-  
ცემის ღირსნი არიან. ქალაქი, მეტადრე თბილისი,  
რაც უდა იყოს მაინც მოკლებული არ არის სუ-  
ლიერის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, ხოლო  
პროეინცია — სოფლები და დაბები ყოველ შემთხვე-

უაში როგორდაც განაპირებულნი არიან ყოველს-  
ფერს მისგან, რითაც მდიდარია და რითაც თავმომ-  
წონეობს ქალაქი. ამიტომაც წარმოდგენები პრო-  
ცინციებში, იმის გარდა რომ დანაკლისს უცხებენ  
სოფლის მცხოვრებლებს, მეტად სასაჩვებლოა ყოველ  
ნარიად გონიერისათვი ზნეობის მხრით, თუ განაწი-  
ლებულ სხვა-და-სხვა ადგილებში მცხოვრებთა შე-  
ერთებით, საერთო ინტერესის გამსჭვალვით და სა-  
ზოგადოთ ცხოვრებაში. ახალი გამაფხიზლებელი  
სიოს შეტანით, რომელიც ერთი მეორეს მოშორე-  
ბულ ადგილებს და ნაწილებს ერის და ქვეყნისას  
ერთად აცემინებს ძარღვს და ამუშავებინებს საერთ  
საჭირო აზრს.

ათის წლის განმავლობაში ქართული დრამა-  
ტიული დასი ყოფილა ოციოდე სხვა-და-სხვა საქარ-  
თველოს კუთხეებში, სადაც წარმოდგენები გაუმარ-  
თავს და სადაც ყველანი სიხარულით დახვედრიან,  
ყოველ გვარი შემწეობა აღმოუჩენიათ ფულით და  
დახმარებით და ყოველთვის დიდი მაღლობა და სი-  
ყვარული გაიოუცხადებიათ დასისათვის. ეს გარე-  
მოება ნათლად გვიმტკიცებს, რომ ზალხში თეატ-  
რის მოთხოვნილება დღე დღეზე იზრდება და მალე  
იმ ნაირ მოთხოვნილებადვე გადაიქცევა, როგორც  
ჭამა-სმაა. საჭიროა მხოლოდ ზაქმობა, მოქმედება  
და დროთი სარგებლობა.

ქართულს დასს წარმოდგენები გაუმართავს  
შემდეგ ადგილებში: ქუთაისში, ფოთში, ბათუმში,  
ოზურგეთში, გორში, თელავში, სიღნაღში, ახალ-

ციხეში, სურამში, აბასთუმანში, თუქურმაშაში, ქა-  
რელში, აწყურში, საქაშეთში, ხოვლევეში, ახალ-  
ქალაქში, რეხაში, კულაშში და სხვ. ადგილებშიაც.

ყველა ზემოდ მოხსენებული მაგალითებიდან  
აშკარად სჩანს რა გაუკეთებია ქართულს სამუდამო  
სცენას ათის წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნისა-  
თვის და თუ დღემდე საქმე მაინც რიგიანად არ  
არის დაყენებული, ამის მიზეზი ბევრი შინაური  
უთავდარიგობა იყო.

ერთის მხრით ხალხის გულ-გრილობა, ზოგთა  
მკვანე სიტყვები ზოგიერთთა მიმართ, მეორეს მხრით,  
თვით თეატრის შინაურ საქმეთა აწეწილობა, მტკი-  
ცედ ზემოფარგლული ძურვილთა და შეხედულო-  
ბათა უქონლობა, ჩხუბი და მუდმივი ჩივილი უსა-  
მართლო ქცევაზე, მძახლობა და მამინათლობა და  
სხვა შრავალი უწესოება, სიკერპეზე, ქინზე და ხში-  
რად პიროვნული, შეულაგშელი „მინდა“ «არ მინ-  
დაზედ» აშენებული გულის თქმა, რა თქმა უნდა, ერ-  
თად ვერ თავსდებოდნენ და საქმეს აფუჭებდენ.  
მაგვარ ჩივილს გაიგებდით ყოველთვის ყველასაგან  
და ყოველს მხრით საზოგადოებაში, მწერლობაში  
და თვით თეატრის ოთხ-კედელ - შუა მოთამაშე-  
თა შორის; იმავე დროს, გამგებელნი თუ მოთამა-  
შენი ყველანი თავს იმართლებენ, დანაშაულობას,  
საქმის არ ცოდნას, ჭირვეულობას და ზარმაცობას  
ერთი მეორეს აბრალებს და მეორე კიდევ მესამეა  
და ასედაუბოლოვებლად. ამას ზედ მიუმატეთ ისიც,  
რომ ჩვენ არც სამყოფი რეპერტუარი გვაქვს, არც

სკოლები, ან მაგეარი დაწესებულებანი, სადაც ნიჭი  
 იშლება, სადაც მოთამაშეთა ხელოვნება იზრდება,  
 ხასიათი და გაგონება იწერთენება; არც ის სიბეჯი-  
 თე გვაქვს, რომელიც ცხოვრებაში და განსაკუთრე-  
 ბით საზოგადო საქმეში ერთს უმთავრესს მომქმედ  
 ძალას შეადგენს; არც იმდენი შეძლება და თავისუ-  
 ფალი ფული გვაქვს, ურობლისოდ არც ერთს საკ-  
 მეს წელში ფამართვა არ შეუძლიან, არც იმდენი  
 მაყურებლები გვაქს, რომლების სიმრავლეს თეატ-  
 რისათვის ცხოვრების სახსარჩს აღმოჩენა შეეძლოს,  
 არც ისეთი შემძლებელი მოთამაშენი გვყავს, რო-  
 მელთაც უსასყიდლოდ შეეძლოთ საქმობა, — პირ-  
 იქით ყველა ისრე ღაოაბნი არიან, რომ დღიურს  
 საზრდოს შენატრიან და კიდევ სხვა მრავალი ნაკლი  
 მოგვეპოვება... მართალია, ჩვენდა საბედნიეროდ  
 სურვილი ყოველში ბევრისაგან ბევრი მოიპოვება,  
 მაგრამ ცარიელი სურვილი ამაռა. სურვილს თან  
 საქმეც უნდა მოსდევდეს, თორემ უსაქმო სურვი-  
 ლი ჭირზე უარესია, რაღან უფრო აუდლურებს  
 ადამიანს და თავ-მაბეზრი ყბედათა ხდის, ამიტომ და  
 მხოლოდ ამიტომ ჩვენის სცენისა უა თეატრისათვის.  
 აუცილებელი საჭიროებაა ერთად შებმა საქმის  
 უღელში, ერთად — ცოდნის და ნიჭის მიუხედავად —  
 ჭაპანის წევა, მორიგება, მეგობრული და ძმური  
 დამოკიდებულება ურთიერთ შორის, ხშირად შეც-  
 დომათა შეწყნარება და განსაკუთრებით ყურის და-  
 გდება, გაგონება და სრული მორჩილება საერთო  
 საქმის მიმართ.

თეატრი ნაყოფია. საზოგადოებრივი ცხოვრების თვით - მოქმედებისა და გამრჯეობისა. ამიტომ ყოვლად შეუძლებელია თეატრის ავ-კარგობა, მეტა-ნაკლებობა. მჭიდროდ არ იყვეს დამოკიდებული თვით საზოგადოების ავ-კარგობაზე, მის ცხოველ მოქმედებაზე და წინ მსვლელობაზე.

ამიტომაც თეატრის საქმე უველვან და გან-საკუთრებით ჩეენში საზოგადოების მოქმედობის და კეთილ დღეობის კვალს მიჰყება და ემორჩილება. ერთად საზოგადოების ცხოვრებასა და მოთხოვ-ნილებასთან თეატრიც ნება-უნებლივდ იმ გვარს კილოს და ფერს ღებულობს, რაც საზოგადობრივ ცხოვრებას ეტყობა. თეატრიც საერთო ცხოვრება-სავით იძულებულია, ხან ქვეშ, ხან ზედ მოექცეს დროთა ვითარებას და გარემოებათა წალმა-უკულმა-ლელვას. ამიტომ საზოგადოებამაც მხარი უნდა მის-ცეს თეატრს და მის მეთაურებს, გამგებლებს; და როდესაც ეს კავშირი არა ცარიელის სიტყვით, არა-მედ საქმით გაიძმება და როდესაც თეატრი და სა-ზოგადოება მხარი-მხარ გადაბმული ერთად ივლიან წარმატერებისაკენ, მაშინ თამამად შეგვიძლიან ესთქვათა ჩეენს ბედს ძალით ვერ დაჰყევს და მტერი ზიანს ვერ გვიზამს...

თუ მიუხედავად მრავალ გვარ ნაკლულევანტ შეთა და შეცდომათა, ამ არის წლის განმავალობა-ში ქართული თეატრი და მისი სულის ჩამდგმელე-ბი მაინც ხორცი მატულობს; თუ ამ ცოტას ხან-ში გამოჩნდენ მწერლები — დრამატურგები — ქალ-

ვაჟარტისტები მხატვარნი და მემუსიკენი, მშროც-  
მელნი და მეცალინენი, ნუ თუ ეს ნიშანი არ არის  
კეთილ-დღეობისა და წარმატებისა? და თუ ეს ქვეყ-  
ნის კეთილ დღეობა, ერის დღეგრძელობა, ასე ადვი-  
ლად მისაღწევია, განა ცოდვა და თავის შერცხვენა  
არ არის გულ-გრილობა და გულზე ხელის დაკრება,  
მით უფრო რომ საქმე მხევერპლს არავისაგან არ  
თხოულობს და საჭიროა მხოლოდ ცოტა თანაგრძნო-  
ბა და მცირედი საქმობა!

ცნობილია, რომ ქვა ყოველთვის იქითკენ გო-  
რავს საითკენაც უფრო დაღმართია, დაბლობია;  
წყალი იქ უფრო გუბდება სადაც ჩაღრმავებულია  
და ჩვენც ამის და გვარად ქვა ხქით ვაგოროთ და  
წყალი იქ ვაგუბოთ, სადაც უფრო ჩაღრმავებულია  
და დრო და გარემოება ხელს გვიმართავს, თორებ  
მერე გვიან იქნება....

### რა ეჭირვება ჩართულს თეატრს?

რა ეჭირვება ჩვენს თეატრს? ამის პასუხი ძნე-  
ლიც არის და ადვილიც. რაც გინდა კარგად გამარ-  
თული თეატრი აიღეთ, მაინც ყოვლად შეუძლებე-  
ლია რომ არა აკლდეს-რა, თეატრის ბუნება და  
ავებულება მეტად რთულია და ხშირად სავსეა იმ-  
დენი წერილმანით, რომ შეუჩეველი თვალი ვერც  
ფი შეამჩნევს და ამიტომაც, მისი ჯეროვან დონეზე

დ აყენება და მომართვა ძნელედ უძნელესია. ხშა-  
რად თითქოს სრულებით უბრალო და მცირერასმეიძ-  
ლენი ხან შემაფერხებელი და ხან ხელის შემწყობი  
მჩიშნეველობა აქვს, რომ თუ მართლა კაცი ძრიელ  
დახელოვნებული არ არის ოეატრის საქმეში და იმავე  
ღროს თუ ძრიელ ახლო არა სდგას ოეატრის საქ-  
მესთან, ძნელად თუ შეამჩნევს რასმე, ძნელად თუ  
გააწყობს რასმე თეატრის საკითლ-დღეოდ. ეს ზოგადი  
მოვლენა საზოგადოდ ყოველი თეატრის არსებობისა.  
ხოლო რაც შეეხება ჩვენი ქართულის თეატრის  
საჭიროებას ეს საკითხი სულ სხვა ნაირი პასუხს  
თხოულობს, რადგან ჩვენი თეატრი იმ თაშითვე  
თუ ამ ხანებშიაც ისეთს პირობაში, განსაკუთრე-  
ბული მდგომარეობაშია ჩაყენებული, რომ ადვი-  
ლად შესაძლებელია იმან ავნოს, რაც სხვა თეატრს  
მოუხდება და პირ იქით იმან არგოს, რაც სხვას  
სწყენს.

ჩვენის აზრით თავდაპირველი წალილი ჩვენი თეატ-  
რის მოთავეთა ის უნდა იყოს, რომ თეატრის, სცენას  
და ტეატრის ნამდვილი ეროვნული ხასიათი და ამის დაგვა-  
რად შესაფერი მიმართულება. განსაკუთრებით ყურად-  
ღების ღირსია ეს მიმართულება, რადგან ყოველი  
საქმე საზოგადოთ, თუ რომელსამე განსაკუთრე-  
ბულს ფერს და სწორედ გალარულს მიმართულებას  
მოკლებულია, მაშინ ყოველად შეუძლებელია იმ  
საქმის სიმაგრე და ძლიერება.

ყოველს საქმეს საგანი უნდა ჰქონდეს, ყოველს  
მოგერებულს ხმალს ხან ჯალს მიზანი უნდა ჰქონდეს,

უოველს კაცს თუ სახოგადოებრივ საქმეს უცილობლად  
მოეთხოვება, რომ მან იცოდეს სად მიღის, რას  
ესწრაფება, რა სწადიან, რისთვის მუშაობს და მეცადიც  
ნეობს. როდესაც საქმეში და მით უფრო თეატრისაში  
ზემო ხსენებული მიმართულება თეთრი ზოლისავით  
გატარებული იქნება თეატრის არსებაში, მაშინ თქია  
თონ საქმე, პირველ ხანებში ცუდათაც რომ იყოს,  
წელში გაიმართება, ნაკლს შეიცვებს, ძალ-ლო-  
ნეს შემოკრეფს და სასაჩვებლოც შეიქმნება. ამ  
გვარად ჩვენს თეატრს უწინარეს ყოვლისა უნდა  
ეროვნული მიმართულება ჰქონდეს და სხვა დანა-  
რჩენს წვრილმანებიც შესაფერად მას შეეწყოს. ამ  
მხრივ ჩვენს თეატრს ეჭირვება ცვლილება ხოლო ერთ-  
ბაშად არა, არამედ ნელ-ნელა, თან დათან. იქნება ზოგი-  
ერთ გულუბრყეილობ გვითხრას: ნუ თუ ქართუ-  
ლი თეატრისათვის ეროვნული მიმართულება არ  
შეგიმჩნევია. ჩვენ მოკლეთ მოუჭრით პასუხს:  
არა. ქართული ენა, ქართულად დაწერილი და გა-  
დათარგმნილი. პიესები, ქართველი მაყურებელი  
ხალხი მაინც კოდევ ვერანიშნავს იმ მიმართულებას,  
რომელიც ჩვენ გვწადიან და რომელიც აუცილე-  
ბლად საჭიროა.

დედა თესლი კი ხსენებულის მიმართულებისა-  
ჩვენის აზრით არის რეპერტუარი, ესე იგი ისეთი  
მასალა, რომლისაგან მზადდება ერთ უნიკალური სული-  
ერი საზრდო; ამის გარდა რეპერტუარი ისეთი ძლი-  
ერი მოქმედია თეატრის ავებულობის აღორძინები-  
სათვის, რომ უიშვილბა თეატრს დამნაბას.

უქადის, რაც გინდ სხვათრივ კარგად იყოს მოწყობილი თეატრის საქმე. კარგი და სერიოზული რეპერტუარის უქონლობა არც ნიჭიერ მოთამაშეთ გამოაჩენს და პირ იქით ნიჭის პატრონსაც კი აფუჭებს. არც ახალგაზღა მწერლებს გამოიწვევს სასუნო ასპარეზე, არც მაყურებელთ ესთეტიკური გემოვნება ეხსნება, არც მათი წინ სვლა და განვითარება ხერხდება, პირ-იქით გემოვნება, გრძნობა მშვენიერისა უფრო ჩლუნგდება, ინტერესი იყარგება და თან და თან ის მაყურებელთა რიცხვიც კი მცირდება, რაც წინეთ იყო. ერთის სიტყვით თუ რეპერტუარი არ ახლდება, თუ დროვამოშებით მაინც არ ისვება და არ მეტდება ახლებით, მაშინ ბეჯითად შეიძლება ვსთქვათ, რომ თეატრს უეჭველად გაუქმება მოელის.

რიგიანს რეპერტუარს კი ბექრი შეუძლიან, — სულ რომ არ იყოს რა, ხალხს მაინც იზიდავს ან რიგიანობით ან სიახლით მაინც სერიოზული კომედიები, კლასიკური თუ თანამედროვე, დრამა და ტრალედიები შეადგენენ რეპერტუარის საძირკველს; ხოლო უაზრო უმნიშნველო კომედიები, ვოდევილები, ფარსები და სხვა მაგგვარი სამასხარო პიესები, ჩექნის აზრით, სუნია თეატრის დღეგრძელობისათვის, ზოგს ვოდევილს და ფარსს აქვს მნიშნელობა, მეტრადრე კარგად შესრულებული დრამის ან ტრაგედიის შემდეგ, რათა ტრაგედიისა და დრამისაგან დაჭდეულ მტიმე გრძნობა, აღელვებული და აშფოთებული მაყურებლის გული და სული ცოტა მაინც

დამშეიდოს ნახული. ტანჯვის მაგალითებისაგან, შებლ შეკრული და მოღრუბულს მაყურებელს სი-  
 ცილი და ლიმილი მოგვაროს სახეზე, მეტის მო-  
 რაობაში მოსულს ტვინს და გონებას ვოდევილის  
 უაზრო, მაგრამ ცხოველმა და სასაცილო შინარსმა  
 შეება და მოსვენება მისცეს. ამ მხრით ვოდევი-  
 ლები და ფარსები ჩვენის აზრით რეპერტუარში  
 უთუოდ უნდა იყვეს, მაგრამ თუ იმათზეა მიქცე-  
 ული მომეტებული ყურადღება, თუ მათი რომელ-  
 ნობა სხვა პიესებზე ერთი ორად მომატებულია,  
 მაშინ ვნების მოტანის მეტსა ვერაფერს უნდა მო-  
 ველოდეთ. რაც უნდა იყვეს უზრუნველი ადამიანის  
 სიცოცხლე, მაინც იმდენი რამ არის კაცის დამალო-  
 ნებელი სიცოცხლეში, რომ სიცილს და დროს გა-  
 ტარებას ყველანი ეშურებიან. ვოდევილი კი სწო-  
 რედ დროს გასატარებელი, სასაცილო მოგონილება  
 და თუ თეატრმა დაუხშირა მათი წარმოდგენა, მა-  
 შინ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ თეატრი წა-  
 გებაში იქნება და არა მოგებაში. საგნის დახშირე-  
 ბას აუცილებლად დახვევა მოსდევს. როგორც თე-  
 ატრი ავრეთვე ხალხი ეჩვევა უაზრო სიცილ-ხარ-  
 ხარს, მასხრულ პიესებს და რამდენიც დღე გავა-  
 იმდენს უფრო მომეტებულ მასხრულ წარმოდგე-  
 ნებს მოითხოვს და თუ დღეს კმაყოფილიყო ვო-  
 დევილურის გადაჭრებებულის წარმოდგენითა, ხვალ  
 ჯამბაზურს ტაკი-მასხრობას მოიწადინებს. ამის ყვე-  
 ლაფერს რომ თავი დავანებოთ, მაინც ისიც უნდა  
 ვიქონიოთ მხედველობაში რომ უაზრო და უძნი-

შნელო რეპერტუარს გადავაჩიოთ შაყურებ-  
ლები და სერიოზულს რეპერტუარს და ხელოვნურს  
თაშაშობას მივაჩიოთ წახალისება მეტად ძნელია  
და დიდი ხანი და უამი გაივლის სანამ ხალხი  
და თეატრი ჯეროვან გზას დაადგება.

ამ სამწუხარო მოვლენის შედეგს დღესაც  
ეხედავთ ჩეენში. ხალხი სერიოზულ პიესებს ემალე-  
ბა, არტისტებს უძნელდებათ და მომეტებულად სუ-  
ლაცარ ეხერხებათ სერიოზულ პიესების ხელოვნური  
წარმოდგენა.

ჩეენის აზრით ამ გარემოების ჯეროვანი ყუ-  
რადლება უნდა მიექცეს და ეხლავე სანამ დრო არ  
დაკარგულა, უნდა ძირიან-ფესვიანად შეიცვალოს  
ეს სამწუხარო და მავნებელი პირობები. თეატრი  
აღმზღველია ხალხისა, იგი სკოლაა, ზეობრივი და  
გონებრივი მაგალითების შთამნერგველია და არა  
დროს გასატარებელი ოინბაზობის მოედანი, სადაც  
უგნურება, ქვენა სურვილები და უმეცრება უხეს  
საზრდოს პოულობერ ხოლმე...

ვიცი გვეტყვიან: სერიოზული პიესების წარ-  
მოდგენისათვის საჭიროა დიდი სერიოზული დასიო,  
მართალია ეს მაგრამ, რაც უნდა იყოს, მაინც შესაძლე-  
ბელია ხუთს სულელურს და უაზრო პიესაში ერ-  
თი მაინც რიგიანი გამოერიოს, თუნდაც უხეიროდ  
წარმოდგენილი, ამით საქმე არ დაშავდება. სერი-  
ოზულ პიესებს ის ღირსება და უპირატესობა აქვს,  
რომ რაც გინდა სუსტად წარმოადგინონ, მაინც  
თავის ინტერესს არ ჰქარგავს, მაინც თავის შინა-

არსით თუ სხვა ლირსებით ნაყოფიერად მოქმედებს მაყურებლებზე, უკვალოდ არ ჩაიგლის მათს გულა- სა და გონებაში. რამდენს ათას და ათი ათასს არ- ტისტს უთამაშნია უკვდავის შექსპირის „ჰამლეტი“ იმ ათ ათასში ნახევარი მაინც უხეირო და უნიჭო არტისტები იყვნენ და მაინც არც ერთი მაგალითი არ ყოფილა, რომ ჰამლეტი მოთამაშეთ სრულებით გაეფუჭებინოთ და ხალხს არ მოაწონოდეს რამდე- ნიმე სცენა და აღტაცებაში მოეყვანოს მთელი ოეტრი. ეს ჩვენ გვემოწმება და იმავე ლროს უტყუარი საბუთია იმისი, რომ უხეირო და სუსტი წარმოდგენა სერიოზულის და ნიჭიერ პიესას ლირ- სებას არ აკლებენ და კეთილ ნაყოფიერად ხალხშე- დაც მოქმედობენ.

ზემოდ ვსთქვით, რომ ჩვენს თეატრს ეჭირვება რიებანი რეპერტუარის მომზადება, მაგრამ რეპერ- ტუარი არის და რეპერტუარიც. უმთავრესი ყურა- დლება უნდა ორიგინალურს პიესას მიექცეს. ვიცი მიპასუხებენ: ჩვენ კი არ ვიცით, რომ ორიგინა- ლური პიესები კარგია გქეონდეს, მაგრამ საიდამ გა- ფაჩინოთო. მართალია; დრამატურგის ძალად ვაჩენა არ შეიძლება, მაგრამ შეიძლება ისეთი პირები დაბადოს, რომ მწერლებს ეხალისებოდეთ სცენი- სათვის წერა და მუშაობა, ახალგაზდებში გამოწვე- ულ იქმნას სურვილი და მეცადინეობა. რისიმე შე- ქმნისა, საჭიროა მხოლოდ მოხერხებულად შეუდ- გეს კაცი საქმეს, ინტერესი დაპატივოს ან სასყიდვ- ლით ან სხვა რამ ჯილდოთ. ერთის სიტყვით, სა- ჭიროა თაფლის გაჩენა და ბუზები ასე თუ ისე გაჩ- დებიან.

აგრეთვე აუცილებელს სიჭიროებას შეადგენს  
განსაკუთრებით ჩეენი სცენისათვის მუშაობა: პიე-  
სების მართებულად შესწორება, ენის გამოსუფთა-  
ება; როლების ჯეროვანად გათანაბილება მოთამა-  
შეთა შორის, როლების მომზადება და საფუძვლი-  
ანად შესწავლა ტიპის თუ ხასიათისა. შემდეგ სა-  
ჭიროა და მეტად საჭირო რეპეტიციები, მაგრამ  
ისეთი რეპეტიციები კიარა, საღაც მოთამაშენი რო-  
ლებს სწავლობენ, არამედ ისეთი, სადაც შინ ბე-  
ჯითად გაზეპირებული როლებად პიესა ხელოვნუ-  
რად მზადდება, მოთამაშენი ერთმანერთში შესაფერს  
დამოკიდებულებას იგნებენ, მიხერა-მოხვრის, შესვლა  
გამოსელას, ადგომა დაჯდომას, სიტყვა პასუხს და  
სსეა მრავალ აუცილებელ წვრილმანებს ერთად შე-  
იმუშავებენ, რის შედეგაც გამოდის ნამდვილი ხე-  
ლოვნური წარმოდგენა, სრული თანხმობა ყოვე-  
ლისფერში, თანდათანობა მოქმედებათა მსვლელო-  
ბაში და ბუნებრივი მოძრაობაში მოქმედნი პირთა  
შორის ყველა ამისათვის საჭიროა თეატრის ხელმძღვა-  
ნელიად იყოს ყოველის ფრით დახელოვნებული, ესტე-  
ტიური გემოვნების, კრიტიკული კკუის, ცოდნის და  
განვითარებული გონების პატრონი, ესე იგი, რეჟისორი,  
რომელიც არტისტების და საზოგადოდ სცენის სრული  
და დამოუკიდებელი ბატონად უნდა იყვეს. უნდა  
სუფერდეს საოცარი სიმორჩილე და გაგონება, ესე  
იგი, დისკაპლინა. მერე მზად უნდა იყვეს ყოველივე  
სასცენო წვრილმინი საჭიროებანი, ტანისამოსი,  
სამკული და სხვა. მრავალი მორთულობა არტის-

ტისა და სცენისათვის. სისყიდეელი შრომისათვის,  
ყველა ვინც-კი სცენაზე მსახურობს, უნდა ეძლე  
ოდეს თუ ბევრი არა, იმდენი მაინც რომ საცხოვ-  
რებლად ჰეთუნიდეს და ამასთანავე უსიკედილოდ  
სწორედ დანიშნულ ღროზედ ეძლეოდეს. პირვე-  
ლისათვის—დისციპლინისათვის საჭიროა რეფისორის  
მტკიცე, შეუსყიდელი პირუთენელი და პატიოსანი  
ხასიათი, მეორესათვის—სცენის მორთვისა და შრომის  
სასყიდელისათვის საჭიროა ფული, რომელიც ხალ-  
ხმა უნდა იძლიოს და თუ თხოვნით არ იძლევა  
თავის ნებითვე ამოაღებინოთ ჯიბილამ, და ფულებს  
რომ ამოიღებს ცხადია; მხოლოდ სამავიეროდ უნდა  
მიეცეს კარგი პიესა, კარგადვე მრმზადებული და ხე-  
ლოვნურად წარმოდგენილი:

ჩვენი სცენის სისუსტეს სხვათა შორის შეადგენს  
მოთამაშეთა რაოდენობის სიმცირე. მარტო პირვე-  
ლი ხარისხის არტისტები როდია სამყოფი რიგიანი  
სცენისათვის. საჭიროა მეორე, მესამე და მეოთხე.  
ხარისხის მოთამაშენიც; ძალა მათ შია; იმათ შემწე-  
ობით ბევრი რამ გაკეთდება, და ყოველ ნაირი პიესა  
დაიდგის. ხოლო თუ ისენი არ არიან, მაშინ ხეი-  
რიანი რეპერტუარის დადგმა ყოვლად შეუძლებელია;  
სცენის მოყვარენი უფრო გამოდგებიან კარგი რო-  
ლებისათვის, ხოლო უბრალო როლს, რომელსაც  
პირველ შეხედეთ დიჭი მნიშვნელობა არა აქვს,  
უკეთელად ეჭირვება გამოცდილი მოთამაშე, რათა  
ხშარად პიესის ხელოვნურად წარმოდგენა იშვიათ  
თითქმი უმწიშვნელო როლებზე, დამოკიდებუ-

ლი. ჩვენს სცენას განსაკუთრებით მოთამაშე ქა-  
ლები აკლია და აგერ ათი წელიწადი გადის და ვინც  
პირველად გამოვიდენ, იმათ მეტი არავინ ყვარება,  
ჩვენს თეატრს. ამას ჯეროვანი ყურადღება უნდა  
მიექცეს და შეძლების და გვარად მოიზიდოს მო-  
ათმაშენი. როცა თეატრში, — სცენაზე არტისტების  
რაოდენობა ცოტად თუ ბევრად საქმაო იქნება, მა-  
შინ საქმეები ერთი-ორად გაადვილდება და ყოვე-  
ლი პიესის წარმოდგენა შესაძლებელი იქნება.

დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოდ ყოველს  
გამგებლობას და კერძოდ თეატრისას; მეტადრე  
გამგებელთა სიმხნეებს, სიბეჭითებს, გამჭრიახობას,  
ერთის სიტყვით თეატრის საქმის რიგიანად მომარ-  
თვისათვის საჭიროა აღმინისტრაცია. მართალია, რაც  
გინდა თვალსაჩინო გამგებლობა და რიგიანობა  
სუფევდეს თეატრში, ეს მაინც ვერ გააჩენს ვერც  
ერთს ნიჭის, შესანიშნავ ღრამატურგებს და გამო-  
ჩენილ არტისტებს; ნიჭი და გენიოსები თავის-  
თავად იბადებიან და ღროს მოსდევენ, მაგრამ მაინც  
წესიერი და რიგიანი გამგებლობა საქმეში ისეთი  
ნიადაგია, სადაც კეთილი თესლი ისსნება და თავს  
იყრის, ხოლო ღვარძლი ძირში ხმება.

თეატრი და მისი საქმეთა რიგიანობა, წესიე-  
რი გამგებლობა იმ ზომაზედ უნდა იყოს დაუკარ-  
ბული, რომ ყოველს ნიჭიერს ღრამატურგს. თუ  
არტისტს და არაც თუ ნიჭიერს, არამედ უბრა-  
ლო შრომის მოყვარულ კაცსაც-კი თავის გამოჩე-  
ნა შეეძლოს, საქმობა ეხალისებოდეს, რაღაც კა-

ცის ბუნება ყოველგვარი სასყიდელის და ჯილდოს გარ-  
და ზნეობრივ სიამოვნებას თხოულობს. ამიტომაც  
თეატრის გამგებლობამ ძველებურ უწესოებასა და ური-  
გობაზე ხელი უნდა აიღოს და ისეთი პირები დაჰმა-  
დოს ყველასათვის ვინც-კი ჩვენი ეროვნული სცე-  
ნისათვის შრომობს და მეტადინეობს; რომ სამსახ  
ხური არ ეთაკილენოდეს. ამ პირობებს უნდა მიექ-  
ცეს უმთავრესი ყურადღება.

ამ თვალით რომ შევხედოთ თეატრს და მისს  
საქმის რიგიანობას, მაშინ ყველანი უცილობლად  
დაგვეთანხმებიან, რომ თეატრი და მისი წინ გაძ-  
ლოლა ისე ადვილი-კი არ არის როგორც ბევრსა  
ჰვინია. თეატრის საქმე იმის გარდა, რომ მეტად  
რთულია და წერილმანებით საესე, ეს საქმე მეტად  
სცეციალურია, მეტის-მეტად განსაკუთრებულს ცო-  
ლნას და მომზადებას. მოითხოვს საქმის გამგებლო-  
ბისაგან. ყველა ვერ შეიძლებს თეატრის მეთაურო-  
ბას და წინ გაძლოლას. თუ თეატრის საქმის სათა-  
ვეში ჯეროვანად მომზადებული და მცოდნე კაცი  
დგანან, მაშინ საძნელო იმდენი არაფერია და საქ-  
მე თავის-თავად დადგება სასურველ დონეზე.

არ შეგვიძლიან უყურადღებოთ დავსტოვოთ  
გამგებლობის წევრთა ხასიათი. შესაძლებელია კაცი  
ბუნებითეუე ნიჭიერი იყვეს, დრამატურგია იგი თუ  
არტისტი ან თეით გამგებელი, საქმის ცოდნაც და  
შომზადებაც ბევრი ჰქონდეს, მაგრამ იმავე დროს  
შაინც ვერ გამოდგეს თეატრის გამგებელად. ნიჭი  
და ცოდნა კაცს ჯერ კიდევ ნებას არ აძლევს გამ-

გებლობისას. ყოველი ადმინისტრატორი, საქმის სულის ჩამდგმელი და რიგიანი გამგებელი უსათუოდ მტკიცის და შეურყეველის ხასიათის პატრონი უნდა იყოს. ეს პირველი საქმეა ხშირად ამბობენ, რომ გულ-კეთილი, ჩვილი ხასიათის კაცი საქმეს უკეთ წაიყვანს და მეტს გააკეთებს. ეს, ჩვენის აზრით, დიდი შეცდომა. თეატრის საქმეში. გულ-ჩვილობა და სისუსტე ისე მავნებელია, როგორც ლაშქრის წინამძღვალისათვის გულ-მშიშრობა.

თეატრი უთავბოლო რესპუბლიკა, სცენა ანარა- ხიული, არაფრის გამგონე მუედანია, არტისტები თავ- ზედ ხელ-აღებული და არავრის არ მცოდნე თავისუ- ფლებას ეურუმები არიან პირველი მისი მცნება არის „არ მინდა“, მეორე — «ჯანაბას თქვენი თავი» და მესამე — «ფეხებზე მკიდია», არ არის ისეთი ძალა და კანონი, რომ არტისტის ჭირვეულობას ლაგამი ამოს- დოს, ამიტომაც თეატრის გამგებელს რკინისებური დესპოტიური ხასიათი უნდა ჰქონდეს და იმავე დროს მეტად პატიოსანი, პირუთვნელი და მართებული კაციც უნდა იყვეს, რათა ერთსა და იმავე დროს ყველანი პატივსა სცენებ მის კაცურ კაცობას და შიშითა კრინტს ველარ სძრავდენ მის დესპოტიურ ხასიათთან. ვისაც ეს არ სჯერა იმათ მივუთითებთ, ხო ქვეყნის თეატრსა და მათ გამებლებზე.

ამის გარდა თეატრის გამგებელმა ყოველი ლო- ნისძიება უნდა იხმაროს რომ თეატრი მწერლობას დაუახლოვოს, მათ შორის თანხმობა, ურთიერთის დაჯერება და პატივისცემა ჩამოაგდოს. ხშირად გა-

რგებთ არტისტისაგან: ეს და ეს მწერალი ან კრისტიკოსი სულელია, გამოყეყეჩებული და მეტიცაო, და პირ-იქით ზოგი მწერალთაგანი უარესს ამბობენ არტისტებზე. რა თქმა უნდა მიზეზი ხშირად პირადობაა. ან ერთი დასწერდა რასმე მკვაბე სიტყვებით, ან მეორე დამარხავდა ავტორის მძღვრს, მაგრამ უმე. ტესად-კი ჩვენის აზრით მიზეზი უფრო ღრმად არის. მათ შორის არ სუფევს ურთიერთობა, რის გაშო ყოველად შეუძლებელია ან ერთმა ან მეორემ ერთმანერთს ხელი შეუწყონ და ძმურის თანხმობით სწიონ წინ საერთო უღელი. ვიმეორებთ, თეატრსა და მწერლობას შუა ძჟური მეგობრული კავშირი უნდა სუფევდეს, ურთიერთობის გრძნობა ტრიალებდეს; მაშინ სიქმეც წინ წავა.

საჭიროა აგრეთვე თეატრის გამგებელისათვის ერთი თვისება; იმან უნდა მიიზიდოს ახალგაზდა მწერლები, დაიახლოვოს, გზა უჩვენოს, შრომა შეაყვაროს, მეცადინეობას დაიჩინოს და საზოგადოდ უნდა აიმედებდეს ყოველს ნიჭიერ ახალ-გაზდას, აორკეცებდეს მათ მეცადინეობას. აქ ძნელი არა-ფერი არ არის, თუ კაცი გონიერულად საქმეს ხელს მოჰკიდებს. ბევრი ყოფილა მაგალითი, რომ სრულებით უბრალო შემთხვევას მეოთხე და მეხუთე ხარისხის მოთამაშე უცრად აუწევია და აუმაღლებია პირველ ხარისხის არტისტამდე. გამგებელი შემთხვევას როდი უნდა ელოდეს, თვითონ უნდა სჩერეკდეს და სხებნიდეს მაგვარებს. ან აიღეთ კი-დევ ბენეფისები. თუ გამგებელი მოთამაშეთ ბენე-

ჭურის დროს ნებას მისცემს, რომ არტისტებმა თვით-  
თან ამოიჩიონ პესა, მაშინ აშკარაა, რომ მო-  
სამაშენი ეცდებიან ახალი პიესის მოძებნას; ან  
დრამატურგებს და ახალგაზღა მწერლებს მიჰმართა  
უნ პიესისათვის, ან გადაათარგმნინ ებენ, ან გად-  
მოაკეთებინ ებენ, რასაც, რა თქვა უნდა, ყოველი  
ახალგაზღა. მწერალი დიდის სიმოვნებით იკისრებს,  
და შეიძლებს კიდეც თუ-კი კაცურად შეეხვეწებიან და  
მოექცევიან. ამასობაში-კი მათ შორის დახლოვებაც  
მოხდება და მაშასადამე ყოველი მისაგან წარმოსა-  
დეგი კეთილი ნაყოფიც.

ხშირად გაფიგებთ ხოლმე, რომ ჩექნში ხალხის  
ჩანაფრნობა ძრიელ ძვირობსო და თეატრის შე-  
სახებ-გი სრულებით გავულერილდათ, მართლაც,  
ჩექნ შორის-კი იყოს და, მაგ მხრით ძნელად თუ  
სადმე მოიპოვება, ისეთი საზოგადოება როგორც  
ჩექნი. ჩექნ ძველ დროიდამვე გვეტყობოდა ეს თვი-  
სება და დღესაც უფრო აშკარად გვემჩნევა. უთან-  
ხმობა ურთიერთ შორის, განკერძება, უთანაგრძ-  
ნობლობა ამ საზოგადოებრივის ერთობილის ინსტი-  
ტუტისა, რომელიც გაჭირვების თუ სხვა რამ საერთო  
საქმის დროს ყველას ერთად თავს მოუყრის ხოლ-  
მე, რაც გინდა სხვა-და-სხვა ფერის და ჯურის ნა-  
წილებიდამ იყოს. შემდგარი გაჭირვებულთა ბრძო-  
დლევანდელი ჩექნი ურთიერთობრივი გრძნობის  
უქონლობა აგხსნება ერთის მხრით შესაფერი სწავლა-  
განათლების უქონლობით, ცხოვრების და ეკონო-  
მიურის უსწორ-მასწორობით, მოუმშადებლობით.

შრაწინაფე დასთა და მოთავეთა სიმცირით და სხვა  
მაგვარ მიზეზებით. ჩეენ ვვგონია, რომ ესეთი დრო  
დიდ ხანს ვერ ვასტანს, ეს მხოლოდ დროებით  
მოვლენაა — გარდამავალი; მაკრამ ამაშიაც ბევრი  
სანუგეშო არაფერია, მით უფრო რომ უმრავლესნი  
ჩეენის საზოგადოებისა წევრთაგანი ამას სრულებით  
ყურადღებას არ აქცევენ და მაშასადამე არც დაახ-  
ლოვებას და არც ერთად შერაზმეას ცდილობენ.

ეიმეორებთ, მართალია — ჩეენს ყოველს საზოგა-  
დოებრივს საქმეს საერთო თანაგრძნობა ყოველ-  
თვის ჰკლებია, რაც არც ჩეენს თეატრსაც აცდენიათ  
მაგრამ არც ის უნდა დავითვწყოთ, რომ საზოგა-  
დოებას ძალას ვერ ვინ დაატანს და არც შეიძლება —  
აქაო და ქართული თეატრია და უეჭველად იარეოდ  
ესეც ძალდატანებაა და შეიძლება ამ ვვარმა ყოფები  
გასტანოს სულ ბევრი ორიოდე წელიწადი, მაგრამ  
შემდეგ-კი ამ პატრიოტულ სიმებზე ელერა მაბეჭა-  
რი შეიქნება და უნაყოფოც.

იმისათვის რომ ხალხი თეატრს თანაუგრძნობ-  
დეს და დადიოდეს კიდეცა უეჭველად საჭიროა, რომ  
თვითონ თეატრი იძლეოდეს იმას, რისიც მოცემა  
შეუძლიან და რასაც კანონიერად მოითხოვს ხალ-  
ხი. ხალხს არ შეუძლიან თეატრის მემრისას გაუ-  
მჯობესობისათვის, რაშიაც ბევრი იმედი გასცრუე-  
ბია, დღეს იქმაროს იმისთანა თეატრი, რომელ-  
შიაც ვერც ახალსა და ვერც ძევლებურს ხედავს.  
ძევლი რაც იყო სულ ნახული აქცს და მობეზრებია  
კიდეც იმდენჯერ უნახავს, — ახალს თუ ასში ერთხელ

ჩახავს, — იმასაც მეტად უშნოს და უგემურს და ვინიც იბა თუ კარგია ყოვლად უხეიროდ და უწესოდ მომზადებულს და დაფგმულს. საკმარისია თეატრში იყოს ისეთი რამე, რაც საზოგადოების გულს ელამება, რაც მის სულსა და გულს საზრდოს აძლევს და მერწმუნეთ, რომ ხალხი უეჭველად მოვა და ავსებს თეატრს. თეატრი უნდა გადიქცეს იმ გვარ საზოგადოებრივი წყაროთ, საიდამაც ხალხს წყლულის მოკელა შეუძლიან:

საზოგადოდ ვიტყვით, რომ ყოველს ხალხს ძრიელ უყვარს ღვიძლის ცხოვრების და ზნე ხასიათის დანახვა გამოხატული დრამატიულ მწერლობაში და სცენაზე წარმოდგენილი. ჩვენი ხალხიც ემორჩილება ამ ზოგადს კანონს და ჩვენც გულგამოტეხით უნდა აღვიაროთ, რომ ქართველ საზოგადოებას ეს არა ერთხელ და ათვერ დაუმტკიცებია ამ უკანასკნელი ათის წლის განმავლობაში. კარგად თუ ავად ზატავდენ და არღენდენ ამ ცხოვრებას ამის და მიუხედავად ქართველ საზოგადოებას ყოველთვის აუვსია თეატრი, როცა-კი ხცენაზე ისეთი პიესა წარმოუდგენიათ, რომელშიაც იხატებოდა მისი ცხოვრება და ხასიათი, მისი ავ-კარგიანობა სასაცილო და სამწუხარო მხარე, მისის წარსულის თუ აწინდელის მოვლინება ყოფა-ცხოვრებისა და მდგომარეობისა.

ამ საგანზედაც უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, რადგან ესეც ჩვენის თეატრის ერთად ერთს საჭიროებას შეეხება.

ამით გავათავებდით ქართული თეატრის თაქო-  
რიებაზე ლაპარაკს, მაგრამ არ შეგვიძლიან უყუ-  
რადღებოდ დავსტოვოთ კიდევ ერთი საგანი, რო-  
მელსაც, ჩვენის აზრით, უკანასკნელი ადგილი არ  
უჭირავს თეატრის კეთილ-დღეობაში, ამიტომ სიტყვა  
ცოტა გაგვიგრძელდება.

ჩვენ კრიტიკაზე ვლაპარაკობთ. პისები თუ  
წარმოდგენები თუ მოთამაშეთა ხელოვნება უეჭე-  
ლად კრიტიკულები გარჩევით უნდა იღვამდენ სულს  
და ახალს მაცხოველებელს ძალ-ღონებს უნდა ღუ-  
ბულობდენ მემრისი დღეგრძელობისათვის. კრიტი-  
კას ორ გვარი მნიშვნელობა აქვს. ერთი რომ აც-  
წორებს და არკვევს აწინდელს და მეორე ის რომ  
ნიადაგს უმზადებს მომავალს. ეს ზოგადი კანონია  
კრიტიკისა.

რაც შეეხება ჩვენს თეატრს და სცენას მისთვის  
ესტეტიური კრიტიკა ამ ფამად ერთი ორად საჭი-  
როა, რადგან ჩვენ არა გვაქვსთ არც სასცენო სკო-  
ლები, არც სპეციალური სახელმძღვანელო წაგნები,  
სიიდამაც შეიძლებოდეს სასცენო და დრამატიული  
ხელოვნების შესწავლა და ჯეროვანად შეგნება და  
ამით მრავალ გვარი წარმეტება, ამ საქმისა.

ამ გვარს ყოფაში, რა თქმა უნდა, ესტეტიუ-  
რი კრიტიკა ბევრს სიკეთეს შესძენდა ჩვენს თეატრს,  
ღრამატიულ და სასცენო ხელოვნებას და თვით  
ხალხსაც.

იშაიათად შეხვდება კაცი სხვაგან სადმე ისეთ  
აჩეულ-დრეულს შეხედულობას თეატრალურს ხე-

ლოვნებაზე, როგორც ჩვენში. საზოგადოებაშიაც  
 და მწერლობაშიაც ისეთს უცნაურს და ყოვლად  
 შეუძლებელს მსჯელობას ვაიგებთ, რომ სირცხვი-  
 ლის ალმული დაგწვავთ; თუ უცხო კურმა კური  
 მოჰკრა მათ. კრიტიკოსობას და რეცენზეტობას  
 ყველა კისრულობს, თითქმ ეს ისეთი ადვილი. სა-  
 ქმედ იყოს. პირველისაუე შეხვედრილს კაცს, რო-  
 მელმაც თავისი ხახელი და გვარის მოწერა იცის,  
 რომ კითხოთ: შევიძლიან რეცენზია ან კრიტიკა  
 დასწეროვა. შებლაც არ შეიკრავს, თვალსაც ამ  
 დაახამხამებს ისე მარტივ შიპასუხებთ: „როგორ  
 არა, რამდენიც გინდაო“. არც მოშზადება, არც  
 ცოდნა. იმათვის არაფვრი არ არის საჭირო! მი-  
 ტომაც გამოდის ისე დომხალივით არეული შეხე-  
 დულობა, ისეთი უკიდოერესი დაფასეშა ერთისა  
 და იმავე საგნისა, ისეთი უცნაური დასკვნა! მარ-  
 თალია, ჩვენში არ არის როგორც უცხოეთში,  
 ისეთი ლიტერატურული მძახლობა და მამინათლო-  
 ბა, რომელიც საქმეს ძირს უთხრის, თუმცა ჩვენ-  
 შიაც კი იდგამს ფეხს ხსენებული სენი, მაგრამ სა-  
 მაგიეროდ ჩვენში არ არის არც ისეთი მართებული  
 და კანონიერი ზომა ზა საწყობ დაფასებისა, რო-  
 გორც უცხოეთში. ჩვენში დღეს ერთსა სწერენ  
 ხვალ მეორეს და ასე დაუბოლოვებლად და ბოლოს  
 კი ყველაფერი ეს მეტად ცუდათ მოქმედებს მოთამაშე-  
 სა და მწერალზე, გამოკეთების და სარგებლობის მა-  
 გიერ უფრო აფუჭებს და ზიანს აძლევს საქმეს.  
 ესთიც დამეორეც, ხრულებით პატივს არა სცემენ და

ბეჭდილ სიტყვას, რისგამო მერე მართებული შენიშვნაც რომ დაუწერო არ დავიჯერებს; ამის, გარდა ცრუ კრიტიკა აფუჭებს ესტეტიურ შეხედულობას, ჯემოვნებას და საზოგადოთ რყვნის ყოველს. ნიჭის და საქმის სიყვარულს, შრომას და მეცადინეობას.

ამა, გადაშალეთ ჩვენი ეურნალ-გაზეთები! თუ ისე შემთხვევით დაბეჭდილი წიგნაკები, სწორედ გაგაოცებენ იმდენი უცნაური „ჯანყით და ბურუ- სით მოცულ კლიტოკოსები“; ვერსად შეხვდებით კრიტიკის. ანბანის მცოდნეს. სრული უმეცრება და თავმომწონე სისულე ერთად მოიჭიმებიან, რომ გაგაცეიროვნ თავის არარაობით.

საზოგადოთ კრიტიკის უქონლობა ჩვენში სამწუხაოოდ დიდი ხანია შემჩნეულია, მაგრამ თეატრის რეცენზები მეტად უგვანო რაზარიან: ხშირად არაფერსა სწერენ და თუ დასწერეს რამე — ხომ უფრო უარესი. ამავე დროს ისიც უნდა ვსთქვაო, რომ თუ მართლა საჭიროა სადმე ნამდვილი კრიტიკა, ხელოვნების თეორია და კანონები, ისრე არსად არარის საჭირო, როგორც სასცენო და დრამატიულ ხელოვნებისათვის.

დრამატიულ თხუზულება დანიშნულია არა წასაკითხავად, არამედ საჯარო წარმოსადგენად, სადაც იმისი ზედ მოქმედება და გავლენა ათასის და ათასათასის ნაირი ჯურის და ფერის, წლოვანების და სქესის, მიმართულების და განვითარების ხალხზე ასე თუ ისე მოქმედობს, ამაღლებს და ასპექტებს მის სულის და გონების განძს, გზას უჩვენებს პა-

ტიოსნური მოქმედისაკენ, ზრდის მათს ნება-ყოფ-  
ლობას და გრძნობას, — ამიტომაც თეატრალური კრი-  
ტიკა მეტად ძნელია, მეტად შრავალ ფეროვანი და მრა-  
ვალ მხროვანია. ჩვენი თეატრისათვის კი მით უფრო  
საჭიროა კრიტიკარომ ჯერ არც თეატრი და სცენა, არც  
დრამატურგები და არტისტები და არც მაყურებე-  
ლი ხალხი მომზადებული არარიან. ჩვენში კრიტიკის  
მაღას დიდი მნიშნველობა ექნება; კრიტიკა მართე-  
ბულიდ გამოსკვნიდა დრამატიული და სასცენო  
ხელოვნების თეორიას; ხოლო თეორიის გამოგონება  
არების არ დასჭირდებოდა, რაღაც ის დიდი ხანია გამო-  
გონილია უცხოეთ ში, ეცროპიულს მწერლობაში.  
საჭიროა მხოლოდ იმისი საფუძვლიანად შესწავლა  
და იმ შესწავლულის და შეთვისებულის კრიტიკუ-  
ლის საწყაოთი არწყვა და დაფასება ჩვენის დრამა-  
ტიულის და სასცენო ხელოვნების მეტ-ნაკლებო-  
ბისა.

ჩვენის აზრით, კრიტიკა უნდა ეხებოდეს დრა-  
მატურგს თუ არტისტს ისე, რომ სახელს არ უტეხ-  
დეს და ტკივილისაგან არ აბრაზებდეს, მარტივად  
და მკაფიოდ აკრძნობინებდეს ნაკლს და შეცდომას.  
უჩვენებდეს. და მიუთითებდეს კარგსა და ავსა და  
არა მარტო ლიტონის სიტყვებით, არამედ მაგალი-  
თებითაც. კრიტიკამ უნდა არჩინოს ავადმყოფობა  
და არა უფრო აშალოს სენი; ამასთან ავე კრიტიკას  
ისიც უნდა ჰქონდეს თვალში, რომ მარტო დღეი-  
სათვის არა სწერს, არამედ ხეალისათვის. და მემრი-  
სათვის.. კრიტიკა მასწავლებელია და წინასწარმე-  
რისა.

ტყველიც. როგორც ერთს ისე მეორესაც უწინა-  
რეს ყოველისა მხედველობაში სიმართლე უნდა ჰქონ-  
დეს. მიკერძება პირადობა და განზრახულება კრი-  
ტიკის ფანგია. რაც გინდა ნიჭიერი იყოს კრიტიკა  
თუ კი მას ხსენებული ფანგი აცხია მისი მოქმედე-  
ბა ფუჭია და თვითონაც სამარცხეინო. კრიტიკის  
ძალა სიმართლეშია და მხოლოდ იმისათვის უნდა  
იბრძოდეს; ზოლო ეს ბრძოლა მოფიქრებული და  
დინჯი უნდა იყვეს, რაისათვის საჭიროა კრიტიკას  
ჰქონდეს მეტოდი; ამის გარდა კრიტიკამ უნდა  
იცოდეს სად მიღის, რომ სწორის გზით დანიშნული  
საგნისაკენ იაროს. კრიტიკა ყოველ შემთხვევა-  
ში უპირადო უნდა იყვეს, იგი მნიშვნელობას არ  
უნდა აძლევდეს მოპირდაპირეს გასარჩევი საგნის  
დამარცხებას თუ გამარჯვებას. ეს სრულებით შე-  
მთხვევითი მოვლინებაა. კრიტიკის ინტერესია მხო-  
ლოდ სიმართლის მოსძებნა, მისი გამოქვეყნება,  
ნაგავში მარგალიტებეს მონახვა და მათი ასხმა. სას-  
ცენო კრიტიკა უფრო ძნელია ჩვეულებრივ კრი-  
ტიკაზე, რადგან მოთამაშეთა ხელოვნების გარჩევა  
კრიტიკისაგან ითხოვს ჯეროვან სიღინჯეს და დიდს  
სიფრთხილეს მსჯელობაში. წარმოდგენის შემდეგ  
არტისტის ხელოვნებისაგან არაფერი ნიერიერი  
აღარ რჩება. შთაბეჭდილების მეტი, ხოლო პიესა  
სამუდამოთ და საყოველთაოდ რჩება და მაშასადამე  
თუ დღეს კრიტიკა შეცდა მის დაფასებაში, ხვალ  
შეიძლება ისევ ხელ-ახლად გაარჩიოს ან სხვა ვინ-  
მეშ გაარჩიოს და ამ რიგად კვლავ აღადგინოს მწერ-

ლის ან პიესის ღირსება ან ნაკლულევანება, ხოლო არტისტის თამაშობის დაფასება ყოველთვის სადაც ულა. ის შოაბეჭდილება და ჰედ-მოქმედება, ჩომერ ლიც მოახდინა. არტისტის ხელოვნებამ წარმოდგენასათანავე თავდება, მალე გარდამავალია და ცოტად თუ ბეჭრად მისი ღირსების თუ ნაკლულევანების შენიშვნა კრიტიკის ხასიათზე, პირადი გემოვნებაზე დამოკიდებული და ამიტომ, ვიმეორებთ, თეატრალური რეცენზია და კრიტიკა ყოველ შემთხვევაში დიდ სიფრთხილეს, კარგად დაფიქრებას და ჯეროვან სიდინჯეს თხოულობს დამწერისაგან.

საზოგადოდ სერიუზული კრიტიკა და კერძოთ ფხიზელი და ფრთხილი რეცენზია ჩვენს თეატრს და სცენას ძრიელ ეჭარევება და რაც მალე ეშველება ამ გასაჭირს. მით უფრო ერთი-ორად წინ წავაჭროული თეატრის საჭმე.

## ქართველი ღრამატერებები

ძნელია, მეტად ძნელი, თანამედროვე მოღვაწეთა აფ-კარგიანობის გამჟღავნება, მათი ღირსებისა და ნაკლულოვანებისა აკინძეა.

რაც გინდა ჯეროვანად მოჟიქნებული და უტყუარი იყოს შენი მსჯელობა, რაც გინდა პირუთვნელი და მართებული იყოს შენი დაფასება,

შენი უპირადო, გულ წრთელი და სიყვარულით  
გამოწვეული დასკვნა, მაინც ყოველად შეუძინებე-  
ლია, რომ შენს მართებულს სიტყვას და წმინდა  
გულის სიღრმიდამ აღმოხეთქილს მსჯელობას რამდე-  
კილო არ გამოაბან, არ შევბრალონ. ან პირა-  
ღობა ან მიღებობლობა არ დაგწამონ, ან სიბრივეე,  
ან უცოდინარობა არ გაკუთვნონ.

ეს სიძნელე ერთი ათად უფრო ორკეულება  
იქ, სადაც ჯერ კიდევ მაღალი კრიტიკის მახვილს  
ნებატარს არ უმუშავენია, სადაც მომეტებულთა თავ-  
მოყვრეობა იქამდისინ რავ-გასულია და სიმართ-  
ლეს მოკლებული, რომ გამარჯვების თქმა ღვთის  
რისხეად მიაჩნიათ; სადაც არ სუფევს არც საზოგა-  
დოებრივი გაწურთვნილობა და არც ცოტაოდენი  
პატივისცემა დაბეჭდილ სიტყვისა, სადაც მსჯელო-  
ბა და შემხედველობა ისრე არეულია, რომ მამაშვილ-  
სა ველარ სცნობს.

ეს ჩვენ ყველაფერი კარგად ვიცით და არა  
ერთხელ და ორჯელ გამოვიცდია ჩვენ თავზე,  
მაგრამ რაც უნდა იყოს შიში „ვერ იხსნის სიკვ-  
დილსა, ცუდია დალრეჯილობა“ და რაც ოდესშე  
მოსალოდნელია, სჯობს თუ დღესვე ასრულდება.  
ერთხელ ხომ მაინც უნდა გაგვემჟღავნებია ჩვენი  
აჩრი.

მართალია, ჩვენ არც ცხენი გვყავს შეკაზმული  
და არც ღეხი უზანგში ჩაგვიყვაია, რომ სიმართლის  
თქმის შემდევ გაძევევა შეგვეძლოს, პირ იქით, ხელ-  
ფეხი შეკრული ვეაქვ! — მეტს ვიტყვით — იქნება ჯლიუ-

რი ლუქმაც გაგვიწვიტონ კიდეც, ეს ხომ მოდაშია ეხლა, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენსას ავად თუ კარგად ვიტყვით და მერე რაც უნდა გვიყონ, ამათ სინიდისს უყუროთ. ეხლა ვფონებ კმარა ამდენი ბოდიშიც. საქმეს შეეუდგეთ.

ამ თავითვე ჩვენი მსჯელობის საწყაოს ასე გამოეხატავთ; ყოველი მწერალის ღირსება მისის მართალის გიმოხატულობით ფასდება, ხოლო სიმართლე არის და სიმართლეც. ყოველს სურათს მწერლისას უნდა უეჭველად რაიმე აზრი და საგანი ჰქონდეს. უმნიშვნელო, უაზრო და უაგრძ მართალს სურათს ფასი არ აქვს. თუ მწერლის მართალს აღწერილობას აკლია საზოგადოებრივი ინტერესი, თუ იგი საერთო სენს და ჭირს არ მკურნალობს თუ ცხოვრების უკულმართ, უწესო და მავნებელ მოვლენებას არ ებრძვის — ვიმეორებთ — იმგვარი სიმართლე უფასურია, იმ გვარი თხზულება უმნიშვნელოა.

აშამიანის ნიჭის თუ გონების ძალა და ღონე, რა გინდა საგანშიაც იყოს იგი, უწინარეს ყოველი-სა უნდა ფასდებოდეს ნიჭის თუ გონების სიგრძე-სირლმით, მნიშვნელობით, რაიმე საჭიროებით, იმ კითხვის ახსნით, რომელიც მწერალს თუ საზოგადოებას თავში და გულში უტრიალებს და მოსვენებას არ აძლევს. უმნიშვნელო, პრტყელი და კუდშოკე საგნებით და კითხვებით მხოლოდ უნიჭი, გონება სუსტი, ყრუ და თვალ ახვეული მწერლები ინტერესობენ და მით იკვებებიან. ეს არის ჩვენი მსჯელობის საძირკველი.

პირველი საკითხავი, რომელიც თავში მოუვა ჩვენი თეატრის მეთვალყურეს უეჭველად იქნება; გვაქვს თუ არა ქართველობას დრამატიული და სასცენო ხელოვნება და მათი ღირსეული და ძლიერი წარმომადგენელნი? ამაზე პასუხის მიგება ძრიელ ძნელაა, მეტადრე ქართველი კაცისათვის.

მართლაც, კარგად რომ დაეფიქრდეთ გ. ერის-თავის და ზ. ანტონოვის შემდეგ, ჩვენში დრამატიული მწერლობა თითქოს, უნდა იყოს და არის კიდეც, მაგრამ ის რაც არის ისე მკრთალი და უძლურია და მერმისის იმედიც ისე სუსტი და მჩატეა, რომ კაცს სწორს პასუხს არ გათქმევინებს.

ჩვენ გვაქვს რამდენიმე ორიგინალური და იმაზე ერთი ორად მეტი გადმოკეთებული პიესები, მაგრამ ამით ჯერ კიდევ არ მტკიცდება რომ ჩვენში დრამატიული მწერლობა ძლიერი იყოს. ეს არის პირველი ჩვენი დრამატურგის უბრენაურება.—თითქმის ყველა ჩვენი პიესები ამ უკანასკნელი ოცდა აოის წლის განმავალობაში დაწერილი სახელოვანი თუ უსახელო მწერლებისაგან მოკლებულია იშ შემართებელ ძაფს, აზრს და მიმართულებას, ურომელისოთ კაცმა შეუძლებელია გადაჭრით სთქვას, რომ ეს და ეს პიესა დრამატიულ მწერლობის აღორძინებას ეკუთვნის ამა და ამ დროის საზოგადო სენის საწინააღმდეგოლ. ეს აუცილებელი პირობა ყოველ გვარი ლიტერატურულის მოძრაობისა ჩვენში არ არის. არ არის აგრეთვე ის კავშირი ძველსა და ახალ დრამატიულ მწერლობასა შესა, რომლით

შეიძლება ფაქტა შვილი გამოიცნოს მაშისაგან და  
მამა შეიღისაგან. ეს ნათესაობითი კავშირი ჩვენს  
დრამატიულ მწერლობაში სრულებით არ არის.  
ახალს დრამატიულ მწერლობას ამის გარდა ეტყობა  
კიდევ ერთგვარი მეტად საგრძნობელი ნაკლი და  
სისუსტე, — ეს გახლივთ სრული უქონლობა რომელ  
ლისამე შევნებულის მიმართულებისა, ბრძოლა და  
მუდმივი წინააღმდეგობა. საზოგადოების ნაკლულე-  
ბან ებასთან და ცხოვრების უკუღმართი მოვლინე-  
ბასთან.

ერთად მოუყრით თავს ჩვენი დრამატურგებს  
თუ ცალ-ცალკე განმარტებთ — სულ ერთია; — ერც  
ერთს და ვერც მეორე შემთხვევაში ვერ მიაგნებთ  
აჩრის ურთიერთობას, მიმართულებითა თანხმობის;  
მეტს ვიტყვეთ — ერთი ფრონი დღეს ერთს ჭრდა-  
ვებს, ხვალ სულ მეორეს.

ამის მიხეხის გავეძა ძრიელ ადვილია. როდე-  
საც დრამატიულ თხუზულებას ეკარგება ლიტერა-  
ტურული პნიშენელობა და მარტო სცენისათვის  
არის გამოსადევა და მხოლოდ მისთვის დაიშნულია,  
მაშინ ყოვლად შეუძლებელია ნამდვილი მწერლო-  
ბის გახენა, დრამატიული ხელოვნების აღორძინება;  
ეს რო ჭკუაზედ ახლოა ამას გვიმტკიცებს ჩვენი  
ორიგინალური რეპერტუარი. მთელს რეპერტუარში  
თუ შეხვდება კაცი სამიოდე ნამდვილს ლიტერატუ-  
რულს პიესას, თორემ დანარჩენიდ სრულებით უმ-  
ნიშენელო არიან. მათ რაც ლიტერატურული მნი-  
შვნელობა ეტყობათ, არც რამე აზრი, არც

არა ნამდვილი ხელოვნება და შემოქმედებითი ძალის  
ღირსება. მომეტებულ ნაწილად ჩვენს პიესებს.  
მარტო ტლან ჭი და უაზრო ფარსის ხამრათი აქვთ.  
პიესები მომეტებულად მხოლოდ იმას ცდოლობენ,  
რომ, რაც კა შეიძლება, მეტი უაზრო და უკბილო  
სიცილ-ხარხარი გამოიწვიონ ბაყურებლებთ ჭორის,  
რითაც წერილმან თავ-მოყვარეობას იკმაყოფილე-  
ბენ ხოლმე,

ამგროშიანი გეირგეინისა და სახელის გული-  
სათვის ჩვენს დრამატიულს მწერლობას დავიწყებუ-  
ლი აქვს ყოველისფერი: ლოგიკა, დრამატიული ხე-  
ლოვნების კანონები, ფსიხოლოგიური სიმართლე,  
მართებულად ცხოვრების და სიცოცხლის გამოხა-  
ტვა, შეგნება ცხოვრების სახაცილო და სამწუხარო  
მოვლანებისა; იმ ცხოვრებას, რომლის უტყუარი  
სარკეა დრამატიული მწერლობა ჩვენში სრულებით  
ყურადღებას არ აქცევენ და ათასში ერთხელ თუ  
დააკვირდა ვინმე მაშინაც-კი ვოდევილური და მა-  
სხრულ თვისებას გამოჩიჩენიან ხოლმე, რათა ხალ-  
ხი აცინონ, თითქოს მარტო უაზრო სიცილში იყვეს.  
პიესის ღირსება, ხოლო რაც შეტად ყურად საღე-  
ბია ცხოვრებაში, ადამიანის ზნე ხასიათში, სულსა  
და გუნებაში, რაც თვითონ თვალში ეჩირება კაცს.  
ყოველ ნაბიჯზე, იმას ზურგს აქცევენ, ყურს იყრუ-  
ებენ და თვალს იბრმავებენ.

რასაკვირველია, რომ ამ ვვარ ყოფაში დრა-  
მატიული მწერლობა ხორცია ვერ შეისხამს. და  
ფერშიაც ვერ იმატებს; სასცენო ხელოვნება მისა-

უცემა, მაყურებელთა გემოვნება ფუჭვება, ესტეტი-  
ური გრძნობა, ირყვნება და ჩლუნგდება. ამის შე-  
მდეგ არ უნდა გვიკვირდეს, თუ ხშირად გავიგებთ  
ხელმე ჯერ გემოვნება-გაუფუჭებელი ზოგიერთ  
თეატრის მოყვარეთაგან, რომ თეატრი სალახანად  
გადიქცა, პიესები მასხარული თავ-გასართობად, არ-  
ტისტები—ოინბაზებადო.

ჩვენში დრამატიული მწერლები შართლა რომ  
ყურადღებას აქცევედენ ცხოვრებას და რომ მის ავ.  
პარგიანობის გამოკვლევბში შედიოდნენ,—განაცო-  
ტა მასალა ექნებოდათ რიგიანი და სასარგებლო  
პიესების შექმნისათვის! ვინც გონების თვალით  
დასკერებია ჩვენს ცხოვრებას ამ ოცდა-ათის წლის  
განმაილობაში, ის იმდენ ღირს-შესანიშნავს და საგუ-  
ლისხმიერო მაგალითებს ამოჰკრეფტდა ჩვენი საზოგა-  
დოების ცხოვრებიდამ ყოველ წრის და წოდების  
ყოფაში, რომ ათს და ასს დრამატურგებაც-კი შეეძ-  
ლებოდა მათი ერთმანერთში განაწილება. შართა-  
ლია, მდგომარეობა და პირობა ჩვენის ცხოვრებისა  
ძრიელ აფერხებს მწერლის კალამს სრული სურათის  
დასახატავად, მაგრამ რაც უნდა იყოს დაბრკოლე-  
ბას ძლევა უნდა. როცა გზა-ტკეცილით სიარული  
არ შეიძლება ბილიკებით უნდა ვიაროთ საგნის  
მისაღწევნად. ეს, ვგონებთ, ყველასათვის ცხადია,  
თორემ აიღეთ სხვა ხალხის მაგალითები, მათშიაც  
ყოფილა ბევრი დამაბრკოლებელი მიზანი და არა  
ნაკლები ჩვენისა, მაგრამ საზოგადოთ მწერლობა  
და კერძოდ დრამატიული ხელოვნება გათანხმო-  
ბამდე არ მიუშვიათ, არ დაუნებებიათ.

როცა ჩვენს თეატრისა დრამატიულ მწერლობასა თუ სასცენო ხელოვნებაზე დაიწყებს კაცი ლაპარაკს, ყოვლად შეუძლებელია თავისი საუბარი ნეტარ ხსენებული გიორგი ერისთავისაგან არ დაიწყოს. გ. ერისთავი იყო საქმის დამწყები და გზის მაჩვენებელი შთამომავლობისათვის, ამიტომაც როცა ქართულ დრამატიულ მწერლობაზე დავიწყებთ ლაპარაკს, უეჭველია, ჩვენ ვერ ავცდებით გ. ერისთავს და ჸ. ანტონოვს.

გ. ერისთავი და ჸ. ანტონოვი ირიან ჩვენი პირველი დრამატურგები და ქართული დრამატიული და სასცენო ხელოვნების დამბადებელნი. ორნივე როგორც დრამატიუგები სამაგალითო შეიქმნენ ჩვენში; მათი შექმნა პიესებისა, გარეგანის და მინაგანის მხრით, მოქმედებათა მსვლელობა, დასაწყისი, მოძრაობა, განვითარება და დასკვნა პიესებისა, ხასიათი და ზე, ქალები და კაცები, ძველი და ახალი თაობა, ვაჭრები, მემამულენი, სობნები, რუსები და ქართველები გოგოები, და ბიჭები, გლეხები და თავადები, კინტოები, იმერელი მოსამსახურები, და სხვა მრავალი მოქმედნი პირები, რასაც დღეს ვხედავთ ჩვენს ახალ ორიგინალურ თუ გადმოკეთებულ პიესებში სულ გ. ერისთავის და ჸ. ანტონოვის შეილები არიან, მათის ნიჭით და ხელოვნებით შექმნილნი და ხორც-შესხეულნი.

გ. ერისთავის ოჩიფინალურ პიესებში, რომ  
გორც მაგალითად „გაყრაში“, „დავაში“ და სხვა-  
ში ბევრი ნაკლი მოიპოვება. როგორც პიესის აშე-  
ნებაში, აგრეთვე ხასიათების ღირსებაში, მაგრამ  
ხსენებული პიესები პირდაპირ შეეხებიან თანამე-  
დროვე ცხოვრების ვითარებას, და ამ მხრით გ.  
ერისთავის პიესები გარდამეტებით სჯობნის ეხლან-  
დელს პიესებს, რომლებშიც დედააზრი და ტენ-  
დენცია სრულებით დავიწყებულია. უმნიშვნელო  
კომიკური შინაარსისათვის და ხშირად სამასხარო  
გარევნობისათვის.

ჩვენ ამ გამოვუდგებით გ. ერისთავის და ზ.  
ანტონოვის პიესების გარჩევას და მათს დაფასებას  
როგორც დრამატურგებისას, ვიტყვით მხოლოდ  
იმას, რომ ორმა პირმა გააჩინა ჩვენში დრამატიუ-  
ლი მწერლობა, ისტორიული თუ თანამედროვე  
ცხოვრების დრამა, ხასიათების, ზნე-ჩვეულების და  
ყოფა-ცხოვრების კომედიები, ვოდევილები და ფარ-  
სები. მომეტებულად-კი იმათ კომედიებზე ჰქონდათ  
მიქცეული ყურადღება და ამ გარემოების მიზეზით  
დღესაც კი ჩვენს მწერლებს უფრო კომედიების  
წერა ეხერხებათ. გ. ერისთავის და ზ. ანტონოვის  
სახელი სამუდამოდ დარჩება ქართულ დრამატიულ  
მწერლობის ისტორიაში.

გ. ერისთავის და ზ. ანტონოვის შემდეგ უც-  
ხელად უნდა მოვიხსენიოთ გ. სუნდუკიანცი. ეს  
პატივცემული აეტორი თუმცა გვარტომობით სოჭ  
მეხია და სომხურადვე სწერს თავის პიესებს; მაგრამ

მის პიესებში გამოყვანილი პირები შეტად მჭიდროდ  
 არიან დამოკიდებული და დახლოვებული ჩვენს  
 ცხოვრებასთან, უფრო გადაჭრით ვიტყვი, ჩვენებუ-  
 რი ვაჭრობის წარმომადგენელნი არიან. ამის გარ-  
 და გ. სუნდუკიანცის პიესები ქართულ სცენის  
 აღორძინებასთან ძრიელ დაკავშირებულნი არიან.  
 ქართული დასი პირველ წარმოდგენილამ დღევან-  
 დლამდე თამაშობს. სუნდუკიანცის პიესებს და  
 ისე თამაშობს, რომ სობხური სცენა კიდევ დიდი  
 ხანი გაივლის და მაინც სიშზარშიაც ვერ წარმო-  
 იდგენს იმ გვარ ხელოვნურს შესრულებას. ამ მო-  
 საზრების გამო გ. სუნდუკიანცი ერთს საუკთხეო  
 დრამატურგათ უნდა ჩაირიცხოს ქართულს მწერ-  
 ლობაშიაც, რადგან სუნდუკიანცმა დიდი და შეუ-  
 ფერხებელი გავლენა იქონია ჩვენ ახალ დრამატიულ  
 მწერლობაზე. მისს პიესებს დიდი ნიჭის გარდა  
 ეტყობა დიდი ცოდნა ცხოვრებისა, დიდი  
 შრომა და შემუშავება იმ მასალებისა, რო-  
 მელთაც ცხოვრება იძლევა და რომლებიდამაც სუნ-  
 დუკიანცი ისე ხელოვნურად აშენებს თავის პიესებს.  
 გ. ერისთავის და გ. ანტონოვის შემდეგ მხოლოდ  
 გ. სუნდუკიანცმა შემატა ქართულს რეპერტუარს  
 უტყუარი ხელოვნური კომედიები, პირ და პირ ცხოვ-  
 რებიდამ ამოგლეჯილი მომქმედნი პირნი, მართებუ-  
 ლნი ხასიათები და ტიპები; სუნდუკიანცი ეხება თავის  
 პიესებში თბილისის ცხოვრებას, აქაურს მოვაჭრე  
 სომხებს, შიგი აშკარად გვიჩვენებს მათს ნაკლულოვა-  
 ნებას, ზექ-ჩვეულების სიღარიბეს, მათს ფუჭს ყოფა  
 ცხოვრებას. და ყველაფერს ამეცნის ხატავს საოცარის

ხელოვნებით, მწარევ დასკინის და სამარტვეინო  
 ბოძზე აკრაქს ცხოვრების და პირების სისულელებს  
 და სიბოროტესა. ღილი ღირსებად ჩაეთვლება აგ-  
 რეოვე ის გარემოებაც, რომ ყველა მის პიერებში  
 აშკარად გამოსჭუის დედა აზრი, ტენდენცია და  
 შეგნებული მიმართულება. სუნდუკიანცის კალაშმა  
 არ იცის პირფერობა, იმისათვის სუყველა ერთია:  
 შავს შავად და თეთრს თეთრად გვიხატავს და სი-  
 მართლის გულისათვის არაფერს ზოგავს. ამიტომაც ა-  
 თუ მარალი დრამატულს საჩვებლობის მოტანა  
 შეუძლიან, მაშინ სუნდუკიანცის შრომა დიდათ-  
 სასარგებლო იყო სომხურ და ქართველ საზოგადო-  
 ებისათვის. სუნდუკიანცის ერთი საუკეთესო პიესად  
 იჩიცხება „ხათაბალი“, სადაც პატივცემული ავტო-  
 რის ნიჭი და ხელოვნება უმაღლესს წერტილიდე  
 ადის. ამ პიესაში არც ერთი მომქმედი პირი, არც  
 ერთი გამოსვლა თუ გასვლა, არც ერთი სტრიქონი  
 და სიტყვა შეტი ან ნაკლები არ არას. ასე ხელოვ-  
 ნიურად აშენებულს პიესას კაცი იშვიათად შეხვდე-  
 ბა, მეტადრე იმ გვარს მწერლობაში როგორიც არის  
 სომხური დრამატიული მწერლობა ჯერ ყოვლად  
 სუსტი და რომელსა პიესია ხომ სულ არ აბადიათ  
 ერთი რამ ნაკლი აქვს ამ პიესას და ერთხელ  
 კიდეც შეგვინიშვავს პატივცემულ ავტორისათვის,  
 მაგრამ აქტორმა აინუნშიდაც არ მიიღო ჩვენი შე-  
 ნიშენი და თავის პასურში ჩვენი შენიშვნა უცო-  
 დინარიგბად ჩამოგვარუვა. ჩვენ მაშინ თუ არ ვუ-

პასუხეთ აეტორს, ამაზე ბევრი მიზეზი იყო და სხეათა  
 შორის პატივცემული აეტორის მეტის მეტად გაზვია-  
 დებული თავ მოყვარეობა. ჩვენ მაშინა ვსთქვით და  
 დღესაც ვიმეორებთ რომ სუნდუკიან ცი დამნაშავეა  
 მარგალიტის შესახებ; ეს დანაშაულობა და ნაკლი ის  
 გახლავთ, რომ მარგალიტა ორს თუ სამს სცენაში  
 თავის მახინჯი და გონჯი სახის წყალობით სიცილს  
 იწვევს საზოგადოებაში, მაშინ როდესაც ტირილი  
 უნდა მოვფიდიოდეს. ჩვენ ეს დანაშაულობად ჩა-  
 მოვართვით აეტორს და უუთხარით რომ ბუნებრი-  
 ვის ნაკლულევანების დაცინვა შეუწყნარებელი სა-  
 ქცევლია. თქო; — აეტორმა იწყინა ეს შენიშვნა და  
 გვიპასუხა: მე კი არ დავცინი; პირი იქით გულიც შემ-  
 ტკივა მარგალიტასთვის და თუ ხალხი დასცინის  
 მე რა ვქნა, ეს ჩემი ბრალი როდია, ხალხის გაუნათ-  
 ლებლობააო. აეტორის პასუხი ჩვენ გვჯერა, მე-  
 ტაზრე ისა, რომ მე არ დავცინი, პირი იქით მებრა-  
 ლებაო. ხშირად სურვილს და საქმეს შეა საოცარი  
 უთანხმოება ხდება და ეს არც სუნდუკიან ცს აცდე-  
 ნია. ვინ ამბობს, აეტორს იქნება ტირილი სურდა,  
 მაგრამ სიცილი-კი გამოვიდა. ხალხს ყოველთვის  
 ვერ გავამტყუნებთ და მეტადრეამ შემთხვევაში. ჩვე-  
 ნის აზრით, ხალხი თუ იცინის, ალბათ სასაცილო რამ  
 არის პიესაში, ან ხასიათსა ან მდგრმარეობაში. მარ-  
 გალიტას დაცინვა ხალხისაკან უსაფუძვლო, უმიზესო  
 როდია; მაშასადამე თუ მიზეზი არას სიცილისა მა-  
 შინ მარტო აეტორს უნდა დაედოს ბრალი. მოვა-  
 ყვანთ კოტა გაწმარტებას ჩვენი აზრისას. საზოგა-

დოდ სახაცილი კომედიაში ის არის რაც მაყუჩებელი  
ში სიცილს იწვევს, ტოლო სიცილი მაშინ იქ-  
ნება კომედიაში გამოწვეული, როცა გარევნობა  
შინაგნობას არ უხდება, საშუალება, საგანს  
არ ეთანხმება, განზრებულებას შეძლება და სხვა  
მავგვარი უთანხმოვნი და უთანაბრობა ჰბადას  
კაცში განვითარებულშიაც და უვიცშიაც ნამდეილს  
კომიკურს სიცილს. მაგალითად, როდესაც გროშის  
პატრონი კაცი მიღიონად ღირებულ მამულის ყი-  
დვას აპირობს, როცა ერთი ციდა-მტკაცულა კაცუ-  
ნია თავის სულელურის კვეხნით გოლიათის გადა-  
ბრუნებას ჰფიქტობს, როდესაც სულელი კაცი გე-  
ნიოსობას ჩემულობს და როდესაც გონჯი და მახინ-  
ჯი ქალი სარტის წინ ფართაშობს და უსურ ვაზის წნე-  
ლივით იყრინება და ლამაზს ვაჟზე გათხოვებას ლა-  
მობს (როგორც, მაგალითად — მარფალიტა სუნდუ-  
კიანცისა) არ ესეთი უთანხმობა ფორმასა და აზრ-  
შუა, სახესა და გულშუა ჰბადებს სიცილს და როდე-  
საც მწერალი ბუნებრივი და გარევან სხეულთა ნა-  
კლულევანებას დასცანის, თუნდა თავის უნებურად,  
ჩვენ ესეთი სიცილი უმართებულოდ და ცოდვად  
მიგვაჩნია.

მეორე სუნდუკიანცის პიესა, რომელმაც დიდი  
სახელი გაითქვა, არის «პეპო». ეს პიესა ჩვენ რომ  
გვკითხონ იმდენის დირსების არ არის, რომ  
დენსაც აქებენ და ერთი ორად უფრო დაბლა  
სდგას „ხათაბალუზე“. მართალია „პეპოს“ აზრიც

აქვს, მიმართულებაც, კარვი სარჩული და პირიც  
შაგრამ ცუდად შეკერილია. უმთავრესი გმირი პიე-  
სისა პეპო ნაჭირვებია. სუნდუკიან ცის პეპო ჩვენ-  
ში არ არის და პრც შეიძლება ჯერჯერობით იყოს,  
რადგან ყოველს პირს, თუ ხასიათს ჰბადებს იმ წრის  
წეს-წყობილება, ზე-ჩვეულება და სხვა მაგვარი  
აღამიანის აღმზრდელი პირობები; ხოლო ჩვენ ში  
ჯერ-ჯერობით „პეპოსათვის“. ნიადაგი არ არის.  
პეპო ჩვენ გვაგონებს საფრანგეთის, გერმანიის:  
ან ინგლისის მუშას და არა თბილელ მეთევზეს  
რქაც, უცხოეთშიაც-კი პეპო მუშა კაცის ტიპად ვერ  
გამოდგებოდა პეპო უფრო იდეალურო ქმნილებაა  
სუნდუკიან ცის პატიოსანის ფანტაზიისა, ეიდრე ჩვენ-  
ნის ცხოვრებიდამ ამოგლეჯილი მუშის სურათი,  
საერთო ტიპი. ამის გარდა პეპო ჩვენ გვაგონებს  
იმისთანა კაცს, რომელსაც დიდი და უშველებელი,  
ხოლო ცარიელი და ჰერიოთ გაბერილი რუმბი აუ-  
კიდნია ზურგზე და ამ ვითოშ და მძიმე ტვირთ  
ქვეშ მოქცეული დიდს და მძიმე-მძიმე ფერადს სი-  
ტყვებს არახუნებს...

ამავე პიესაში საუცხოვოდ გახატულია ბებერი  
გამოსულელებული კაცის ტიპი გიქო და თბილე-  
ლი კინ ტო ბიჭი კაკული, დანარჩენები გარდა ზიმ-  
ზიმოვეისა ფერ-მკრთალნი არიან. ზიმზიმოვე  
წარმოგვიდგენს თბილელი ვაჭრების ისტორიას,  
მათს გაიძერულს მანქანებას, სხვისი თულით  
და ცრემლით ჯიბე გასქელებულს და გულ-გაქვა-  
ვებულებს. დანარჩენი პიესები სუნდუკიან ცის „კი-  
დენ ერთი მსხვერპლი“ და „დაქცეული ოჯახი“ ყო-

ველის მხრით დაბლა სდგანან ჩათაბალაზე. მარტა  
ალია, ამ პიესებშიაც არის ნამდვილი ხასიათები,  
დედა-აზრიანი მიმართულება, ცხოვრების უკუღმარ-  
თი მოვლინებათა ხატებათი დასახვა და ავტორის  
მართებული გულის წყრომა, მაგრამ თვითონ პიე-  
სების აშენება, მოქმედებათა სიცხოველე სუსტია  
მოძრაობა უფერული და ულონოა რის გამო ალაგ-  
ალაგ ზოგი სცენები შეტად გაჭირებულია რიტო-  
რიკულის დიალოგებით და მაყურებელს ძილს მოვც-  
რიან. სხვათა შორის უკანასკნელ პიესაში სუნდუ-  
კიანცს გამოყვანილი ჰყავს ერთი მეტად ცხოველი  
და სწორი ხასიათი ზოგიერთი ჩვენი ქალაქის გულ-  
უბრყვილო კეთილი და დროს გამატარებელი მო-  
ვაჭრე კაცისა, ეს არის გიუ-მოსე.

გ. სუნდუკიანცის ლირსება, როგორც დრამა-  
ტურგისა არის საოცარი შემუშავების თვისება, სერაო-  
ზული მოქცევა თავის საემის მიმართ, დახელოვნე-  
ბული ცოდნა ცხოვრების და თვით სცენისა, ღინჯი  
და შრომის ამტანბ ჭკუა, დაკვირვება და საოცარი  
შრომა და მუდმივი მეცადინეობა. პიესის გაუმჯო-  
ბესობისათვის, რა თქმა უნდა, ესეთი ლირსებანი ნი-  
ჭიან კაცს დიდს ძალას აძლევენ. ხოლო სუნდუ-  
კიანცის ნაკლს შეაღგენს უქონლობა შორს გამტაცე-  
ბელის შემოქმედებითი ფარტაზისა, ურომლისოთ დრა-  
მატიული მწერალი ჩვენ ვერც კი წარმოგვიდგენია  
და ურომლისოდ პიესას როგორლაც სითბო და სხევი  
აკლდება, მაყურებლის გულის აძვრება და სულის აშ-  
ფოთებაარ შეუძლიან -- ერთის სიტყვით როცადრამა-

ტიულ ნაწარმოებს პოეზია ფულია, მეტად ბევრი ლაპარაკი უყვარს, ხშირად თავს შეაძლება კიცს. სუნდუკიან ცის სიცილი მწარეა, აზრიანიც, მაგრა როგორლაც მძიმდა, ფრთებ ჩამოყრილი.

ქართულმა სცენამ ჩვენში ბევრს პოეტს და მწერლებს მთაკიდვინა ხელი კალამისათვის დრამების და კომედიის საწერად. ამ მწერლობის ახალი სახეს არ აცდებოდენ, რა თქმა უნდა, არც ჩვენი სახელოვანი პოეტებიც.

თ. რაფ. ერისთავმა დასწერა ტრალიკომელია „ბრილიანტი“ ა „ადვოკატები“, + „პარიკმახერისას“, „ქაჩუა“; ამათ გარდა გაღმოაკეთა ჩვენის ცხოვრების შესაფერად, და არა გაღმოაჯავლავა ზოგიერთი ახლად, გამოცხობილი დრამატურგებისავთ, ბეჭო კომედიები და ვოდევალები.

ჩვენის აზრით რ. ერისთავი ბუნებით პოეტია, მეოსანი და არა დრამატურგი, მაგრამ მარნც მისი კომედია „ადვოკატები“, მეტად შესანიშნავია. პატივცუმული პოეტია ამ პიესაში პირველი აქცენტი ყურადღებას იმ ახალს სენს ჩვენის ცხოვრებისას, რომელიც ერთად ახალი ცხოვრების ტალღასთან შემოვჭესია. ახლად შემოლებულს კანონებთან ჩვენში გაჩნდენ ხახა დალფბული მაგრად კბილებ, ალექსილი და გაუმაძლარი ქლესიები, ეგრედ წოდებული ადვოკატებია, რომელნიც ცოტას ხანში ისეთის საოცარის სისწრაფით გამრავლდენ, რომ კალისაც კი გადააჭარბეს ენებით და რაოდენობით. ერთის შესრულებული, უვიცი და ყოფა-ცხოვრება აწერი-

ლი ხალხი და მეორეს მხრით ზნეობა გახრწნილი, არაფრის დამზოგველი, უპირ-წყალო და მაღა გა- მხეცებული დატუკანტებია, რა თქმა უნდა, სიკეთეს არ დააყრიდა უიმისოდაც მოუძლურებულს ჩვენის ხალხის ცხოვრებას. ამ უბედურების ასაცდენად სა- ჭირო იყო ერთისათვის თვალების ახილვა და მეო- რეთათვის ფრთების შემოკვეცა და კბილების და- რობა. ეს საპატიო შრომა და სამსახური იკისრა რ. ერისთავემა და მის დახელოვნებულ და ნიჭიერ კალ- მიდამ გამოვიდა ზემოდ მოხსენებული კომედია დადვოკატებია, რომელშიაც კარგად გაცოცხა „ატუ- კანტები“, მაგრამ საუბედუროდ იმ ცოცხს ნაგავი სულ არ გაყვა.... რაც უნდა იყოს, რ. ერისთავის პიესას ნამდვილი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. ადვოკატები ცხოველის და მჭახე ფერადებით ყავს დახატული, მოქმედნი პირნი მკვირცხლად არიან გამოსახულნი, ქალების გარღა, მეტადრე ახალგაზდა ქალისა, რომელის სიტყვა-პასუხები და მონოლოგები, თუმცა ახალ თაობის ნაღველში არიან შელებილნი, მაგრამ ახალს ვერაფერს გვეუბ- ნება და ძველსაც არა ჰგავს.

საზოგადოთ უნდა შეენიშნოთ, რომ არც ერთს ჩვენს მწერალს ჯერ-ჯერობით ცხოველი და სწორი სახე არ დაუხატავს ახალ-თაობის ვაჟების თუ ქა- ლებისა არც მოთხრობა-რომანებში და არც დრამა- კომედიებში.

ჩვენში ისეთი საზოგადოებრივი საჭმე და ლა- საწყისი არ მოიპოვება, რომელშიაც ახლო მონა-

წილება არ მიეღო და ხშირად უღელშიაც არ  
გაბმოდა ჭაპანის საწევნელად-ეს არის ჩეენი სახე-  
ლოვანი მწერალი და პოეტი აკაკი წერეთელი.

დარსდა თუ არა სამუდამო ახალი სცენა, აკა-  
კი მაშინათვე შეუდგა საჭმის შუა გულს, ხან თა-  
მამაშობდა, ხან მეთაურობდა და იმავე დროს პიე-  
სებსაც სწერდა. აკაკი წერეთელი როგორც პოეტი  
— მგოსანი ბევრად და გადაჭარბებით სჯობნის და  
მაღლა სდგას აკაკი წერეთელი დრამატურგზე. მარ-  
თალია, მისი ბეღნიერი და მაღალი ნიჭი დრამატიულ  
ქმნილებაშიაც ნათლად გამოჰკრთის და მისებურ  
ნიჭის დალსა სდებს ყოველ მის კალმიდამ გამოსულ  
პიესას, მაგრამ ჯერ-ჯერობით, იმის მიხედვით რაც  
მას დაუწერია სცენისათვის, ჩეენის აზრით, შეუძლე-  
ბელია აკაკის დრამატურგის სახელიც ვაკუთვნოთ;  
თუმცა ვიმეორებთ, რომ მისი ლვაწლი სცენისათვის  
დი დრამატიულ მწერლობისათვის მეტად ძვირფასი  
და შესანიშნავია. ამის გარდა აკაკის თითქმას ყო-  
ველისფერი მოეპოვება, რაც-კი საჭიროა პიესების  
შექმნისათვის. ნიჭი, საოცარი მკვირცხლი და გეს-  
ლიანი ენა მისი სიცილი, ნაღვევლში გალესი-  
ლი თავისუფალი გამოცდილება ცხოვრებაში, სცენის  
ცოდნა და ქართული სცენის სიყვარული, ეს ყვე-  
ლაფერი აკაკის შეძლებას აძლევს კარგი სერიო-  
ზული და აზრიანი პიესის დაწერისას, მაგრამ საქმეზე  
სულ სხვა გამოდის.

ავილოთ აკაკის „კინტო“. ჩითაც ეხელმძღვა-  
ნლა, რა მიზეზითაც უნდა გამოწევულიყო ეს პიესა,

ვაინც ექრაფრით გაიმართლება პატივულები პოდ-  
რი. ამ პიესაში არაფერი არ არის ისეთი, რაზედაც  
მაყურებელს დაფიქრება შეუძლიან, არც რაიმე ზნე-  
ობრივი მაგალითის გამოტანა, ჭკუა-ვონების ან  
გულის საზრდოს შეძენა. თვით პიესის არაკიდან  
მოყოლებული ყველა მომქმედ პირებამდე, ეს თის  
გარდა, იმერელი ბიჭისა, სისწორეს და სიმართლეს  
მოკლებულნი არჩან, არც ერთი მომქმედნი პირნი  
ცხოველს სახეს არა ჰქავს, პიესაში მოქმედებაც არ  
არის. არ არის ავტორები აჯაყისებურით ტენდენცია  
შიგ უპრიალო სურათების და რაღაც ნაკუში სცე-  
ნების მეტი არაფერია, მაგრამ მეორის მხრით ნახეთ  
რა ნაირი სიცილ-ხარხარია თეატრში, როცა ამ  
პიესას არდგენენ. დროი თუ პატარა, ქალი თუ კაცი,  
სწავლული თუ უსწავლელებლი-ყველანი. იცინიან და  
ეს სიცილი, სამწუხაროდ, სრულებით უაზრო, უმნი-  
შვნელო და უბრალოა, რადგან სიცილს იწვევს არა  
მოქმედებათა და მომქმედ პირთა, სერიოზული ხასიათი,  
ზნე და მდგომარეობა, არამედ, მკვირცხლი სიტყვები:  
მოსწრებული და მარილიანი პასუხები. ერთი-ღა-  
ცხოველი პირია პიესაში რა ისიც-კი უკვე შექნი-  
ლი გ. ერისთავისაგან — იმერელი ბიჭის როლი, როც-  
მელიც კინტოს «კვინტოს» ეძახის.

რაც შეეხება ზურნას, სიცლერებს, კინტოებს,  
და სხვა მაგვარ სცენის ფოკუსებს, ეს ყველაფერი  
ზ. ანტონოვსაც ჰქონდა და უფრო უკეთესად. აკა-  
კის „კინტოს“ ჩეენი სცენისათვის, მწერლობისა-  
თვის, არტისტებისათვის და მაყურებელთათვის სულ

არაფერი შეუძენია, თუ ანგარიშში არ მივიღებთ თეატრის კასაში შემოსულ ფულებს ; რომელიც ხუთის წლის განმავლობაში ყოველთვის საკმარისად შემოდიოდა. სცენას ხეირს აძლევს ხოლმე სერიოზული პიესა, არტისტებს კარგად შემუშავევებული მომქმედი პირთა ხასიათიდა ტიპები, მწერლობას ამდიდრებს აზრიანი, მნიშვნელოვანი და ხელოუნურად შექმნილი თხზულება, ხალხს სარგებლობას აძლევს და გემოვნებას უკეთებს კომედია, რომელშიც გატარებულია ზნეობრივი ტერდენცია. პირ-იქით, როდესაც დრამატიულს თხზულებას ჩამოთვლილი ღირსებანი აკლია, მაშინ იგი უფრო მავნებელია, ვიდრე სასარგებლო, — მეტადრეჩენისათვის, რომელიც ჯერჯერობით ჯეროვან დონეზე არ ჩამდგარა. ვერ ვინ იტყვის, რომ აკაკის ხასიათების დახატვა არ შეეძლოს. ვისაც გაუგონია ან წაუკითხავს მისი „სცენები საპატიმროში“, ის უეჭველად დაგვეთანხმდება, რომ აკაკის ძალაც და ხერხიც ბევრი აქვს ხასიათების შექმნისათვის. მაგრამ „კინტოში“-კი ყველაფერს ულალატნია ჩვენი დიდებული პოეტისათვის.

საუკეთესო აკაკის პიესად, ჩვენის აზრით, უნდა ჩაითვალოს „კულურ-ხანუმ“. ამ პიესამ დიდი აყალიბაყალი გამოიწვია საზოგადოებაში. ვინ იცის რა არ შესწამეს საბრალო პოეტს. მათქმა-მოთქმას დასასრული არ ჰქონდა! ეს პირაულბაა, ცილის წაბებაა, უკბილო ჯავრის ძიებაა. და სხვა-და-სხვაო, მაგრამ ჩვენის აზრით, რაც უნდა სოქვან, თვალში

ჰყავდა პოეტის ვინმე ამოღებული თუ არა, ეს ჩვენი საქმე არ არის, ხოლო რომ პიესა ბევრის ლიტერატურულის და სასცენო ლირსებით სავსეა, ამაში ეჭვი არ არის. პიესა აზრიანია, ტენდენცია მართებულია და ჩვენის ცხოვრების იარას ნესტრად ხვდება და ჩვენის ცხოვრების მოქმედნი პირებიც უტყუარის სისწორით არიან დასახულნი. ნახირ-ფაშა, კუდურ-ხანუმ, არჩილი, ვაალი, მოურავი და სხვა მოქმედნი პირნი ცხოვრებიდაც არიან ამოკრეფილნი. ნახირ-ფაშა იგივე ლუარსაბ თათქარიძეა, ხოლო ამ დროინდელი, სხვა ქერქში ჩასხმულია, ჩინიანი და ჯილდოიანი. კუდურ-ხანუმებიც ბევრია ჩვენში. არჩილი ჩვენი დროის უღლონო გულ-უხინჯო, ბევრის მოლაპარაკე და რალასაც მოცადინე ვაჟკაცის სურათია. არჩილებიც ბევრი მოინახება ჩვენში, ხოლო პატიოსნ ებით იქნება ბევრად უკან ჩამორჩნენ აკაკის არჩილს.

თუ პიესამ ყაყანი გამოიწვია და ბევრი უმართებულად აყევთა ეს სწორედ პიესის ლირსებად უნჩათვალოს. ამ პიესაში აკაკიმ ბევრს დაფარულს სენს და ტკივილს პირბადე მოხადა, რისთვისაც დიდის მადლობის ლირისია. პიესის ნაკლს შეადგენს მოქმედებათა სუსტი მოქრაობა და შეუმუშავებელი დამწკრივება მოქმედთ პირთა და ერთს ორ ალაგას გაჭიანურებული მონოლოგები. ნაკლია აფრეთვე მომეტებული სიმართლე ესე იგი რეალიზმო. მეტის მეტი ყოველთვის მეტია და რაც მეტია ის მავნებელია ამ პიესით აკაკიმ აშკარად დაგვანახა, რომ მას შე-

უძლიან სერიოზული პიესის შექმნა თუ კი გულს  
ჭაუდებს და ამ აჩქარდება. მწერლისაგან ისეთს  
დიდს შრომას არაფერი ითხოვს, როგორც პიესის  
დაწერა. პიესა ისეთი როტული და წვრილმანებრით  
სავსე შენობაა, რომ-რაც უნდა დიდი ნიჭის პა-  
ტრონი იყოს მწერალი, თუ კი დიდს შრომას და დიდს  
დაკვირვებას არ გამოიჩენს, ყოვლად შეუძლებელია  
არაფერი არ დავიწყდეს. ძრიელ მავნებელია აგრე-  
თვე აჩქარება ყოველს წერაში და მეტადრე პიესაში.

აკაკის ყველა ნაწერებს შესამჩნევად ეტყობა  
აჩქარება და საგნის შეუმუშავებლობა. უფრო ღრმად  
რომ დაკვირდეთ იმის ნაწერებს, ნათლად დაინა-  
ხავთ, რომ პოეტი მომეტებულად სწერს ნერვების  
გავლენით, სოხზავს აღელვებულის და ათროთოლე-  
ბულის კალმით. ჯერედ მოუნელებული რაიმე შთა-  
ბეჭდილების ტვირთ ქვეშ პოტის კალამი, უეჭვე-  
ლია, მეტად ჩქარობს, ფუსტუსებს, ისწრაფება და  
ძლიერ-ძლიერობით ასწრობს და ხშირად სულაც ვერ  
ასწრობს პოეტის ღრმენებულს, ათროთოლებულს  
აზრთა მიმდინარეობას, წარმოდგენილი სურათების  
სიფიცხლეს. თქმა არ უნდა, რომ ამ შემოქმედო-  
ბის ციებ-ცეცელებაში პოეტს უნდა დაუიწყდეს ბეჭ-  
რი რამ ისეთი, რომელიც სხვა უფრო დამშვიდე-  
ბულს და გრძნობა-გონება დაღაგებულს დროს არ  
გაეპარებოდა შეუმჩნეველად.

შემდეგი პიესა აკაკისა „თამარ ცბიერი“ ლექსად  
არის დაწერილი და ეს, გ. ერისთავის შემდეგ („შე-  
შლილია“), პირველი მაგალითია ჩვენს მწერლობა-

ში. ამ მხრივ აკაკის პიესა საყურადღებოა. ამ პიესაში აკაკის საოცარი სიმსუბუქე ლექსთა-წყობისა, მშეენიერი აკაკისებური მუსიკალური და მელოდიური რითმები ყოველს სტრიქონში მოსჩანს, მეტად-რე საუცხოვო რამ არის თამარ-ცბიერის და მგოსნის დიალოგი, სადაც ზოგიერთ სიტყვა-პასუხში ათა-სი აზრი, იდუმალი გულის წადილი, ათასი შეუპოვარი ენებათ-ლელვა, წყენა, პატიონება, ფულის ტკივილი, სინიდისის ჯენჯნა ერთმეორესთან გა-დახლართულნი გადაბმულნი და შედუღებულნი აოცებენ მსმენელს და მაყურებელს.

ჩეენის აზრით „თამარ-ცბიერი“ დრამა არ არის, იგი უფრო დრამატული პოემაა, ვიდრე ისტორიული დრამა. პიესაში ბევრი საუცხოვო ლექსებია, იმ გვარივე პსიხოლოგიური მარგალიტები, მგძნობიარე სიტყვები, მაგრამ პდესაში სრულებით არ არის ის, რაც ყველაფერზე უფრო საჭიროა: არც დრამის განვითარება, არც მოქმედება, არც ის მოძრაობა, ურომლისოდ პიესას სიცხლველე აკლია ხოლმე, არც სრული ხასიათებია არც ისტორიული ყოფა-ცხოვრების და დროთა გამოხატვა. არის მხოლოდ როგორც ზემოდ ვსოდებით ლექსები, საოცარი მელოდიური რითმები, მშეენიერი და მგრძნობიარე სიტყვები, საარშიყო დიალოგები, ხანჯლის ქნევა, საწამლავის დალევა, მაგრამ ყველაფერი ეს დრამა და მეტადრე ისტორიული დრამა როდია: ხოლო არ არის და რას ექძით, ჩეენ დრამას ამაზე ქვემოდ თავის ადგილზე ვიღაპარაკებო.

უკანასკნელი აკაკის პიესა, რომელიც შარშან  
წარმოადგინეს ჩვენს სცენაზე, „ახალი გმირი“ ჩვენ  
არ გვინახავს და არც წაგვიკითხავს და ამიტომ ვე-  
რაფერს ვიტყვით. დამსწრენი ამბობდენ, რომ მის-  
თანა არარის რომ უნდაო.

საზოგადოთ აკაკი წერეთელს უხეად აქვს  
მომადლებული ბუნებისაგან ყოველგვარი ნიჭი ლექ-  
სების და პროზის წერაში; აკაკის მაღალმა ნიჭმა  
დრამატიულ ხელოვნებაშიც იჩინა თავი და მარ-  
თლაც აკაკის ყოველისფერი შესწევს კარგი პიესის  
შექმნისათვის. აკაკი, ჩვენის აზრით, უფრო ძლიერი  
უნდა იყვეს კომედიებში, სადაც ხაჭიროებს აკაკისე-  
ბური მახვილი გონება, მკვირცხლი ენა, მწარე, გულ  
გამგმირავი სიცილი, ცხოვრების კომიკურის მოვ-  
ლინების გამჭვრეტი თვალი და გონება, ამიტომ იმე-  
დია რომ აკაკის ხელოვნური კალამი ჯერ კიდევ  
არა ერთს და ორს სამაგალითო პიესას შესძენს ჩვენ  
სცენას, თუ კი, ვიმეორებთ, არ აუვება აფეთქებუ-  
ლის გულის თქმას, თუ არ აჩქარდება და უფრო  
მეტს დაკვირვებას და შემუშავების ხალისს გამო-  
იჩენს თავის შრომის მიმართ.

ახალგაზდა დრამატიულ მწერლებში უნდა ჩაი-  
თვალოს აგრეთვე ალექსანდრე მოჩხუბარიძე (ყა-  
ზიბეგი) და რისდა თუ არა სამუდამო სცენა ალ. ყა-  
ზიბეგი სცენაზე გამოვიდა, როგოც მოთამაშე და  
იმავე დროს პიესების წერას მიჰყო ხელი. მისი პირ-  
ველი ნაბიჯი დრამატიულ მწერლობაში იწყება  
ვადევილებიდამ. საკურველია, ჩვენში ყველანი ვა-

დევალებიდამ იწყებენ წერას. ვოდევილებიდამ ყაზიბეგი გადავიდა კომედიებშე და პირველი მისი პიესა „აღმზღელები“ მას ერთბაშად აძლევენ არა უკანასკნელ ადგილს ჩვენს მწერლებში. „აღმზღელები“ ყაზიბეგმა სამჯერ მაინც გადააკეთა, ჯერ წუთმოქმედებიანი დრამა იყო, მერე ოთხ მოქმედებიანი კომედია და ბოლოს სამ მოქმედებიან კომედიათ დარჩა და დღემდეც ასე რჩება. „აღმზღელები“ ავტორი ეხება ჩვენს ერთს უმთავრეს ყოფა-ცხოვრების სავითხავს — შვილების აღზრდას. ეს მეტად ყურადღსალებელი აზრი პატივცემულმა მწერალმა რიგიანად ვერ გაახორციელა. მისი «აღმზღელები» ცოტად შეეხება ჩვენს აღზრდას ამ ოცის წილის წინად, მაგრამ ის ცოტა ისეთს კალაპოტშია ჩასხმული, რომ საგანს ვერ აღწევს. მოქმედნი პირნი შეიტად კარიყატურულად ჰყავს გამოყენილი, თვით ის წრე, სადაც იზრდება ახალგაზდა ყმაწვილი მეტად განსაკუთრებულია. მაგალითი თუმცა საერთო აქვს აღებული, მაგრამ ისეთს პირობებში ჰყავს მომწყვდეული, რომ საერთოს და სახასიათოს ვერაფერს წარმოადგენს. მწერალს თუ შეძლება არ შესწევს და საერთო მაგალითიარ მოეპოვება, უნდა ეცალოს, რომ კერძო მაგალითი განმარტოს და საზოგადოებრივ მნიშვნელობამდე აიყვანოს. აზრს მარტო არ შეუძლიან პიესას საერთო ხასიათი მისცეს, აზრი მხოლოდ პიესის ძალია, რომელზედაც უნდა აისხას სხვა-და-სხვა ფერის და სიმსხოს მძივები. ა. ყაზიბეგს უკეთ შეეძლო შეემუშავებინა თავისი პიესის აზრი, რომ იმ თავითვე

შესდგომოდა, თორემიმდენ ცელასა და გადასწვეოფე-  
რებაში, რათქმაუნდა, ბევრი რამ გაეპარებოდა, ბევრი  
დაკლდებოდა და პირ იქით ბევრს რასმე უადგი-  
ლოდ მოუმატებდა და გაზვიადებდა.

მეორე მისი პიესა „არსენა“ მეტის შეტად სუს-  
ტია. «აღმზდელების» და, «ქეთევან წამებულის» შემ-  
დევ „არსენას“ დაწერა სწორედ შეუწყისარებელია.  
ამას ჩვენ ვხსნით მხოლოდ ავტორის აჩქარებით,  
არა სერიოზულის და მართებულის შრომით. არსენა  
დახელოვნებულის მწერლის ხელში ჩინებულ სა-  
ხალხო პიესად გამოვიდოდა, რადგან თეითონ არსენა  
იმის დრო და გარემოება მდიდარს მასალას შედევნენ-  
ყაზიბეგის „არსენა“-კი სრულებით არავერს ეუბნე-  
ბა ხალხს. ამ პიესაში არც ერთი პირი არ არის,  
რომ კაცსა ჰგავდეს. თეითონ არსენა, ეს ხალხის  
საყვარელი ტიპი ყაჩალისა და გმირისა, ისე უგემურად  
შეთუთხნილია, რომ კაცს შეზიზლდება. მოქმედნო  
პირნი ჰგვანან უფრო კარიყატურებს ვიდრე სურა-  
თებს. ხოლო მოქმედებათა მსვლელობა უცნაურს,  
და მოულოდნელ ნასკუპებს მიჰვაეს.

ძლიერ სამწუხაროა, რომ ყაზიბეგმა, იმ მტკი-  
ცე ნაბიჯების შემდეგ, ასეთი ბარბაცი დაწყო. ყა-  
ზიბეგისა (ისტორიული დრამა) „ქეთევან წამებული“  
ჩვენს ღარიბს რეპერტუარში კარგს განძს შეადგენს,  
ჩვენ არ გამოვუდებით მომქმედ პირთა ისტორია-  
ულს სინამდვილეს, რომელიც, რა თქმა უნდა,  
რა-კი პიესა ისტორიულია, არ უნდა იყოს უმართ-  
ლო და მწერლის ფანტაზიის ნაყოფს არ უნდა.

წარმოადგენდეს. ამ შხრით ისტორიულს პიებას დიდი  
შესწავლა და შემუშავება ეჭირვება. ჩვენ შევეხებით  
ყაზიბეგის პიესას, როგორც დრამას, მართებულად  
და კანონიერად ავებულ-აშენებულს, პიესის ინტე-  
რესის განვითარებას, მოქმედებათა თან-და-თანობი-  
თი მიმდინრეობას, მომქმედი პირთა სიცხოჯელეს  
და ფსიხოლოგიურ ჭეშმარიტებას. ამ შხრივ „ქე-  
თევან წამებული“ შედარებით კარგად არის დაწე-  
რილი, მეტადრე კარგია ზოგიერთი სცენები, სადაც  
აეტორი გვიხატავს მომქმედ პირთა სულის მდგომა-  
რეობის სურათს, დრამატიზმს. „ქეთევან წამებულის“  
წარმოდგენა კარგს და ძლიერ შთაბეჭდილებას იქო-  
ნიებდა მაყურებლებზე, მაგრამ საუბედუროდ ზო-  
გიერთი შუბლ-გარეცხალი და გულ-ღვარძლიანის ფა-  
რისევლების წყალობით ჯერ-ჯერობით ამ პიესის  
წარმოდგენა შეუძლებელია. ამ პიესის შემდეგ ყა-  
ზიბეგს არაფერი დაუწერია და მეტად სამწუხარო  
იქნება, რომ ამით გაათავოს თავისი შრომა ეროვ-  
ნული სცენისათვის, რომელიც მას ისე გულ-წრფე-  
ლად და ძლიერ უყვარს.

დანარჩენ ჩვენ დრამატიულ მწერლებზე, აქვა-  
სენტი ცაგარლის გარდა, რომელზედაც ქვემოდ ვი-  
ტყვით, ბევრი არაფერი გვეთქმის.

ილია ჭავჭავაძის სცენა „გლახა ჭრიაშვილი“  
რამდენად კარგია და ხელოვნურია, იმდენად უხერ-  
რო და სუსტია მისი მოთხრობიდამვე (კაცია ადა-  
მიანი) გაღმოკეთებულიჭომედია „მაჭან კალი“.

გიორგი წერეთლის „ოჯახის ასული“ და „და-

რია“ ჩვენის აზრით კვტორში არ ამცნევებ დრამა-  
ტურგის ნიჭის, თუმცა ორთავე მის პიესებს ეტყო-  
შა ცხოვრების ცოდნა, თანამედროვე სენის შევნე-  
ბა და მისი მკურნალობის უნარი. მაგრამ მარტო  
ეს თვისებანი კაცს დრამატურგად ვერ გახდიან. სა-  
ჭიროა ამათ გარდა საღვთო ნაპერწკალი „ზეგარ-  
დამო ნიჭი“. ეს ვგონებთ პატივცემულმა მწერალი-  
მა ჩეენზედ კარგად იცის და ამიტომ დიდი ხანია  
დრამებს თავი დაანება და მოთხრობების წერა დაიწ-  
ყო, რაშიაც ნიჭი და ზელოვნება გამოიჩინა.

ქნ. ბარბარე ჯორჯაძის პიესებს: «რას ვეძებდი  
და რა ეპოვე» და „შური“ უცილობელი ნიჭი ეტ-  
ყობა, ხოლო ძრიელ შეუმუშავებელია და ამიტომ  
ძალას მოკლებულია.

ანტონ ფურცელაძის „ავაზაკებს“ ტრაგედიისა  
არა აცხია რა. ტრაგიკული და დრამატიული ჩვენ  
იქ ვერა ეპოვე-რა. პიესაში გამოყვანილია მთელი  
შრბო უცნაურის ხალხისა, რომელნიც ბევრს ლა-  
პარაკობენ და ამ ლაპარაკს რუსულ ენით აჭრე-  
ლებენ. ასე წარმოიდგინეთ ტოტოლაც-კი აუყოლია  
რუსულ ლაპარაკს და ისიც-კი უკანასკნელ ფამს  
უკაცრავად არ დავჩერ და თავისებურად «გვიპა-  
რუსკებს», „ავაზაკებში“ ათი დრამა, ათი ტრაგედია  
და იმავე დროს არც ერთი. არ ვიცით, რით ზელ-  
მძღვანელობდა პატივცემული ავტორი ამ პიესის  
წერის დროს, მაგრამ ჩვენის ფიქრით ავტორს, რაც  
კი უნახავს და გაუგონია, სულ შეს პიესაში მოუ-  
თავსებია და ჩაუჭირევია, რისგამო არც სცენაზე და

არც მაყურებელთ გონებაში ტევა და ჭდევა არ არის.  
 იმ უცნაურ სხვა-და სხვა ჯურის, წოდების და წრის  
 პირებისაგან, რომელთაც საერთოდ შეიძლება ავაზა-  
 კები ეუწოდოთ. ვინ ამბობს, კარგია როდესაც პე-  
 საშიროელსამედედა-აზრთან თავს მოიყრიან სხვა-და-  
 სხვა მრავალი საქმისა და საგნისათვის საჭირო პირები  
 და გარემოებანი, მაგრამ არც ისე უნდა ცველაფ-  
 რის ერთად არევა, როგორც «ავაზაკებშია», ზომი-  
 ერება და რიგი პირველი მცნება დრამატიული  
 ხელოვნებისა. ამის გარდა დრამატიული თხზულებას  
 თავისი წესი და კანონები აქვს, რომლის გარდა-  
 ცილება უდანაშაულოდ შეუძლებელია. დრამას თუ  
 კომედიას ვიწროდ შემოფარგლული წრე აქვს, სადაც  
 იმდენის დატევა შეიძლება, რამდენიც საჭიროა. ან ტ-  
 ფურცელაძის ავაზაკებს უფრო მოუხდებოდა რომა-  
 ნის. თუ მოთხრობის ჩარჩო, რაშიაც ავტორს ბევრი  
 თავისუფალი ადგილი ექნებოდა თავისი ფართო  
 განზრახულების განსახორციელებლად, და არამც და-  
 არამც დრამისა, სადაც ხმირად ერთი უადვილო  
 სიტყვა, ერთი მომეტებული ან ნაკლები სცენა  
 სრულიად აფუჭებს ჯეროვან შიაბეჭდილებას და  
 თვით პირების ღირსებასაც. ამ სახით ან. ფურცელაძის  
 «ავაზაკები» ყოვლად შეუძლებელია დრამატიულ  
 თხზულებად და მეტადრე ტრაგედიად ჩაითვალოს, თუნ-  
 დაც რომ სულაც არ მივიღოთ მიმხდველობაში მისი  
 მრავალი ნაკლულევანებანი. რაც უნდა იყოს, აქაც  
 ამ შეუძლებელ ტრაგედიაში და შეუძლებელივე მო-  
 ქმედ პირთა შორის მარიამება თითო ოროლია

მარგალითი. საუკეთევო რამ არის რიცხვიშე თავის წმინდის სულით და ცხოვრებისაგან შეულახველის ჩვილის გულით. ძრიტლ ხელოვნურად და დიდის ფსიხოლოგიურის ჭეშმარიტებით არის გამოხატული რიცხვის ჰკუაზე შეშლა. კარგია აგრეთვე დარჩო, რომ ცოტა მაინც ცხოველ კაცსა ჰგვანდეს. დარჩოს ხასიარი ვერ არის განვითარებული, — ან შესაძლებელია განა ღარ-სამ სცენაში დაიხატოს პიესის ერთი უმთავრესი მომქმედი პირის ხასიათი? ჩვენ გვგონია, რომ ძნელია და ხშირად შეუქლებელიც.

არ შევვიძლიან არ მოვიჩხენიოთ რომ ან, ფურცელაძე პირველია, რომელმაც შექსპირის „ჰამლეტი“ გადასთარგმნა ქართულ ენაზე პროზით. იმ თარგმნით ქართულ დასს წარმოუდგენია ჭიდეც რამდენჯერმე „ჰამლეტი“.

გიორგი შარვაშიძის „მომაკვდავნი სურათნი“, თუმცა სულ უაზრო და უფენდენციოა, მაგრამ ავტორის აშკარად ემცნევა ცხოვრების დაკვირვება, სცენის ცოდნა და ნახულ-გაფონილის შემუშავება. ეს კარგი ღირსებაა მწირლისათვის, ხოლო ახალ-გაზღადრამატურგს ამ პიესაში აკლია ის შემოქმედებითი ძალა, ურომლისოდ მიმინო მწყერს ვერ დაიჭერს და ტყვია ნადირს ვერ მოჰკლავს.

დავით ერისთავის პიესა „სამშობლო“, თუმცა ფრანგულით გადმოკეთებულია ვიქტორიენ სარდუს პიესიდამ, მაგრამ იმდენად კარგად გადმოკეთებულია,

ჩვენის წარსული ცხოვრების კალაპოტში ჩასხმულია. და ქართული ფერის პატრონია, რომ სრულებით გავიწყდება პიესის უცხო ენიდამ გადმოღება. ამ პიესამ იმდენი გამოაღვიძა ჩვენში იმდენს აუძგერა გულის სიღრმეში მიმალული გრძნობა, რომ მისი ხსენება დიდ ხანს დარჩება ქართველ საზოგადოებაში, „საშ შობლომ“ კარგი სამსახური გაუწია ჩვენ საზოგადოებასა და რა ძლიერი ზედ-გავლენა ჰქონდა. ამისი მაგალითი ბევრია ქართლში თუ იმერეთშიაც.

საზოგადოთ დავით ქრისთავს ბევრი პიესა აქვს გადმო კეთებული და დიდი ღვაწლი მიუძლვის ჩვენის სცენის წინაშე, ამ ფამალ ერისთავი ერთი საუკეთესო პიესის გადმომკეთებლად ითვლება ჩვენში.

ნამდვილ დრამატურგების გარდა, ჩვენ გვყვანან მათი თანამოგზაურნი, რომელთაც შეიძლება ვუწოდოთ „გადმომკეთებელი“ „კომედიის ოსტატები“, რომელნიც უცხო პიესებიდამ სთხზავენ საკუთარ პიესებს. მათ შორის არიან მართლა დახელოვნებული და ნიჭიერნი მწერალნი, მაგრამ მომეტებული კი მხოლოდ გვარებს და სახელებს უცვლიან: პეტრეს დაკინთედ და მარიას თეკლედ მონათვლენ და სხვა არაფერს, — გადათარგმნიან პიესას, ისიც ბარბაროსულის ენით, მისცემენ რაიმე სახელს და გადმო კეთებული პიესა მშადარის. ამ გვარდრამატურგებს ჟალბი მწერლების სახელი უფრო შეჭრენისთ. მა-

გრამ როგორც ზემოდ ესთქვით არიან უფრო სე-  
რიოზული მუშაკები, რომელნიც მართლა შჩომო-  
ბენ, ფიქრობენ, საგანს უკვირდებიან და ისე ხე-  
ლოვნურად შეიმუშავებენ ხოლო უცხო პიესას  
შინარსით, ხასიათით და სხვა მხრით, რომ პიესა  
ორგინალურსა ჰგავს და ხშირად ბევრად და გადა-  
მეტებით სჯობნის ზოგიერთი ორიგინალურ პიე-  
სებსაც.

ამ პატივსაცემ მწერლებს, რა თქმა უნდა, ეკუთ-  
ვნიან: რ. ერისთავი. დ. ერისთავი, ი. მაჩაბელი, პ.  
უმიკაშვილი, ა. აბაშიძე, კ. მესხი, ა. ყაზიბეგი და სხვა.

მთარგმნელებში პირველი ადგილი უჭირავს  
ივანე მაჩაბელს, რომელმაც იცის უცხო ენები:  
ფრანგული, გერმანული და ინგლისური; ამის გარდა  
მაჩაბელის ლირსებას არის, რომ იგი სწორედ დედანთან  
თანახმად სთარგმნის გასაგების და ცხოველის ენით  
პროზით თუ ლექსად. მაჩაბელმა ერთის წლის განმა-  
ვალობიში საუცხოვოდ გადასთარგმნა შექსპირის  
ორი საუკეთესო პიესა „პამლეტ“ და „ოტელო“,  
რაზედაც იმედია არ შეჩერდება, მით უფრო რომ  
ხალხში დიდი მოთხოვნილებაა სერიოზულ კლასი-  
კურ მწერლობისა და თუ ზოგი პიესებით ქართუ-  
ლი სცენა ვერ ისარგებლებს, ხალხში ხომ გავლენ  
და ჩეკნი ლარიბი მწერლობა გამდიდრდება მაინც.

კარგათ სთარგმნის აგრეთვე ნ. ავალიშვილი, ალექსი  
ჭიჭინაძე, იოსებ ბაქრაძე. სხვა მთარგმნელებზე, ზოგი-  
ერთების გარდა, მხოლოდ ისითქმის, რაც განსვენებულ-  
მა რუსეთის მწერალმა გრაფ სოლოვიებმა სთქვა ერ-

თხელ შექსპირის მთარგმნელებზე: Они не перепели, а переперли Шекспира.

თარგმანსაც ჩიჭი უნდა, მეტადრე დრამატიულ თხზულების თარგმნას. აქ როდია სამყოფი მარტო დედან თან სწორედ გადათარგმნა, საჭიროა აგრეთვე პოეტური ძარღვი, შეტერალის შეგნება, მის გულში ჩასედვა, მისის სულის შფოთვის და გულის ძერის შეგნებული გრძნობა და იმავე დროს ორივე ენის, სიღამ და რომელზედაც ითარგმნება, ზედ მიწვევნით ცოდნა.

უფრო ძნელია პიესის გადმოკეთება. აქ, ზემო მოყვანილ თეისებათა გარდა, საჭიროა ცხოვრების ზა ადამიანის ცოდნა, მეტ-ნაკლებობის გარჩევა, კრიტიკული გონება და ესთეტიური გემოვნება, სცენის და დრამატიულ ხელოვნების კანონების შესწავლა. პიესის გადმოკეთება იგივე პიესის შეთხვაა; ხშირად უფრო ადვილია ახალი პიესის დაწერა ვიდრე ჯეროვანად და ხელოვნურად გადმოკეთება.

სამუდამო სცენის დაარსებილამ ახალი დრამატიული მწერალი არ გამოჩენილა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ორიოდე მწერლებს, რომელთაც ჯერ ჯერობით დრამატიულ მწერლობაში ფასიანი განძი არ შეუტანიათ. თუ სწერდენთ და დღესაც სწერენ ისევ ის ჩვენი წინანდელი მწერლები, რომელიც კამოვიდენ საზოგადო ასპარეზზე სამოცი წლებში. ამ გვარად ჩვენს სამუდამო სცენას ჯერ ჯერობით არ შეუქმნია, ერთის გარდა, ისეთი

შწერალი, რომელსაც უცილობლად შეეძლოს დრა-  
მატურგის სახელის დამკიდრება,

ეს ზომოდ ხსენებული ერთი არის ავქსენტი ცა-  
გარელი.

ა. ცაგარელი პირველად გამოვიდა მწერლო-  
ბაში თავის ორიგინალურის პიესით „რაც გინახავს  
ველაზრნახავ“, რომელსაც პირველად ტრაგედია უწო-  
და. პიესაში დრამატიული და მიო უფრო ტრაგიკული  
არაფერი იყო და ამ გარემოებამ მაშინვე ცხადად გვი-  
ჩენა, რომ ახალგაზდა ავტორი მართლაც და ძრიელ  
ახალგაზდა იყო და ბუნდათაც არ ჰქონდა წარმო-  
დგენილი დრამატიული ხელოვნების კაონები. რომ  
ეს ცარიელი სიტყვები არ არის და არც უალაგო და-  
ცინვაა, ამას ისიც გვიმოწმებს, რომ ცაგარელის პირვე-  
ლი ტრაგედია დღეს შეუცვლელად ჩეეულებრივ:  
კოშედიად გადის.

ახალგაზდა მწერალს ნიჭი ეტყობოდა. საზო-  
გადოების და მწერლობის ყურადღება ერთბაშად მი-  
იპყრო. ჩვენს სცენას დიდი ხანი არ ენახა ესეთი ენა-  
მარილიანი და ცხოველი პიესა. ავტორს მცშინუ-  
შეეტყო ლირსებაც და ნაკლულოვანებიც. ყველამ  
ერთხმად იცნეს ა. ცაგარელი ნიჭის პატრონად,  
რომელიც პირველ ნაბიჯის მოხედვით „პირდებო-  
და“ მრავალ გვარად გაფურჩქვნას და ყვავილოვნებას.  
მას შემდეგ გავიდა ათიოდე წალიწადი. ცაგარელმა  
ხუთიოდე პიესა დასწერა და საკეირველი ის არის,  
რომ დღესაც იმ პირველ გამოსელასავით „გვპირ-  
დება“ თავის ნიჭის და ხელოვნების წარმატებას.

ჩვენის აზრით ხსენებულ „დაპირება“ ცაგარლის ერთს უდიდეს და ფრიად სამწუხარო ნაკლს შეადგენს.

მართლაც აიღეთ მისი მეორე პიესა „ერთი ნაბიჯი წინ“. რა მოგვცა ავტორმა ამ პიესაში? სრულფბით არაფერი, ხოლო ბევრს „დაგვპირდა“ კია. მთელს პიესაში მარტო „ივან სპირიდონიჩის“ ძახილის და დაუბოლოვებული წუწუნის მეტი არაფერია. ამ პიესას ავტორმა დრამა უწოდა, მაგრამ შიგ დრამის ჭაჭანიც არ იყო. პირველ ტრაგედიდან კომედია მაინც დარჩა, ხოლო მეორედვან სრულებით არაფერი, თუ არ მიეიღებთ მხედვოლობაში იმ საუბედურო „დაპირებას“, რომელიც არ იქნადა არ ასრულდა. ეს აშკარად ამტკიცებდა, რომ ახალგაზდა მწერალს ჯერ ვერ ეპოვნა თავისი გზა, ხან დრამას ეცემოდა და ხან ტრაგედიას.

მესამე პიესა «მათიკო» უფრო კარგი გამოდგა, აქ სამიოდე ცხოველი კაცი მაინც ჰყავდა გამოყვანილი, მათ შორის ზოგი საუცხოვოდ იყო დახატული და სრულს ხასიათი წარმოადგენდა. მაგალითად: ოსეფია, მამასახლისი თომა, ბებერი თავადი შეილი თონიკე და სხვა. მაგრამ თვითონ პიესა ძრიელ ცუდათ არის აშენებული. შიგ ზოლიერით არ არის გატარებული საერთო აზრი, ინტერესი ყოველ ახალ სცენაზე ინაწილება, ბევრს ლაპარაკობენ და უფრო ბევრს ყბელობენ, მოქმედებას თანდათანობა აკლია; შეტად უძრავია და ხშირად მოსაწყენი, ძილის მოგვრელი გაჭიანურებული სცენებია, ამ პიესაში უფრო

ნათლად გამოჩნდა ცაგარლის ნაკლი და ლიტებაც  
მისი სისუსტე და ძალა-ლონე.

ცაგარლის ნიჭის სრულებით არ ეხერხება დრა-  
მის წერა და უფრო ტრაგედიისა. მისი შემოქმედე-  
ბითი ნიჭი უფრო ძლიერია კომედიებში, მეტადრე  
ზნე-ჩვეულების, ყოფა-ცხოვრების და ხარათების  
კომედიებში, ამ გვარ პიესებისათვის ავტორს ეჭირ-  
ვება იმ გვარ მდგომარეობითა მოსებნა, სადაც  
ზნე-ჩვეულება რომელსამე წრისა ან წოდებისა აშ-  
კარად სჩანს, კაცს თვალში ეჩხირება. იმ გვარ წო-  
დების და წრის კაცს თუ აიღებს ავტორი, თავის  
კომედიისათვის, მაშინ კერძო მაგალითებს გზა უნდა  
აუქციოს და მარტო იმ წრეს და წოდებას უნდა  
ჩაცივდეს, საიდამაც თავისი გმირი გამოჰყავს, რა-  
დგან ყოველი კაცი ზნეობრივის თუ გონებრივის  
მხრივ შვილია და დამოკიდებული ნაყოფი იმ წრისა  
და წოდებისა, სადაც იგი იზრდება და იშლება. კერ-  
ძო მაგალითი, რაც გინდა ფერადი ფერებით იყოს  
დახატული, მაინც ვერ წარმოგვიდგენს იმ ზნე-ჩვე-  
ულების და ყოფა-ცხოვრების სურათს, რომელიც  
ავტორს განუზრახავს. ეს, ვგონებთ, ცაგარელს. ხში-  
რად ავიწყდება ხოლმე.

როგორც ზემოდ ესთქვით ავ. ცაგარლის ნიჭი  
უფრო ძლიერია კომედიებში, რომელშიაც მას  
დღეს ბადალი არა ჰყავს, მაგრამ ეს კიდევ იმას არ  
ნიშნავს, რომ ცაგარელი მართლა ნალექლი  
დრამატურგი იყოს. მართალია, ცაგარელს დიდი ნი-  
ჭი აქვს, მაგრამ თან უფრო ბევრი ნაკლიც, მოექცევები

რისგამო ღდემდე სულ იმედს იძლევა და გვპირდება გაუმჯობესობას, თუმცა დროა აქადე დაეწრეა უფრო სერიოზული კომედია.

ა. ცაგარელი მიმდევარია გ. ერისთავის და ზ. ანტონოვისა, რომელთაც ჩვენში დაბადეს ეგრედ წადებული კომედია ზენ-ხასიათისა და კომედია ყოფა-ცხოვრებისა. უფრო დიდი ზედ-მოქმედება იქონია ცაგარელზე გ. სუნდუკიან ცმა, რადგან სუნდუკიან ცი, თუმცა იმავე სკოლის შწერალია, როგორც ზემოდ ნახსენებები, მაგრამ ეს უფრო ახლოა ჩვენთან და უფრო ახალ ცხოვრების ფორმებს შეეხება მისი კალამი. ამ ძლიერს ზედგავლენას ის უბედურება მოყვა, რომ ახალგაზდა დრამატურგი ქვეშ მოიმწყვდია და დღემდე ვერ განთავსუფლებულა ერთხანად მისი ხელის შემწყობის, მაგრამ ბოლოს მაბეზარი და მეტი ჩარა გამზდელობისა და მზრუნველობისაგან.

დავაკვირდეთ კარგად გ. ერისთავის, ზ, ანტონოვის და გ. სუნდუკიან ცის ტიპებს და მერე თვალი გადავავლოთ ა. ცაგარლის მომქმედ პირებს. არამც თუ მათ შორის ნათესაობას შეამჩნევთ, არამედ გეგონებათ ტყუპები არიანთ. ეს ვგონებთ ყველასა-თვის აშკარა უნდა იყოს და ვისაც არ სჯერა, იმათ ზედ მოყვანილი მწერალთა პიესებზე მიუთითებთ.

ორში ერთი უნდა იყენეს მართალი. ან ჩვენს ცხოვრებას ვერ შეუქმნია ახალი ფორმა ცხოვრებისა და ვერ გამოუჩენია სხვა მოქმედნი პირნი და ისევ ისეთი დარჩენილა, როგორც ამ ორმოცი

წლის შინედ, ან რა და ცაგარლის ნიჭის ჯერ ჯერობით თვით-მყოფელობა ვერ მოუპოვებია, და კვირვება და გონების თვალი აკლია სხვა ახალი ცხოვრების ფორმების გასაჭერეტელად. ეს უკანასკნელი ჩვენის აზრით ჭიუასთან უფრო ახლოა და დასაჯერებელია.

ცხოვრება დღე დღეზედ იცვლება. იცვლება აგრეთვე ცხოვრების პირობა, მოთხოვნილება და სხვა, რის გამო იცვლებიან აგრეთვე მოქმედნი პირებიც.

ამის გარდა ცაგარელს კიდევ ბევრი ნაკლიაქვს და იმ ბევრთა შორის ერთი მეტად მძიმეა. ეს არის პიესის უზრობა, ტენდენციის გაუტარებლობა თავის კომედიებში, ურთმლისოთ ყოველი პიესა ძალას და მნიშვნელობას მოკლებულია. ყოველი გვარი თხზულება და კერძოდ დრამატიული თუ რაიმე სასარგებლო საგნით და ცხოველ მყოფელის აზრით არ არის გამსჭიალული მაშინ მისი ყოფნა უნაყოფოა და უმნიშვნელო. არც ერთს ცაგარლის პიესაში, უკანასკნელის „კიმბირელის“ გარდა, არ არის გატარებული რაიმე აზრი და საჭიროების შესაფერი ტენდენცია.

ავილოთ სამაგალითოდ მისი საუკეთესო პიესა „ხანუმა“. აბა მიჩევნეთ რა აზრი აქვს ამ პიესას, ვის ან რას ებრძვის? პასუხს ნუ ელით, ვერ მიიღებთ. აქ ჩვენ უნდა შევნიშნოთ, რომ პიესის აზრს ვეძახით იმ ძაფს, რომელზედაც მძივებივით ასხმულია ხოლმე არაკი, მოქმედება, ინტრიგა, მოქმედნი

პირნი და სხვა. პიესის დედა-აზრი იგივე დედა-ბოა-  
ძია. იმაზეა დამყარებული დანარჩენების ძლიერება  
და გაშოსადევობა.

ხოლო იმავე ღრმას „ხანუმას“ ბევრი ლირს დ-  
ბა აქვს. მოქმედებათა და მოქმედი პირთა სიცხო-  
ველე, სიცხოველე ყოველს სიტყვაში ყოველს. ნა-  
ბიჯში, მიხერა-მოხერაში, ერთის სიტყვით, თქვენ  
აშკარად გრძნობთ, რომ აეტორი მეტად ცხოველი  
კაცია, თვალი და ყური კარგად უჭრის, რომ მისი  
კალამი უსაქმოდ არ არის, პირიქით სრულად  
პატრონს ემორჩილება. ამის გარდა რამდენი მარილი  
და პილ-პილი აქვს მოყრილი მის სიტყვა-პასუხებს,  
რამდენი სასაცილო მდგომარება, მოიპოვება ყოველს  
მის სცენაში! — ეს სიუხვე და სიმდიდრე ოხუნჯო-  
ბისა და განუწყვეტელი სიმხიარულე და სიცილ კისკა-  
სისა ხშირად იქამდინ აქეზებენ აეტორის შეუპოვარს  
კომიკურ გრძნობას, მის მხიარულ ბუნებას, რომ  
კომედია ფარსად ხდება, ხასიათები კორრიკატურე-  
ბად, მოქმედება და სიცილი უაზრო ლრეჭიაობად. ამას  
ნათლად გვიმოწმებს ცაგარლის პიესა „მკითხავი“,  
რომლისა ვგონებ, დღეს თვითონ აეტორს რცხვენია.

კომედიის სიცილი სხვა ნაირი სიცილია. ეს  
სიცილი გამოწვეული უნდა იყოს კომედიაში გამო-  
ყვანილ პირთა მდგომარეობით, მათის მოქმედებათ,  
ზნის და გონების სიფურცეთ და სიმართლის დაშორე-  
ბით.

ეს უბრალო სიცილი როდია, ეს დაცინვაა,  
ზოგიერთი ჭკუა მოკლეობის, ტვინ-თხელობის,  
ფლიდის, ენა წაგდებულობის და სხვა ათასის უწესო-

კულტურული და სოციალური განვითარების მიზანის მიხედვით ამ სიცილის და დაცინვაში ავტორის დედა-აზრი ყველგან ნათლად უნდა მოსჩანდეს, უფრო სინათლეს უნდა ჰქონდეს სასაცილო საგნებს, მაშინ კომედია სასარგებლოვა და ჭიუის მასწავლებელი, ზნეობის თუ პატიოსნების დამცველი და სწორის მაჩვენებელი.

ცაგარლის კომედიებს სწორედ ესეთი სიცილი, აკლია. თუ ხალხი ცაგარლის პიესების წარმოდგენაში უაზრო, უსაგნო სიცილ-ხარხარისაგან უერდებს, ქლიფს იჭერს და ფილტვებს ისივებს, ეს მხოლოდ მოწმობს იმ ფრიად სამწუხარო დიდს ნაკლა ცაგარლის უხევის ნიჭისას, რომლის გამო ცაგარელს დღემდე არ შეუძინა ისეთი საზოგადოებრივის ინტერესით გამსჭვალული პიესა, რომელიც შესანიშნავ გან დად ჩაითვლებოდეს ჩეენს მწერლობაში, დღემდე ვერ ამაღლებულა იმ საპატიო ხარისხამდე, რომლის ღირსია და რომელზედაც აქამდინ უნდა ამაღლებულიყო.

თავის უკანასკრელის პიესით „ციმბირელით“  
ცაგარელმა დიდი ნაბიჯი წარმოსდგა წინ და ცო-  
ტად მაინც ასცილდა იმ ჩვეულებრივ ნაკლულოვა-  
ნებათა, რომელნიც ისრე ძვალრბილში გამჯდარი  
ჰქონდა იმის ნიჭის. „ციმბირელს“ საზოვალოებრივი  
მნიშვნელობაც აქვს, აზრიც და ზნუობრივი ტენ-  
დენციალი. მოქმედებათა მსვლელობა სწრაფია, სცე-  
ნები მარტად და მკვირცხლად არიან დაწერილნი.  
მეტაც მხოლოდ უკანასკნელი მოქმედება, ამ მოქ-

შედებას ავტორი სულ-რომ შოაკლებდეს, პიესას  
არაფერი დაუშავდება და ბეჭედისაც მოიგებს. მომ-  
ქმედნა პირთა გამოსახვა, ზოგიერთების გარდა, ხე-  
ლოვნებით და სიმართლით სავსეა. პიესის უმთავ-  
რესი გმირი, ციმბირელი ისე ვერ არის გამოხატუ-  
ლი, როგორც სასურველია. ამის მიზეზი ის არის, რომ  
ციმბირელი სცენის უკან იტანჯება და უსამართლო-  
ბის ფიალის ჩვენ თვალ წინ ვერა სვამის და როცა  
გვეჩვენება ჩვენ მხოლო თან-უგრძნობთ იმის უბე-  
ღურობას და არა ვკრძნობთ იმის გამოვლის მწვავს  
და უზომო ტანჯეას, რადგან ვეღარ ვხედავთ. უტ-  
ყუარად და ძრიელ ფერადად არის დახატული მა-  
ზუთიანის ხასიათი. მაზუთიანი ჩვენი თანამედროვე  
ხასიათია, სრული ნაყოფი და ნამდვილი სისხლ-  
ხორცი აწინდელის გახრწნილის ყოფა-ცხოვრებისა,  
არაფრის დამზოგეელია და არაფრის შემბრალებელი,  
უსინიდისო და უზნეო, გულ ფლიდი უა. მშიშარა  
მაბეზლებელია. მაზუთიანი ჩვენს ნიჭიერს დრამატურგს  
ვაჭრების წოდებიდამ ჰყავს აღებული, მაგრამ იგი განსა-  
კუთრებული წოდების ან წრის ხასიათი როდია; მაზუ-  
თიანები ყოველგან მოიპოვება ჩვენს დროში, ხოლო  
სულ სხვა ქერქში, ტყავში, სახით და ყოფა-ქცევით.  
დაბეზლება, ეს ყოვლის მხრით შეუწყნარებელი  
საქციელი, მაზუთიანების მრწამსი და ცხოვრების  
ფარ-ხმალია. დაბეზლება უკიდურესი წერტილია ზნეო-  
ბა გახრწნილობისა; ამაზე მეტად ზოგი აღამიანის ხი-  
მურტლე ყოვლად შეუძლებელია ავიდეს. მაზუთიანი  
უკანასკნელი ზნეობა გახრწნილის და სულ მდაბა-

ლის და ყოველსფრით მყრალი და დაშაშულის კაცის  
 სურათი ჩვენი ნიჭიერი დრამატურგი დიდი მაღ-  
 ლობის ღირსია, რომ მაზუთიანს ან შეუმინდა, პირ-  
 და-პირ ქოჩირში წაავლო ხელი, საჯაროდ გამო-  
 აქცევნა და სამარცხვანო ბოძე გააკრა შრავალ  
 უზნეო ცხოვრების, ჭირისავით შემჭმელი, კაცების  
 საგულისხმიეროდ. ერთი ნაკლი, რომელიც გაპარ-  
 ვია ცაგარელს ამ ხასიათის შექმნის დროს, ჩვენის  
 აზრით, არის ის არას გჭირ აუსსნელი სისულელე  
 მაზუთიანისა, რომელიც მას აშკარად ეტყობა ლა-  
 პარაკში ადვოკატი ქლესოვთან. მაზუთიანებში ზოგი,  
 მართალია, ვირეულმაკები გამოდიან, მაგრამ მომცრე-  
 ბული მათგანი მეტად ფრთხილი, ყოველის სიტ-  
 ყვის და პასუხის ამწონ-დამწონები არიან და მარ-  
 ტო თავის თავს თუ გაუზიარებენ ხოლმე. თავიანთს  
 საქციელს და ისიც ჩუმად ხმა ამოულებლად. ცა-  
 გარლის მაზუთიანი კი არა თავის ხასიათს და ბუ-  
 ნების შესაფერის გულ-უბრყვილობით უხსნის ყო-  
 ველივე თავის სისაძაგლეს ადვოკატ ქლესოვს. შეორე  
 ნაკლი ის არის, რომ საზაგადოდ მაზუთიანი ვერ  
 იწვევს მაყურებელში იმ ზიზლი, რაისაც უჭველია  
 გამოიწვევდა ყოველი მაზუთიანი. აკლია ის სიღინჯე  
 სიტყვა-პასუხში და ყოფა-ქცევაში, რომელიც მაზუ-  
 თიანების აუცილებელ გარეგან ქეჩქს შეადგენს.  
 ახალი ფორმის ადვოკატი ქლესოვი მეტად სულე-  
 ლია, თუმცა ავტორი კი ცდილობს ქლესოვი გაი-  
 ძვერა და გაქლესილი კაცად დაგვიხატოს. აბა, რო-  
 მელი ჭიუა მყოფელი, ჭაიძვერა და ქლესია კაცი

და ისიც ადვოკატი იმას მოახდენდა, რაც ქლებავშა  
 ხაიდინა. რამდენიმე წუთის წინეთ ჯვრის დაწერამ-  
 დე. როცა მაზუთიანის აუარებელი ქონება თავის  
 ჯიბეში უნდა გადაელაგებინა — ისრე მოუფიქრებ-  
 ლად და სულელურად იქცევა თავის სასიმამროს  
 სახლში, (მოსამსახურე გოგოს ერშიცება) რომ  
 უეცრად ყველაფერს ჰყარებავს. ჩვენის აზრით, ეს ავ-  
 ტორის შეცდომაა. დანარჩენი შომქმედნი პირნი, ციმ-  
 ბირელის ცოლშვილი და სხვა ძეტად მკრთალად არიან  
 დასურათებული. მკრთალია აგრეთვე და მეტიც არის  
 მაზუთიანის ქალი. ამ უკანასკნელს ცაგარელი იმ-  
 დენს უცნაურს სჩტყეებს ასხა-სხუჭებს, რომ მის  
 მაგიერად მაყურებელს რცხვენიან. ავტორს კი  
 მაზუთიანის ქალი ჰსურდა გამოეყვანა ჩვენი თანა-  
 მედროვე ახალი ფორმის ახალგაზდა ქალად. რა  
 შორს არიან ერთმანერთან ავტორის სურვილი და  
 საქმე! მაგრამ თუ მართლა ნამდვილის და მაღალის  
 ნიჭით და პოეტურის ხელოვნებით შექმნილი პირე-  
 ბის ნახეა გსურთ, დააცემა დით „ციმბირელში“  
 გამოყვანილ ახალგაზდა მოსამსახურე გოგოს და  
 მის არშიყს, ქალაქელ ბიჭს, პეტუჭს. ამათ დახა-  
 ტვაში ცაგარლის შემოქმედებითი ნიჭი საოცრად  
 გაშლილია და საკურველიც არ არის, რადგან მაგ-  
 გვარ ტიპები და ხასიათები ცაგარლის ერთი უსა-  
 კუარლესი პირებს შეადგენენ. შთელი ის სცენა, სა-  
 დაც გოგო და ბიჭი ლაპარაკობენ და საზოგადოთ  
 უეესა ის სცენები სალაც ისინი ერთად არიან ისე-  
 რის ხელოვნებით და ნიჭით არიან დაწერილნი

რომ მაყუჩებელს გაოცების მეტი რათერდა რჩება. ყოველი მათი სიტყვა-პასუხი, მიხერა-მოხვრა, შეხელულობა, მათის სულის და გულის თქმა, ძარღვის ცემა და ატაკებული სიყვარულის ფრიამული ცაგარლისებურის მაღიანის, მჭერის და კუდ-გადაბმულის ენით არიან შემქობილინი. არც ერთი მარცვალი მეტი და ნაკლები არ არის. ეს ისეთი ადგილებია, რომ მარტო ამის გულისთვის შეიძლებოდა გვეპატივნა ცაგარლისათვის თუნდაც მთელი პიესის უვარვისობა.

როგორც ზემოდ ვსთქვით, ცაგარებულმა დიდი ნაბიჯი გადასდგა წარმატებისაკენ და მისგან შეპირებული გაუმჯობესობის იმედიც არ გაუმტყუვნა საზოგადოებას. ამ პიესის შემდეგ სრული იმედია, რომ ჩვენი ნიჭიერი ახალგაზდა დრამატურგი, თუ შროშის და თავის აღზარდვა-განვითარებას არ დაიზარებს; უფრო უკეთეს რასმე შექმნის ჩვენის მწერლობისა და სცენისათვის და უცილობლად დაისაკუთრებს ჩვენს დრამატიულს მწერლობაში. იმ საპატიო პირებელს ადგილს, რომლის ღირსიც არის.

ზემოდ გვქანდა ნათქვამი და აქაც ვიტყვით, რომ ჩვენი დრამატიულ მწერლებში ვერავინ არ აქცევს კურადღებას. ცხოვრების უსწორ-მასწორობას, მეტ-ნაკლებობას, მის სამწუხარო და სასიხარულო მაგალითებს და მოელენას, რის გამო მოშეტებული ნაწილი ჩვენის დრამატიულის თხზულებათა საზოგადოებრივ ინტერესს მოკლებულნიარიან. ჩვენს დროს და ყოფაში ნამდვილი დრამატურგი

რაც კი შეიძლება მეტს ყურადღებას უნდა აქცივ-  
დეს გამაფხიჩლებელ, ზნე-ხასიათის გამსპერაკებელ,  
ყოფა-ცხოვრების გამამჯობესობელ საგნებს. დრამა-  
ტურგია უნდა ებრძოდეს ცხოვრების სიმახიწვეს,  
რომ ამით ძირი მოუთხაოს მავნებელი პირთა,  
სიბოროტეს და გაცუდების პირობითა. რაც უფრო  
უტყუარის სიმართლით იქნება დასურათებული  
რომელიმე ცხოვრების უგვანო მაგალითი და მოვ-  
ლენა, მით უფრო ძლიერი იქნება მისი ზედ-გავ-  
ლენა ხალხის გულსა და გონებაზე, მით უცრის მა-  
ლე და ადვილად აღმოიფხვრება სიბოროტე და  
ღვარძლი და ნიადაგი მომზადდება კეთილთ თესლისა-  
თვის. ჩვენ ამით ის არ გვინდა ქსოვათ, რომ დრა-  
მატიულ ნაწარმოებში გარდაეტებით და ჭარბად  
იყოს ნაჩვენები ბოროტი ან კეთილი. ყოველ შემ-  
თვევაში ზომიერება პირველი და თავი საქმეა.  
გარდამეტება და გაღამლაშება, თუნდაც კეთილის  
გარზრახვით იყოს, მავნებელია და საგანს ვერას  
დროს ვერ მიაღწიეს. ჩვენი დრო ისეთი დროა, რომ  
რქიანი და ბრჭყალებიანი ეშმაკების და ჯოჯოხე-  
თის ფერად-ფერადად დასურათებით ვერ-ვინ შეშინ-  
დება და სასაცილოდაც აიგდებინ კიდევც. ნამდვილი  
ლიტერატული და ხელოვნური ნაწარმოები მით  
არის კარგი და ღირსებიანი, რომ ყოველ ისფერში მარ-  
თებული ზომიერებაა დაცული. მასალები დრამები-  
სა თუ კომედიებისათვის ყოველ ნაბიჯზე ხირია.  
თვით ცხოვრება იმდენად კარგად და ხელოვნურად  
ჰქმნის ხოლმე დრამებს და კომედიებს, რომ არა

უყრის გამოვლება და ფანტაზიის მოწევში ტოპვა  
არავისათვის არ არის საჭირო. საკმარისია მხოლოდ  
რაიმე ზნეობრივის აზრის და საჭირო ტენდენციის  
გატარება პიესაში.

ამით ვათავებთ საუბარს ჩვენს დრამატურგებ-  
ზე. ეჭვი არ არას ჩვენ ბევრი რამ დაგვავიწყდა,  
ბევრი რამ უყურადღებოდ დაგვრჩა, მაგრამ არც ჩვენა  
გვქონდა ისეთი განზრახვა, რომ ყოველისფერ წვრილ-  
მანების აწონ-დაწონვაში, გარჩევა და დაფასებაში შევ-  
სულვიყავით ჩვენ განვიზრახეთ გაკვრით შევხებოდით  
ქართველ დრამატურგებს და ძალ-ლონის და გვარად  
აღგვენიშნა მათი უმთავრესი და სახასიათო თვისებანი,  
ნაკლი და ლირებანი კერძოდ ყოველის დრამა-  
ტურგისა და საზოგადოთ ყველასი ეჭითად. რამდე-  
ნად მართებულად შევასრულეთ ჩვენი განზრახვა,  
ეს სულ სხვა კითხვაა და მკითხველებისგონების საქ-  
მეა.

## ქართველი არტისტები

სანამ ჩვენი სცენის მოთამაშეებზე და მათ  
ნაკლ-ლირსებაზე ჩამოვაგდებდეო საუბარს, ურიგო არ  
იქნება განვმარტოთ, თუ რას ვეძახდით ჩვენს  
კარგს თამაშობას და წარმოდგენას როლის ხელოვნუ-  
რად შესრულებას.

აქაც, როგორც მწერლობაშიაც, უწინარეს ყოველისა საჭიროა მართალი, უტყუარი უმეტ ნაკლებო გამოსახულება ადამიანის ბუნებისა. დიდი უცოდინარობა და სისულელეა არტისტის თამაშობა იფაქტოდეს სიტყვით „მომწონს“ და „არ მომწონს“. აქტორის თამაშობასაც აქვს კანონები, დაფასების საწყალ. ხშირად მაყურებელი აქტორის ხელოვნებას ხან მის გამოცდილებას, ხან ზედს, ხან შემთხვევას მიაწერს ხოლმე. ხშირადვე მაყურებელი აღტაცებაში მოჯინის აქტორის თამაშობით და თვით თონაც კარგად ვერ გაუგია თავის აღტაცების მიზეზი; მაყურებელი აქტორს ათანაბრებს და ახორციალებს თვით მოქმედი პირს და ხშირად აქტორის ნიჭის აწერს იმ შთაბეჭდილებას, რომელიც მას ეძლევა მარტო დრამატურგისაგან. აქტორის მოვალება არის მართლად, სრულად და სახიერად დაგვანახოს ის მასალა და სურათი, რომელსაც დრამატურგი აძლევს მას,— და თუ ჩვენ ვიცით რა მასალა აქვს აქტორს ავტორისაგან მიცემული, მხოლოდ მაშინ შეგვიძლიან მისი ხელოვნების დაფასებაში შევიდეთ, მისი ნიჭის ძლიერების გარჩევას შეუდგეთ და საბუთიანად გამოვსთქათ ჩვენი აძრი და დასკვნა.

ქართულ სამუდამო სცენის დაარსებიდამ დღევანდელ დღემდე ბევრი მოთამაშე გამოსულან სცენაზე, მაგრამ მათ შორის ყველანი დღემდე არ დარჩენილან: ზოგი მოკვედა, ზოგმა თავი დაანება, ზოგი გათხოვდა, ზოგი მოშორებით და ზოგი კი-

დევ ვინ იცია სად არის. ჩვენ ვიღლაპაჩაჩებთ მხოლოდ იმ არტისტებზე, რომელნიც ასე თუ ისე რითიმე შესანიშნავიარიან, ან ნიჭით, ან შრომა-მეცადინებით, ან კვაწლი შიუძლვით რამე და სხვა, ერთის სიტყვით - მათს ყოფნას ქართულ სცენაზე რაიმე კვალი დაუმჩნევია თეატრისათვის.

ვასილი აბაშიძე გ. ჩვენს სამუდამო ცენას პირველ ფარდის ახლისათანავე, როგორც ზემოდი რყო ნათქვამი გამოუჩნდენ ფრიად ნიჭიერი აქტორები; მათ შორის, ჩვენის აზრით, ყოველის მხრით, ნიჭით თუ ხელრვნებით, შრომით თუ მეცადინებით, სცენის სიყვარულით, თუ საქმით, პირველი ადგილი ეჭირა და დღესაც სამართლიანად უჭირავს ესილი აბაშიძეს.

ვ. აბაშიძე, როგორც აქტორი, სწორედ ბურჯია ჩვენის სცენისა. ამ სამრს წლის წინეთ აბაშიძემ იდლესასწაული თავის ათის წლის შრომა ეროვნულ სცენაზე. ამ დღესასწაულში მონაწილეობა მიღო თითქმის მთელმა საქართველოს განათლებულ ნაწილმა. მარტო ეს მაგალითი ნათლად მოწმობს აბაშიძის დიდს. მნიშვნელობას ქართულ სცენისათვისა

ხშირად გაიგებთ საზოგადოებაში: ეს და ეს კაცი „ნიჭიერიაო“. სიტყვამ „ნიჭიერმა“ ჩვენში როგორ-ლაც დაკარგა, თავისი მნიშვნელობა. თუ კაცს ცოტა რამ აბადია და აცხია ბუჩებისაგან, იმას ჩვენში მაშინთვე ნიჭიერების გუნდში ჩასთვლიან. ეს ჩვენის აზრით შეცდომაა და უსამართლობაც. რუ-

სებს კარგი სიტუაცია აქვთ პატარა ნიჭის და დიდი  
 ნიჭის პატრონთა გამოსახატავად „Способный чело-  
 векъ“ და „Талантливый человекъ“. „Способный“  
 ე. ი. უნარიანი; უკეთესი, უმჯობესი ვერ ნიშნავს თა-  
 ლანტ-ს ე. ი. ნიჭის, რაღვან შეიძლება ბევრზედ უცეთესი  
 უმჯობესი და უნირიანი იყოს კაცი მაგრამ იმავე ღროს.  
 ნიჭი არა ჰქონდეს. ეს ვგონებო ცხადია. ვ. აბაშიძე  
 სწორედ ნიჭიერი არტისტია. ბუნებით კომიკოსი,  
 აბაშიძე თითქოს განვებას სცენისათვის დაუბადია.  
 სახეს გამომეტყველება, ხმა, მიხერა-მოხერა, ლაპა-  
 რაკის კილო, თავის დაჭერა და თვით აბაშიძის გა-  
 რეგნაბა მას სრულს უფლებას აძლევენ კომიკურ  
 როლების წარმოსადგენად და აბაშიძეს არც ერთ-  
 ხელ არ ულატნია თავის ნიჭისათვის თოთხმეტის  
 წლის ეოფნაში ქართულ სცენაზე. იმ პატივცემულ  
 არტისტს შეუქმნია არა ნაკლებ ას-ორმოც-და-ათი  
 სულ სხვა-და-სხვა ხასიათები, ტიპები, გონების, ზნეო-  
 ბის, ჩვეულების, ენების და ყრძნობის კაცები. ათის-  
 თორმეტის წლის განმავლობაში აბაშიძეს შეუს-  
 რულებია, სულ უკანასკნელი რომ ვიანგარიშოთ,  
 400-ზე შეტი როლი, რა თქმა უნდა განმეორებით,  
 ეს ისეთი რიცხვია, რომ სხვა უფრო დახელოვნე-  
 ბულ და ნიჭიერ არტისტებშიაც უცხოეთში თუ რუ-  
 სეთში, იშვიათი მოვლენაა რა დიდს სახელს გაუ-  
 თქვამდა აქტორს. აბაშიძეს როგორც ყოველს თვით  
 მყოფელ ნიჭის, სკოლით და სპეციალურის განვითარე-  
 ბით გამოუწირთვნელს, რა თქმა უნდა; ნაკლუ-  
 ლეებანება აქვს. პირველი ჩაკლი აბაშიძისა, როგორც

უფელა ბუნებით მდიდარი ადამიანისა და მეტადრე  
 ქართველი კაცისა, არის სიზარმაცე. თუმცა ვერც იმას  
 ვიტყვით, რომ აბაშიძე ზარმაცია იყვეს. ეს ტყუ-  
 ილი და უსამართლობა იქნება. აბაშიძეს უფრო  
 მეტის შრომის დადება შეუძლია ოთავის ხელოვნე-  
 ბაზე მაგრამ აღარ მეტება. ეს ერთის მხრით იმით არ-  
 ხსნება, რომ აბაშიძეს როგორც მეტად ნიჭიერს  
 აქტორს, იმდენი შრომა არ სჭირდება როლის  
 შესწავლისთვის, რამდენიც სხვას, უფრო იმაზე ბუ-  
 ნებით ღარიბს, დასჭირდება, მაგრამ ეს ნაკლის ასა-  
 ხსნელი მიზეზია და არა მისი გასამართლებელი.  
 პირველ ხანებში აბაშიძე მართლა ემზადებოდა ყო-  
 ველს წარმოდგენას, რაც მტკიცდებოდა მისი სამ-  
 ცარი ხელოვნური თამაშობით, მაგრამ ბოლოს შრო-  
 მას და მეცადინეობას პირვანდელი ძალა მოაკლო. გა-  
 მოჩენილი და გენიოსი არტისტები ყოველთვის მუშა-  
 ობდენ და ეინც კი იცის რა არის, რა წეალება და რა-  
 ტანჯვაა არტისტის მუშაობა, ის დავვეთან ხმება,  
 რომ რომელი არტისტიც არ მუშაობს ის უფრა-  
 ფერს შექმნის სცენისათვის, სიზარმაცეს ეჩვევა და  
 ბოლოს და ბოლოს ნიჭიც კი უსუსტდება. აბაშიძეს,  
 ამპლუა, ან ასეთუ შეიძლება ქსოვეათ მისი ნიჭის სარ-  
 ბიელო კომიკური როლები. აბაშიძის კომიზმო მე-  
 ტად ცხოველი და ბუნებრივია. მართალია, კომიკურ  
 როლებს ის უპირატესობა აქეს - სხვა როლებთან,  
 რომ, რაც უნდა სუსტი იყოს აქტორი, მაინც ხში-  
 რავ კომიკური როლების მდგომარეობა თავის თა-  
 ვად გაიტანს თავს და თავისვე სასაცილო მდგომა-

რეობით სიცილს იწვევს ხოლმე მაყურებლებში  
 მაკრამ აბაშიძე, როლის და მოქმედი პირის მდგომარეო-  
 ბის მიუხედავად, ყოველთვის სასაცილო და დროზე  
 მოსწრებულია. კომიკურ აქტორს ხსენებული უპი-  
 რატესობასთან ონასდევს ერთი სამძიმო თვისებაც.  
 მართლა ძრიელ ზომიერი უნდა იყოს აქტორი, რომ  
 ან არ გადაჭარბოს, ან არ დაკლოს. კომიკურ  
 როლებმა ყოველთვინ უკიდურესობა იციან. ერთსა-  
 და იმავე დროს უნდა დინჯიც იყო და ცელქიც.  
 დაშვიდებულიც და აცუნცრუკებულიც, მხიარულიც  
 და თავდაჭერილიც. ერთის სიტყვით კომიკური რო-  
 ლი ის ყინულია, სადაც აქტორს ხშირად ფეხი წა-  
 უსხლოება, ხან ყირამალა გადადის და ხან ცხვირ-  
 პირი ემტვრევა ხოლმე. ვ. აბაშიძე ზემო ხელნებუ-  
 ლი უკიდურესობიდამ ყოველთვის გამარჯვებული  
 გამოდის ხოლმე. ბუნებითი ნიჭისათანავე აბაშიძეს აქვს  
 ნიჭის ხელშემწყობი პირობები, რომლის წყალობით  
 პატივცემული არტისტი ყოველთვის იმ ჯეროვან  
 ზომიერობით თამაშობს, რომელსაც ჰქვიან ხელოვ-  
 ნური თამაშობა და რომლისაგან მაყურებელი ყო-  
 ველთვის კმაყოფილი რჩება ხოლმე. ხშირად გა-  
 ვიგონია აბაშიძეს თამაშობაზე: აბაშიძე უმე-  
 ტეს შემთხვევაში ყოველთვის ერთგვარია, ყოველ-  
 თვის აბაშიძეაოს ამის მთქმელებს ალბად ავიწყდე-  
 ბათ, რომ აბაშიძისთანა განსაკუთრებული აგებულო-  
 ბის პატრონი რაც გინდა გრიმით და ტანისამოსით  
 იყოს გამოცვლილი, მაინც ყოვლად შეუძლებელია  
 გარეგნობის, სახის და ხმის ისე გადასხვაფერება, რომ

მაყურებელთ თვალწინ ყოველთვის სულ სხვა-და-სხვა  
კაცად სჩანდეს. ხოლო თუ მოვიგონებთ იმ მრა-  
ვალ როლებს, რომელნიც აბაშიძეს შეუსრულებია,  
მაშინ აშკარა იქნება ყველასათვის, რომ ჰატივ-  
ცემულ არტისტის ნიჭი მრავალ გვარი სულ სხვა-  
და-სხვა ხასიათები და ტიპები წარმოუდგენია. აბა  
მოვიგონოთ აბაშიძის აკოფა, ისაია, ივეფა, ზომ-  
ზიმონი, ტერ-აფოფოიანცი, ტიგრანიანცი, პოლო-  
ნიუსი, ივანოვი, ბელოგუბოვი, ხლესტაკოვი და სხვა  
მრავალი ტიპები და ხასიათები, რომელნიც აბაში-  
ძეს შეუქმნია ამ ათს წელიწადში, მაშინ ვერც ერთი  
სასტიკი კრიტიკოსი ვერ. იპოვნის აბაშიძისაკან წარ-  
მოდგენილ როლებში ერთგვარობას. აბაშიძის შეჯქმ-  
ნის სარბიელო მეტად დიდი და ვრცელია. ისე ვე-  
რავინ გამოხატავს ჩვენს სცენაზე, როგორც აბაში-  
ძე, ცრუს, ყბედს, უზნეოს, ვნებიან აშიყს, სულელს,  
ძუნწს, ვაჭრებს, ჩინოვნიკებს და სხვა მრავალი კო-  
მედიის და ვოდევილების გმირებს, რომლების რიცხვი  
ასზე მეტი იქნება. აბაშიძეს ყოველთვის დიდის ხელოვ-  
ნებით უთამაშნია მაღალ და ზნეობრივ კომედიებში და  
გადაჭარბებულ ფარსებშიაც და ყველგან და ყოველს  
დროს მისი თამაშობაში ბუნებრივი სიმართლე და სიმ-  
ხიარულე, აზრიანი სიცილი და მწუხარება მოსჩან-  
და ხოლმე.

რამდენჯერ გვინახავს და ჩვენს თავზედაც გამო-  
გვიცდია, რომ რომელიმე მოთამაშის უდროვო დროს  
და უალაგო ალაგას მეტის მეტად აწეულის ან  
დაწეულის ხმის წყალობით, მთელ სცენას სიცოცხ-

ლე წართმეული ქონდა, დანარჩენი აქტორებიც ისრე უგემურიად თაშაშობდენ, რომ ხალხს ძილს მოგვრიდენ; მაგრამ საკმარისი იყო აბაშიძის ფეხის შემოდგმა სცენაზე და უველაფერი იცვლებოდა. სიმხიარულეს და სიამოვნებას საზღვარი აქ ჰქონდა ამ გვარი ხშირი მაგალითები უტყუარი მოწამეა აბაშიძის დიდი სასცენო ნიჭისა. და ბუნებრივი კომიკურის მხიარულებისა, რომელსაც უხვად პფენს მოთამაშეთა და აგრეთვე მაყურებლებთაც. რაც შეეხება აბაშიძის თავის დაჭრას სცენაზე-მეტი თავისუფლად თამაშობა გადაჭრიბებული იქნებოდა. აბაშიძე სცენაზე ისეა როგორც საკუთარ ოთახში. შიში, კრძალვა, როლის შეშლა თავს-ბრუ-დასხმა აბაშიძესათვის გაუგებელი გრძნობაა. პირიქით თავის მახვილის გონების წყალობით თავის თავიც და ბევრი სხვა მოთამაშენიც გამოუხსნია გაჭირვებულ მდგომარეობიდამ. აბაშიძე თან თამაშობს და თან ამხანაგს ასწავლის თამაშობას, ეს მეტად იშვიათი თავისუფლობაა სცენაზე.

აბაშიძის ხელოვნურს თამაშობას უმნიშვნელოდ არ ჩაუკლია ჩვენი სცენისათვის, იმის გარდა რომ აბაშიძეს მრავალი ტიპები და ზასიათები შეუქნია, — მან შეჰქმნა აგრეთვე თამაშობის წესი და რიგი, თამაშობის სკოლა, ეს რომ ლიტონი სიტყვები არ არის, ამას გვიმტკიცებს ის გარემოება, რომ დღეს აბაშიძეს მიმდევარიც და მრავალი მიმბაძველები ჰყავს. მიმბაძველობის და მიმდევრობის გამოწვევა მარტო დიდს და სერიოზულ ნიჭს შეუძლაან, ამ მხრივ ეს აბაშიძე ბევრად შალლა სდგას;

დანარჩენი ჩვენს მოთამაშეებზე. არც ურთს არტისტს ჩვენის სცენისას იმდენი სამსახური არ მიუძღვის ქართულ თეატრსთან, როგორც აბაშიძეს. იმ დროს, როდესაც ქართული ცენა გასაჭირაში იყო და მომეტებული ჩვენი არტისტები თავს ანებებენ მას და ერთის, და ხშირად ორის და სამის წლის განმავლობაში ფეხიც არ გამოუყენით სცენაზე იჯდა და მას უდარაჯებდა. იგი მუდამ ცდილობდა, შრომობდა, ახალგაზდა მოთამაშეთ სხებნიდა, წარმოდგენებს ჰქართავდა, აქ თუ პროექტი ციებში. ერთის სიტყვეით, აბაშიძე ამ ათის წლის განმავლობაში ერთხელაც არ მოშორებია ქართულს სცენას, არ დაკლებია არც ურთს წარმოდგენას, გასაჭიროში თუ ბედნიერებაში ყოველთვის პირველი ყოფილა. მისი გული და გონება, ნიჭი და მეცადინეობა, სიყვარული და შრომა ყოველთვის ქართულ სცენისათვის იყო დავალებული, რისოდესაც ქართველ საზოგადოებამაც ღირსეულად ფასა თავისი საყვარელი და ძეირფასი არტისტი ათის წლის დღესასწაულის დროს.

კოსტანტინე ყიფიანი. ჯერ კიდევ სამუდამო დასის ხსენებაც არ იყოს, როცა კ. ყიფიანი ხან კლუბების და ხან კერძო ოჯახების სცენაზე თამაშობდა მაშინდელ სცენის მოყვარულებათან. იმ ხანებშივე დაეტყო კ. ყიფიანს სასცენო ნიჭი დრამატიული როლებში და მაშინ საუკეთესო სცენის მოყვარედ ითვლებოდა. დაპრისდა თუ არა სამუდამო სცენა, ყიფიანს მაშინათვე შესაფერი ადგილი მისცეს და დრო გამოშვებით დღემდე ემსახურება

ქართულ სცენას. კ. ყიფიანს დრამატიულ არტისტია, ეგრედ წოდებული დრამატიულ რეზონიერის ამ-პლუაზე დღემდე ბადალი არა ჰყავს, არა ჰყავს აქ-რეთვე ბადალი მოხუცებული ბებრების კომიკურს როლებში, რომლებსაც დიდის ხელოვნებით ასრუ-ლებს ხოლმე. ამ შხრით კ. ყიფიანის ნიჭი სწორედ შესანიშნავია. ძნელად გამოვა ორტისტში, რომ ერთის და იმავე ხელოვნებით და ბუნებრივის სი-მართლით ითამაშოს დრამატიული და კომიკური როლები, ბებრები და ახალგაზდები. ამ შემთხვევა-ში კ. ყიფიანი სრულებით არა ჩვეულებრივ მოვლე-ნას წარმადგენს ჩვენს სცენაზე. მაინც. და მართლაც იშვიათი მოვლენა არ არის ისეთი უკიდურესი რო-ლების შესრულება, როგორც მეფელირი და რევაზ-თავქარიანი, ვენეციული ვაჭარი გლეხი სოსია (და. ტრიალდა ჯარაში); ქანბოდრი, სვიმონ ლეონიძე, ელისბარ ერისთავი, გიქო, ზამბახოვი, გოროდნიჩი, სიზოვი, ფოჩო-მეიტერი; ოსიპი, ანდუყაფარ, გვრი-ტიაშვილი და სხვა მრავალი სულ სხვა-და-სხვა ხასი-ათის, გონების, წლოვანების, ტემპერამენტის წრის და წოდების პირნი კ. ყიფიანს ერთ ნაირის ხელოვ-ნებით დაუხატნია ხოლმე ქართულ სცენაზე. განსა-კუთრებით კარგია ყიფიანი ჩვენებური თავადიშვი-ლის როლებში, რომლების ტიპები ჩვენს სცენაზე მომეტებულად კ. ყიფიანის ნიჭს და ხელოვნებას შეუჰქმნია. ყიფიანის ნაკლი დრამატიულ როლებში ჩვენის აზრით, არის ერთგვარად გატარება პუტე-ტიური ადგილებისა, ერთნაირი ხმის აწევ-დაწევა,

ინტონაცია, თავის დაჭერა, მიხერა-მოხერა, ვნება-  
თა ლელვის გამოხატვა, მწუხარება და განრისხება ყვე-  
ლა დრამატიულ როლებში ყიფიანის მიერ ერთნაირად  
იხატება. ეს შეადგენს მისი ნაჭის სისუსტეს და მი-  
სავე ხელოვნების ნაკლს. სამაგიეროდ ყიფიანს  
აქვს ერთი შესანიშნავი და საპატიო ღირსება: რო-  
ლების საფუძვლიანად შესწავლა და შეგნება, მო-  
მშადება როლისა, თუმცა ამ უკანასკნელ ხანში,  
როლის უკოდინარობა როგორლაც დაუხშირა. ყი-  
ფიანისაგან წარმოდგენილ ხასიათი ყოველთვის  
სრულს შთაბეჭდილებას მოახდენს მაყურებელზე. ეს  
ნიშანია მისი შრომის და ბეჯითობისა. გარეგანი  
შეხედულობა ყიფიანს ძრიელ კარგი აქვს, ხმა ჩელს  
უწყობს ყველა როლებისათვის, განსაკუთრებით  
ხანში შესულ კაცებისათვის, ხოლო რაც შეეხება  
ყიფიანის სასცენო ლაპარაკს, ესე იგი დიქციას, ამა-  
ში კარგად საგრძნობელი სისუსტე ეტყობა და სიტყის.  
დაბოლოების ყლაპვა ჩვეულებად აქვს გადაქცეული.  
ამ სამ. თუ ოთხის წელიწადში ყიფიანს დააკლდა ის სი-  
ცხოვლე და ძალა დრამატიულ როლებში, რომელ-  
ნიც ლრამატიულ ხასიათებს სიმნივეს და სიმტკი-  
ცეს ჰმატებენ. ამას ჩვენ ვსხნით იმ გარემოებით,  
რომ ყიფიანი თვითონაც თან და თან, რაც დრო  
გადის, ხანში შედის და ნება უნებლიერ აკლდება ის  
წინანდელი აღგზნებული ვნებათა ლელვა, რომე-  
ლიც უფრო ახალს და ჯანმრთელ სხეულში ბინა-  
დრობს ხოლმე. ამიტომ საკეირველი არც ყიფია-  
ნისა და არც ჩვენთვის არა იქნება რა, თუ პატივ-

ცემული არტისტი რამდენისამე ხნის შემდეგ სულ  
თავს დანებებს ღრამატიულ როლებს და გადავა  
სახასიათო და დამშვიდებულ როლებზე, რომლის  
ხელოვნური შესრულება თუ მეტს არა-ნაკლებს  
შრომას და ნიჭისარ მოითხოვს აქტორისაგან. ყიფი-  
ჩნს ყოველთვის ებედებოდა, და დღესაც მაგ ყოფაშია,  
იმ გვარი როლების თამაშობა, რომლის მიმართ  
მაყურებელთა თანაგრძნობა ცოტა არ იყოს ძვი-  
რობს ხოლმე. დიდ კაცების, თავად აზნაურების,  
უმაღლესი წოდების და ხარისხრის პირებს, კერპ და  
ანჩხლ მამებს და სხვა. ამ როლებზე მაყურე-  
ბელის სიმპატია და თანაგრძნობა ძრიელ ძვირია.  
ამიტომ არად უნდა გვიკვირდეს, რომ კ. ყიფიანი  
ხალხს იმდენად არ უყვარს, რაოდენად პატივსასცემს.  
ჩვენ არ გვახსოვს, რომ ერთს ბენეფისში მაინც  
თეატრი მაყურებლებით სავსე პქონოდა ყიფიანს.  
კ. ყიფიანი ჩვენის აზრით სახალხო აქტორი არ  
არის, რომელიც ხალხის საყვარლად და სანატრლად  
ხდებან, როგორც მაგალითად აბაშიძე და ნატალია  
გაბუნია. ყიფიანი უფრო, თუ შეიძლება ასე ვსოდეთ,  
„საარისტოკრატო არტისტია“. ბრბო ყიფიანისთა-  
ნა არტისტს მოიწონებს, პატივსაც სცემს, მაგრამ  
საყვარლად-კი ვერ გაიხდის. რაც უნდა იყოს კ. ყი-  
ფიანი ამ ქამად ერთი საუკეთესო არტისტია ჩვენში  
და კიდევ ბევრი ხანი გაიგლის, სანამ ყიფიანს სცე-  
ნაზე შემკვირდრე გამოუჩნდებოდეს, მისგან შექმნალი  
ხასიათები და ტიპები დიდხანს დარჩება ქართველ  
საზოგადოების ხსოვნაში და ბევრი ახალგაზდა მო-  
თაშაშენი შიგბაძვენ შას.

კონტანტინე მესხი. შედარებით ჭ. აშა-  
შიძესთან და ყიფიანთან კ. მესხინიჭით უფრო დაბლა-  
სდგას, მაგრამ სხვა ფრივბევრში არ ჩამორჩება, იმათ.  
კ. მესხზე უცოდველად ითქმის, რომ მას სცენა-  
მშობელი დედასავით უყვარს, თუმცა ნიჭის სი-  
ძუნწე ხშირად დედინაცელურად ექცევა, მაგრამ  
დაუღალავის შრომით და ჯაფით კ. მესხმა იმდენი-  
იმოქმედა, რომ დღეს იმას თავის როლებში მო-  
ცილე არავინ არა ჰყავს. პირველი ნაბიჯი სცენაზე  
მესხმა მსახურს როლებიდამ დაიწყო და იქამდინ  
აიმაღლა თავი საოცარის შრომით და მეცადინებით,  
რომ დღეს უმთავრეს როლებს თამაშობს. კლასი-  
კურს თუ თანამედროვე პიესებში იმ პარია ბეჭ-  
ტავი ნაპერწკალიდამ, რომელიც ღვივოდა კ. მეს-  
ხის ბუნებაში, დღეს სამაგალითო ცეცხლია გაჩა-  
ღებული. კ. მესხის საქციელი სამაგალითოა არამც  
თუ ჩეენი სცენის მოთამაშეთათვის, არამედ ყოველ  
საზოგადო მოღვაწესათვის, ყოველ ახალგაზდა  
ქართველისათვის.

კ. მესხმა ნათლად დამტკიცა, რა საოცარი  
ნაყოფის მოტანა შეუძლიან შრომას. კ. მესხი ხე-  
ლოვნურად ასრულებს ძრიელ დრამატიულ რო-  
ლებს: პამლეტს, ოტელოს, ურიელ-აკოსტას და სხვ.  
საუცხოვოდ თამაშობს. აგრეთვე ზოგიერთ კომი-  
კურს სახასიათო როლებს, მეტადრე სულელს,  
გულ-უბრყვილოს და სხვას. ჩვენ არ გვინახავს მეს-  
ხი პამლეტის როლში, და ვეჭვობთ, რომ ეს როლი  
მისი საუკეთესო როლი იყვეს, რადგან პამლეტის

ბუნება სრულებით არ ეხერხება მესხის ხასიათს. დამშეიღებული წყნარი როლების თაბაშობა, წყნარი მონოლოგების წარმოთქმა მესხს სრულებით არ შეუძლიან. მისი ბუნება ითხოვს უკიდურესს მდგომარებას, ვნებათა—ლელვას, სულის და გონების შფოთვას. კ. მესხს სცენისათვის არც გარენობა უწყობს ხელს, არც სახე და განსაკუთრებით ხმა, მაგრამ მაინც ზოგიერთ როლებში. ის შეუდარებელია. მისი საპატიო ლინსება მდგომარეობს როლის ხაოცარ შესწავლაში და ხასიათის შეგნებაში, ლიდს ჯან - გასაწყვეტ შრომაში. და მუდმივ მეცადის ნეობაში. კ. მესხს იშვიათად სჭირდება სუფლორი. ისეთი ცოდნა როლისა, ჩვენ მოთამაშეებში მარტო მ. საფაროვაბაშიძისამ თუ იცის თორებმ, სხვამ არავინ. მესხი გონიერი კაცია და მაყურებელი ამას აშეკრადა ჰერძნობს და ხელავს ყოველს მის სიტყვაში და ნაბიჯში სცენაზედ ესეთი ლინსებანი, რა თქმა უნდა, მესხს დიდს უპირატესობას აძლევენ სხვა მოთამაშეთა შორის. ზოგიერთებისაგან გაგრევია, რომ მესხს მაყურებლის აერეოლება შეეძლოს, — მესხი უფრო მაყურებლის გონებაზე მოქმედებს, ვიდრე გრძნობასა და გულზე. იმაშია ჩვენის აზრით მესხის ძლიერება და უძლურებაც. მესხს აკლლია ის თვისება, რომელსაც მდაბიურად ეძახიან გრძნობის სინარნარეს, გულის სიჩვილეს, ხასიათის სიჩბილეს. მესხს არ უვარება ხმა, რომელიც თავი და უმთავრესი იარალია ძლიერის ზედ-გავლენისათვის მაყურებლებზე, — სამაგიეროდ საუცხოვოა მეს-

ხის გარეგანი თამაშობა, მიხერა-მოხერა, თავის  
დაჭერა და საზოგადოდ თავისუფლება სცენაზე,  
თუმცა უნდა გამოვტყეთ, რომ ყველაფერი ესენი  
მეტად ეთვაროვანი აქვს ყველა როლებისათვის.  
მესხი აგერ ხუთი წელიწადია რაც თბილისის სამუ-  
ლამო სცენაზე აღარ მსახურობს, ის მხოლოდ დრო  
გამოშვებით თამაშობს თბილისში, წელიწადში სამ-  
ჯერ თუ ოთხჯერ. ამ ეამად კ. მესხი ქუთაისშია,  
სადაც კარგა ხანია რაც იქაურ სცენის მოყვარე-  
თაგან დასი შეადგინა და ყოველ წალიწადს 10—15  
წარმოდგენას ჰმართავს. კ. მესხის ღვაწლი ამ მხრით  
თვალსაჩინოა და მაღლობის ლირსია და ლმერთმა  
ჰქნას, რომ მის მაგალითს მიმბაძველები გამოუჩ-  
დენ. თეატრი რომ საქართველოს ყველა უმთავრეს  
კუთხებსა და ქალაქებში იქნებოდეს დიდ ბეღნი-  
ერებად ჩაითვლებოდა, ჩეერი ქვეყნისათვის.

ვლადიმერ ალექსან-მესხი კ. კ.  
მესხი და ვ. ალექსი - მესხიევი წარმოადგენენ. იმ  
ჭეშმარიტების საოცრს მაგალითს, თუ რა შეუძლიან  
შრომას და რა უღონოა უშარმელი ნიჭი. ვ. ალექ-  
სი-მესხიევი ნიჭით ბევრად მაღლა სდგას კ. მესხზე  
და იმავე დროს ერთი ორად უფრო დაბლა სდგას  
კ. მესხზე თავის ხელოვნებით. ვ. მესხიევი უხვად  
დაჯილდოებულია ბუნებისაგან ყველა იმ თვისებით,  
რაიც აუცილებელს საჭიროებას შეადგენს აქტორი-  
საოვის. ვ. ალექსი-მესხიევისთანა წმა იშვიათი შოვლე-  
ნაა, არამც თუ ქართულ სცენაზე, არამედ უცხო სცე-  
ნებზედაც კი. ისეთი რბალი, მელოდიური და გულის

საძირკელამდე გამსტანი ხმა, როგორც მესხიერებ  
აქვს, ვეჭობთ რომ ბერისა ჰქონდეს. სახე, თვა-  
ლები და ტანის აგებულება ძრიელ მოხერხებული-  
აქვს. მესხიერი სწორედ ზედ გამოჭრილია იმ რო-  
ლებისათვის, რომლებსაც ივი თამაშობს.

ამ როლებს ეწოდების „საშიუო როლები“; ეს  
ამჟღა მეტად ძნელია მისთვას ვისაც ბუნებრივი-  
გარეგნობა ხელს არუწყობს და მეტად ადვილია იმა-  
თვის ვისაც, როგორც მესხიერებს, ყველაფერი უხვად-  
მოვპოვება ამ როლებისათვის. მესხიერებს ნიჭი უხვად  
აქვს, მაგრამ საუბედუროდ ის თვისება აკლია,  
ურომლისოთ არც ერთს ძეირფას საგანს ფასი არა-  
აქვს ხოლმე. ეს არის შრომა. ვ. მესხიერებს შრომა  
სრულებით არ ეხერხება. შვიდის წლის განმავლო-  
ბაში მეს ხიერებს სამოცდა-ათამდე როლი. შეუსრულე-  
ბია, მაგრამ არც ერთში არ დაუნახებია. მაყურებ-  
ლისათვის, რომ მას შრომა გაუწევია როლის შეს-  
წავლისათვის. ვერ ვინ იტყვის რომ მესხიერებს ჭკუა და  
გონება აკლდეს, პირ იქით ეს არტისტი კარგად  
განვითარებულია. მაგრამ, როგორც ზემოდ ვსოდებით,  
მის თამაშობას ვერ შეატყობით ჭკუას და შრომას.  
ჩვენის აზრით, მესხიერი სრულებით არ ემზადება  
ხოლმე როლებისათვის, იგი მხოლოდ როლსა სწა-  
ლობს, იზეპირებს და სხვა არაფერს. რაც შეეხება  
როლის შევნებას, დაკვირვებას, შესწავლას და შე-  
მუშავებას, მოფიქრებას და შრომის დადებას, მაგას  
ნუ მოსთხოვთ მესხიერებს. ხოლო თუ მესხიერი ამის  
მიუხედავათ, მაინც კარგად თამაშობს, ეს მხო-

ლოდ მისი ნიჭის სიუხვეს და სიმდიდრეს ამტკი-  
 ცებს. სადაც პიესაში რომელიმე როლი აქტორი-  
 საგან ითხოვს დაზღართულ წასიათის ახსნას,  
 მართებულ სურათს, უტყუარს სულის და გულის  
 ტკივილთა გამოსახვას, იქ მესხიერი სულ უღონოა;  
 სამაგალითოდ აიღეთ მესხიერის ჰამლეტი. ჩვენ ბევ-  
 რი უხეირო ჰამლეტი გვინახავს, მაგრამ ისეთი მო-  
 უშმშადებელი და უჭყუო ჰამლეტი. არ შეგვხედრია,  
 როგორც მესხიერისა. არც ერთს მის სიტყვა-პასუხს,  
 ქცევას და მოძრაუბას აზრი და მნიშვნელობა არ ჰქონ-  
 და. ეს ისეთი ნაკლია მესხიერისა, რომ მისი დიდი  
 ნიჭი ფუჭად ჩადის, რისგამო დღემდე არც ერთი  
 სახასიათო სურათი არ წარმოუდგენია და ტიპი არ  
 შეუქმნია ქართულ სცენაზე. სამაგიეროდ მესხიერის  
 იმდენი სულიერი ძალა და გრძნობიერებით აღსავ-  
 სე ბუნება აქვს, რომ ყოვლად შეუძლებელია მის  
 თამაშობის დროს ზოგიერთს როლებში მაყურებე-  
 ლი უგრძნობლად დარჩეს და ცრემლები არ აფრ-  
 ქვიოს. მესხიერის ქრიელ უადვილდება მწვავი მწუ-  
 ხარების, ზარდის, უბედურების გრიგალით დამწვარ  
 დადაგულის, მოშლილის და მოღლილ-მოქანცუ-  
 ლის პდამიანის წარმოდგენა. განსაკუთრებით ქარ-  
 გია მკრძნობიარე, ჩეილს ადგილებში. მესხიერის ისე  
 გაიტაცებდა როლი, რომ სულყველა ავიწყდე  
 ბოდა ხოლმე. ის თითქოს ის პირი იყო, რომელ-  
 არდგენდა, ამ გვარი „შესვლა როლში“ დიდი ლირსე-  
 ბა დრამატიულ არტისტისათვის, თუ კი, რა თქმა უნ-  
 და, არ გადაჭარბებს ჯეროვანს წრეს, ხოლო მესხი-

ევმა ხშირად გადაჭარბება იცოდა, რის გამო არა ერთ-  
ხელ უსიამოვნო შთაბეჭდილება მოუხდენია. მესხიევს  
რომ შრომის სიყვარული, მეცადინეობა, დაკვირვება  
საგნისა, გამორკვევის და გამოქნის უნარი ჰქონდეს,  
მაშინ მისი თამაშობა სწორედ სამაგალითო იქნებოდა  
და ბევრს მოთამაშეს ჭარბად გაასწრებდა წინ. იმედია,  
მესხიევმა არა ჩვენზე ნაკლებ იცის, თუ რა ძალაა  
მუშაობა და თავის დაღუპვეს არ მოინდომებს,  
მით უფრო რომ მას არც იმდენი შრომა და ჯაფა-  
დასჭირდება როლებისათვის, როგორც სხვებს, იმაზე  
უფრო ნიჭით და ბუნებით ლარიბებს. ამ ფამად მე-  
სხიევი ქართულ სცენაზე არ თამაშობს და, რო-  
გორც გავიგეო, რუსულ სცენაზეა თურმე. ეს ორ-  
ნაირად სამწოხაროა: ერთი ისა, რომ ჩვენს ლარიბს სცე-  
ნას ნიჭიერი აქტორი აკლდება და მეორე ისა რომ მე-  
სხიევში ჯერ იმდენად არ არის აღზრდილი თავი-  
სიანების გრძნობა, რომ შინაურ საერო საქმეს ექ-  
ცევა და ღმერჩმა იცის ვისთვის იმტვრევა და იკ-  
რიხება. აქ უნებლივიდ გვაგონდება პოეტის სიტ-  
ყვები: „ვსთქვი თუ: ვისთვის შენ კისკასობ, ვის-  
თვის იჩენ სიმარდესა? შენი რა, რომ ამშვენებ  
შენ დამღუპვევლს ოსმალეთსა.

ნოდარ ჯორჯაძე. ჩვენს სცენას რომ  
შესძლებოდა ყველა იმ ნიჭიერ მოთამაშეთა საშუ-  
დამოდ დაჭრა, რომელნიც როდისმე გამოსულან  
სცენაზე, მაშინ ჩვენი ქართული დასი ბევრს რუ-  
სეთის თუ უცხოეთის დასებს. არ ჩამორჩებოდა, მა-  
გრამ ვერ იქმნა, კველა ვერ დაიმოყვრა ჩვენმა სცე-

ნამ. ამის მიზეზები ბევრია და ერთი უმთავრესი ის არის, რომ ჯეროვანი სარჩოს მიცემა არ შეუძლიან მოთამა-შესათვის. ნოდარ ჯორჯაძე ჩვენს სცენას დიდ ხანს არ ემსახურებოდა, მაგრამ ის ხანიც-კი, რაც მას სცენაზე გაუტარებია, ისე სასურველია, რომ დღეს ყოველი ქართველი კაცი ინატრებდა მას. ნოდარ ჯორჯაძეს ნათლად ეტყობოდა დიდი კომიკური ნიჭი. მისი საარტისტო განსაკუთრებული გარეგნობა ერთი-ორად ხელს უწყობდა ამ ნიჭს. იშვია-თად შეხვდება კაცი იმისთანა მხიარულს და სასია-მოვნო თამაშობას, როგორც ნ. ჯორჯაძისას. ყო-ველი მისი სიტყვა და მიხერა-მოხერა უტყუარს და შეუპოვარ სიცილს იწვევდა თეატრში. ნ. ჯორ-ჯაძის ღირსება ის არის, რომ ეს მოთამაშე თავის დღეში „არ აკეთებს“ სიცილს და სიმხიარულეს, არამედ ყოველივე თავის თავად, ბუნებრივად მოს-დის ხოლმე. ერთს უმთავრეს ნაკლს ნ. ჯორჯაძის თამაშობისას ის შეადგენს, რომ სერიოზულ და მაღალ კომედიებში ვერ თამაშობდა. შესაფერის სიდინჯით და თავის დაჭერით. ერთის მხრით ეს აინ-სნება. ზემო თქმულის ჯორჯაძის გარეგნობით, რო-მელიც მას ნებას არ აძლევს თავის თავი სერიო-ზული პირ-ბადის ქსელში გახვიოს. ჯორჯაძე ისრე უბრალოდ და უსიტყოდ რომ გამოსულიყო სცე-ნაზე, მაინც სასაცილო იყო, ისეთი კომიკური გა-რეგნობა, ცხოველი თვალები და მოძრავი პირსახე ჰქონდა. რაც უნდა იყოს ნ. ჯორჯაძე ერთი ნი-ჭიერი და საყვარელი არტისტთაგანი. შეიქმნებოდა

ჩეენის სცენისათვის, რომ დღემდე დაში ყოფილიყო. იმედია, დრო თავისას მოიტანს და ნ. ჯორჯაძეს ნიჭი უნაყოფოდ არ დაიკარგება ქართულის სცენისათვის და თუ დღეს არა, ხვალ მაინც გამეორება ხელს შეუწყობს ან ჩეენ თეატრს ან თეატრ, ჯორჯაძეს და ეს ნიჭიერი არტისტი ისევ სცენას დაუბრუნდება თავის სასახელოდ და ქართული თეატრის სასარგებლოდ.

ნიკოლოზ თომაშვილი (შიშნიაზვილი). დიდი ხანი გაიელის კიდევ და ქართულ სამუდამო სცენას, არა ვეგონია, გაუჩნდეს ისეთი განსაკუთრებული ბუნების არტისტი, როგორც აწ განსვენებული ნიკოლოზ შიშნიაშვილი იყო (სცენაზე თომაშვილი). ამ ნეტარ ხსენებულ არტისტს კარგი შრომა და ლფაწლი მიუძღვის ქართულ სცენისათვის. პირველ წარმოდგენის გამართვიდამ ნ. შიშნიაშვილი დაუდალავად შრომობდა და პატიონალ ემსახურებოდა ქართულ თეატრს, სანამ შეუბრა-ელბელი სიკედილი არ შოაცლიდა მას ამ წუთს. სოფელს. ნ. შიშნიაშვილი ჯერ კიდევ სრულებით ახალგაზდა მოთამაშე იყო და მერმისისათვის ბევრს იმედს იძლეოდა. ჯერ 30 წლის არც-კი იყო, როცა 1885 წ. 29 იენისკ გარდაიცვალა. ნ. შიშნია-შვილი ქართულ წარმოდგენებში მონაწილეობას დებულობდა 1872 წლიდამ და როცა სამუდამო დასი გაიმართა 1879 წელს განსვენებული დაში ჩაირიცხა და ერთი საუკეთესო მშრომელი და პატიონანი არტისტთაგანი იყო. ნ. შიშნიაშვილის ნიჭი

არ იყო ისე ძლიერი, როგორც სხვა ჩვენი არტის-  
 ტებისა და არც დიდი რეპერტუარი ჰქონდა, მაგრამ  
 უკელაფერს, რასაც-კი თამაშობდა, ისე კარგი და ხე-  
 ლოვნური იყო, რომ არავის უკან არ ჩამორჩებო-  
 და. 6. შიშნიაშვილის ნიჭი უფრო ეწყობოდა ჩუკ-  
 ნებურის გლეხების და თავად-აზნაურობის როლებს.  
 კარგი იყო აგრეთვე ზოგიერთი უცხო პიესებში,  
 ეგრედ წოდებულ „მდაბიო ხასიათების“ როლებში..  
 შიშნიაშვილი როლებს ყოველთვის სეინიდისიერად  
 ამზადებდა და თავის ძალ-ღონის დაგეარად ყოველ-  
 თვის ხელოვნურად თაშაშობდა. შიშნიაშვილის ნიჭ-  
 მა და ხელოვნებამ არა ერთი და ათი სახასიათო  
 ტიპები შექმნა ქართულს სცენაზე და ამ მხრივ  
 იმისი ნიჭი ღირსია ყურადღებისა. ნამდვილი არ-  
 ტისტის ღირსება მდგომარეობს ტიპების და ხასია-  
 თების შექმნაში. უმთავრეს ნაკლს შიშნიაშვილი-  
 სას შეადგენდა ერთგვარობა ყველა როლებში, რის  
 გამო არ შეეძლო დაემსახურებინა პირეელი ხა-  
 რისხის არტისტობის სახელი. შიშნიაშვილის კო-  
 მიზმო არ იყო გამოქნილი და მხიბლავი, მაგრამ  
 ყოველ მის სიტყვა-პასუხსა და ქცევაში აშკარად  
 სჩანდა ნამდვილი ბუნებრივი სისალე და სიმხიარუ-  
 ლე. ამის გარდა ერთი უმთავრესი მისი ღირსებად  
 ის უნდა ჩაითვალოს, რომ შიშნიაშვილი ერთნაირის  
 სისწორით და საქმის სიყვარულით ასრულებდა ყვე-  
 ლა როლებს — უმთავრეს და უკანასკნელსაც. ეს დი-  
 დი ღირსებაა. კარგი და სერიოზი არტისტი ყვე-  
 ლა როლებში კარგი უნდა იყვენ, ხოლო ჩვენი

პირველი არტისტები ხშირად მეორე და მესამე ხა-  
რისხის როლებს როგორლაც ვერ ეწყობიან და  
ხშირად სულ უყურადღებოდ სტოვებენ მაგ გვარ  
როლებს, თი თქოს ამ როლებს თამაშობა და ნიჭი არ  
უნდოდეს. ჩვენის აზრით, უბრალო და მკრთალი  
როლების შესრულებას არა ნაკლები ნიჭი უნდა,  
ვიდრე უმთავრეს როლებს. უმთავრესი როლები  
ხშირად აქტორის ხელოვნების მიუხედველად მაინც  
კარგად გამოდის დრამატიული მწერალის წყალო-  
ბით, რადგან ამ გვარ როლებს მწერალი უფრო კარ-  
გად ხატავს. სულ სხვა არის მეორე და მესამე ხა-  
რისხის მკრთალი როლები. აქ მართლა ნიჭი და  
დიდი ხელოვნებაა საჭირო, რომ უმნიშვნელოს და  
უბრალოს შნიშვნელობა და ლირისება დაამჩნიოს არ-  
ტისტმა. ეს ჭრამარიტება მხოლოდ ნ. შიშნია-  
შვილს ესმოდა და ამ მხრით მარტო ის იყო ჩვენ  
არტისტებში იმისთანა, რომელიც ამ გვარ რო-  
ლებს არ თაკილობდა და პირიქთ სიამოვნებას  
ხედავდა ამ გვარ შრომაში. ნიკოლოზ შიშნიაშვი-  
ლის სახელი უეჭველად დარჩება ქართულის სცე-  
ნის ისტორიაში და შთამომავლობა დიდის სიყვა-  
რულით და პატივით მოიხსენიებს იმ კაცს, რო-  
მელმაც საუკეთესო დრო ახალგაზდობისა და ჯან-  
მრთელობისა სცენას მოახმისრა და თითქმის თავიც  
შესწირა ეროვნულ თეატრს. ცნობილია, რომ ნი-  
კოლოზ შიშნიაშვილი გაცივდა სცენაზე, რის შე-  
მდეგ ანთება გაუჩნდა, რომელსაც დიდის ტანჯ-  
ვა-წვალების შემდეგ გადაჰყეა კიდეც. საკუნოდ

იყოს შისი ხსენება ჩვენში და კურთოეულ იყოს  
მისი პატიოსანი სახელი.

დავით აწყურელი (გამყრელიძე) ახალ-  
გაზდა მოთამაშეებში რომელნიც სზენაზე გამოვი-  
დნენ, მას შემდეგ რაც სამუდამო დასმა ცოტად  
ფეხი მოიკიდა, ჩვენში პრეველი ადგილი უჭირავს  
დავით აწყურელს. ამ ახალგაზდა მოთამაშეს სა-  
სცენო ნიჭი ეტყობა და კარგს იმედსაც იძლევა სა-  
მერმისოდ. აწყურელმა თავისი პირეელი ნაბიჯები  
ქრისტულ სცენაზე მიბაძეთ დაიწყო. ეს ყველგან  
ასეა. ყოველი ახალგაზდა მოთამაშე მიბაძეიდამ იწ-  
ყობს ხოლმე. მეტადრე როდესაც თვალ წინ უდ-  
გას დიდად ჭიჭირი და დახელოვნებული არტისტი,  
მაგრამ რაც უნდა იყოს, მაინც მიბაძეა სისუსტის  
მომასწავებელია, თუმცა ისიც უნდა ვსოდეთ  
რომ მიბაძეაც არის და მიბაძეაც. ზოგი მიბა-  
ძეა მიბაძეას ვერ გადასცილდება და ზოგი-კი გზას  
იკვლევს და წარმატებისაკენ მიღის და ბოლოს თვი-  
თონაც იქამდინ გაიშლება და განვითარდება, თა-  
ვისებურს ფერს და ხორცს ლებულობს, რომ მას მა-  
ლე სხვებიც გამოუჩნდებიან მიმბაძველად. ხო-  
ლო დ. აწყურელი დღემდე არ გასცილებულა ამ  
მიმბაძველობას, თუმცა დრო კია რომ თავითამ მო-  
ეშორებინა ეს სენი. ზოგიერთ როლებში დაუჩვე-  
ველი მაყურებელი ვერც-კი გამოიცნობს აწყუ-  
რელს აბაშიძესაგან, ისე წაჭვავს ხოლმე აწყურელი  
თავის მასწავლებელს! რა თქმა უნდა, ისიც კარგი  
ლირსებაა რომ ახალგაზდა მოთმმაშე აბაშიძესთანა  
არტისტს დაემსგავსოს, მაგრამ, ვიმეორებთ, ყოვე-

ლისფერს ზომა და ბოლო უნდა ქონდეს. აწყუ-  
რელი დღემდე აბაშიძის მეორე პირია და ისიც არა  
უოველ დროს სწორი და უტყუარი, ამით დ. აწ-  
ყურელი რაოდენად თავის თავს აკლებს იმოდენად  
ხალხსაც აკლებს. ისოე ძრიელ ჭბაძაეს და კვალდა-  
კვალ მიჰყება აბაშიძეს რომ ასე წარმოიდგენდეთ,  
აწყურელს თავისებური, უოველ აქტორისათვის  
აუცილებელი, სახასიათო თვისებაც კი არ მოეპო-  
ვება. ხმა, ლაპარაკის კილო, მიხერა-მოხერა და სხვა  
წვრილმანები სულ აბაშიძისა და თავისი კი არაფერი.  
ეს ფრიად სამწუხაროა მით უფრო რომ აწყურელს  
ჯშვარად ემცნევა სასცენო ნიჭი და გარეთან შეხედუ-  
ლებაც ხელს უწყობს. თუ აწყურელი შრომას არ  
დაიზარებს და თავის ნიჭის ვანვითირებას უფრო  
გულიანად შეუდგება, იშედია, რომ ეს აქტორი ერთი  
საუკეთესოთაგანი შეიქმნება მერმისისათვის და აბა-  
შიძის მაგიერობას გასწევს.

კონსტანტინე მაქსიმიძე (მძინაროვი) ადამია-  
ნის ხელის თუ ფეხის თითები ჩამით ხომ ერთმანერთს  
არა გვანან. ერთი გრძელია, მეორე მოკლე, მესამე  
უფრო მსხვილი და სხვა. მაგრამ უველანი ერთად  
ძრიელ საჭირონი არიან. უოველ საზოგადოებრივ  
საქმეშიაც და თეატრისას განსაკუთრებით ასეა.  
მოთამაშენი თავის ნიჭით და ხელოვნებით, ჭკუით  
და გორებით ერთმანერთს არა გვანან, ზოგი ნაკ-  
ლების, ზოგი მეტის ღირსებისაა. მაგრამ უველანი  
კი საერთოდ საჭირო არიან და ერთი უმეორეოდ  
არ გამოდგება. კ. მაქსიმიძეს არც ნიჭი აქვს. არც

იმდენი ხელოვნება, მაგრამ ეს აქტორი ქართულ  
სცენისათვის მაინც ძრიელ საჭიროა და, რაც უნდა  
სთქვან, ასე თუ ისე ცოტაოდენი შრომა და სამსახური  
შასაც მიუძლვის ქართულ სცენის მიმართ. ამიტომაც  
ჩვენ მოვალენ ვიყავით ჭ. მაქსიმიძეც მოგვეხნებია  
ჩვენს წიგნაკში. მაქსიმიძეს ჯერ არც ერთი როლი  
არ შეუქმნია ხელოვნურად და საეჭვოც არის რომ  
როდესმე შეჰქნას რამე, — რაღან როლის შექმნისა-  
თვის საჭიროა ნიჭი, ან უნარი მაინც რომელიც  
სულ არ მოეპავება მაქსიმიძეს, მაგრამ მაქსიმიძეს ყო-  
ფნას ქართულ სცენაზე ბევრჯელ სარგებლობა მო-  
უტანია და მოიტანს კიდეც. ამ მოთამაშეს არ აქვს  
არც თავისი როლები, არც თავის შეძლების სარა-  
ბიექტო და სახასიათო თვისება, მაგრამ საზაც გინ-  
და ჩახხირო ყველგან საჭიროა და გამოსადექიც. ეს  
ისეთი მოთამაშეა, ურომლისოთ არც ერთი პე-  
სის მორთებულიად დადგმა არ მოხერხდება ხოლმე.  
ჩვენ ზემოდ გვქონ და მოხსენებული რომ მეორე  
და მესამე ხარისხის მოთამაშეთა უქონლობა ჩვენის  
სცენის ნაკლს ზა საჭიროებას შეადგენს. მაქსიმიძე  
სწორედ ამ ნაკლის მალამოა და გასაჭირის ტალ-  
კვესი. ზოგს როლებში მაქსიმიძესაც მოუხდენია  
შთაბეჭდილება მაყურებელზე და პიესის რიგიანი  
წარმოდგენისათვის კარგი შემწეობა და სამსახური  
გაუწევია ხოლმე.

დანარჩენ მოთამაშეებზე ვაჟ-არტისტებზე ძვე-  
ლებზე თუ იხლებზე ვერა ითქმის. თითო თაროლა  
როლები ცოტად თუ ბევრად ყოველს მათგანს კარ-

გად შეუსრულებისა, მაგრამ ჯერ იმდენად სასცენო  
ნიჭი და ხელოვნება არ გამოუჩენიათ, რომ მარ-  
თლა ნამდვილ აქტორებად ჩაირიცხონ. იმედია, თუ  
ქართულს ცენა ამ გასაჭირ დროს წელში არ მოხ-  
რება, ნიჭიერი მოთამაშენი თავს მალე გამოიჩენენ,  
ეხლა ვნახოთ ქალი არტისტები.

მარიამ საფაროვაბაშიძისა. ნიჭი და  
ხელოვნება, შრომა და მეცადინება ისე არაეს-  
აქვს ერთად შეერთებული და ერთმანერთან მე-  
გობრულად შეწყობილი ჩეენს სცენის მოთამაშეთ-  
შორის, როგორც მ. საფაროვაბაშიძისას. ამ პა-  
რივცემულ ქალ-არტისტისათვის განგებას არაუერი  
არ დაუკლებია სცენისათვის. იშვიათად შეხვდება  
კაცი ისეთს სრულს თანხმობას შინაგან ნიჭის და  
გარეკან აგებულობის შორს, როგორც ეს აშკარად  
სჩანს ამ ქალ-არტისტში. დიდი ნიჭის და მალე მიმ-  
ხვედრი ჭკუა გონებასთან მ. საფაროვაბაშიძისას  
საოცარის თანხმობით ხელს უწყობს ყოველისფერში  
გარეგნობაც. მშვენიერი ხმა, ცხოველი, ლამაზი და  
მოძრავი პირის სახე, ტანთ აგებულება, სიარული,  
მიხერა-მოხერა, თავის დაჭერა, ლაპარაკის კილო  
სიცილი და ტირილი. ერთის სიტყვით ყველაფერი  
თითქოს განგებ სცენისთვის აქვს შექმნილიო. სა-  
ფაროვაბაშიძის სასცენო სარბიელო დიდი არ არის,  
პირ იქით ის ვიწროდ შემოფარგულია, იმისი ძლი-  
ერება მხოლოდ კომიკურს როლებშია და ისიც  
ახალგაზდა ქალების როლებში, მაგრამ რასაც-კი  
ასრულებს ის ყველისფრით ხელოვნური, სრული

და მართალია, რომ უკეთესის წარმოდგენა თითქმის შეუძლებელია. საფაროვი-აბაშიძისას უპირატესობა სხვა ვაჟ-არტლტებთან თუ ქალ-არტისტებთან იმაში მდგომარეობს, რომ ისეთი როლის ბეჯითად ცოდნა, მომზადება და შემუშავება მომქმედი პირისა, ხასიათის შეგნება და ყოველი წერილმანების ერთად ანუსხვა არავის არ შეუძლიან ქართულს დასჭი. საფ.-აბაშიძისაგან ყოველს წარმოდგენილს როლს, დიდი ნიჭის დახელოვნების გარდა, საოცარი ჭყვა და გონებრივი შემუშავება და წერილმანების დაკვირვება ეტუობა. იმისი ქომიზმო ნაჭირვევი და ნაძალადევი ჩოდია, ის სანამ გაგაცინებდებს, ჯერ გაფაგებინებს სიცილის მიზეზს, დაგაფიქრებს, მოგამზადებს სასაცილოდ და ბოლოს გაცინებს და როგორ გაცინებს? შეუპოვრად და თავ-შეუკავებლიად! მახვილი გონება და ნიჭის ძლიერება გამოკრთიან მის ცხოველ თვალთაგან და სეტყვასავით ისწრაფიან მისი პირიდამ. ვისაც უნახავს მ. საფაროვი-აბაშიძისა „ბაიუზში“ თალიკოს როლში, ის სრულს დაფასებას შეიძლებს ამ ქალ-არტისტისას. განა შესაძლებელია კაცმა დაივიწყოს იმისი ბავშური ცელქობა, უმანკო სიყვარულის ღელვა, წყენა, ცრემლები, სიხარული და სიცილ-კისკასი! ვოდევილებში და ცქრიალა როლებში მ. საფ.-აბაშიძისას ბატალი. ჩეენს სცენაზე არ ჰყოლია და, ცუჭეობო, რომ როდესმე ეყოლოს. ესეთი ქალ-არტისტი საუკეთესო ევროპიულ სცენასაც-კი სიმღირეს და სახელს შეუდგენდა. სამწუხაროა, რომ მ. საფ.-აბაშიძისას

კოდევილების და ზოგიერთი მსუბუქი კომედიების  
შეტანი ვერ შეუძლიან თავისებური ხელოვნური  
თამაშობა; რაღაც თვით ნიჭი და ბუნებრივი გა-  
რეგნობა ხელს უშლიან მას სხვა როლების შესა-  
სრულებლად; მაგრამ ჩაც უნდა იყოს, საფუძ  
ძისა ქართული სცენის ერთი უმთავრესი დედა-  
ბოძია. კოდევილების და მსუბუქი კომედიების რო-  
ლები იმ გვარ თვისებისანი არიან, რომ ბევრს დაკვირ-  
ვებას და შრომას არ ითხოვენ მოთამაშესაგან და  
არც შეიძლება კაცშა კოდევილის მასალისდამ რაიმე  
ხასიათი, პირი ან ტიპი შეჰქმნას, რაღაც შიგ მო-  
შეტებულად უცნაური მდგომარეობის, გადაჭირდე-  
ბულის და კარიკატურულის თვისებათა მეტი არა-  
ფერი მოიპოვება. მაგრამ მ. საფაროვი-აბაშიძისა  
შეუძლებელსაც შესაძლებელია ხდის; ყოველი მის-  
გან წარმოდგენილი კოდევილის პირი სრულს ხა-  
სიათს გვიხატავს ზნისა და ჩვეულებისას, ენებისას  
თუ გონებისას. ეს ისეთი საპატიო ღირსებაა, რომ  
ათასში ერთხელ შოხდება ხოლმე. მ. საფაროვი-  
აბაშიძისა ისეთი ქალ-არტისტია, რომ ეერც ერთი  
სასტიკი კრიტიკოსი ნაკლებ ვერ მოუნახავს მას,  
რა თქმა უნდა, რომ ასეთ მოთამაშეს ყოლია სცე-  
ნაზე დიდს ბეჭნიერებას შეაღვენს. მ. საფაროვი-  
აბაშიძისა ჯერ კიდევ ახალ-გაზდადა ჯან-მრთელია  
და კიდევ დიდხანს იქნება ჩვენი სცენის დამატევ-  
ნებელი. ჩვენის აზრით, ამ პატივცემულ ქალ-  
არტისტის ნაკლი ის არის, რომ იგი არ ცდილობს  
თავის მემკვიდრეობათვის სცენაზე. მ. საფუძ  
ძისა

თანა ნიჭიერ და მდიდარ ბუნებიან ადამიანს თავის  
 ხელოვნების გარდა, მოეთხოვება აგრეთვე საზოგა-  
 დოვბრივ საჭიროებაზე ფიქრი და მეცნიერება,  
 სამეჩრისოს ზრუნვა. ეს საზოგადოებრივი საქმობა  
 და მერმისის ზრუნვა უფრო საჭიროა იმისთვის ჟა-  
 ზოგადოებაში, როგორიც არის ჩვენი ქართველი  
 საზოგადოება. ყველა ჩვენ არტისტებს ვალად აძევთ  
 იფიქრონ და იზრუნონ მომავალზედაც, თავიანთ  
 მემკვიდრეებზედაც. უცხო ქვეყნის გამოჩენილი ვაჭ  
 და ქალ არტისტები ნიჭის და ხელოვნების გარდა  
 იმით არიან ქვეყნისა და ერისაგან პატივცემულნი და  
 სათაყვანონი, რომ ყოველი მათგანი ცდილობს და  
 ზრუნავს თავის მომღევარზე. ისენი ზრდიან და  
 ამზადებენ ახალს მოთამაშეთ, ეძებენ და ხელს  
 უწყობენ ყოველს ნიჭის პატრონს, რათა მათ მიერ  
 გაკაფილი გზა და კვალი მათ შემდეგ ლვარძლით  
 ან აივსოს და თავიანთ მომღევართ გზა გაუადვი-  
 ლონ წარმატებისაკენ საერო სამსახურისათვის. ესკ-  
 თი ნამდვილ კაცებური თვისება ჩვენს არტისტებში,  
 ვასილ აბაშიძეს მეტს, არაეს ეტყობა. პირ-იქით ზო-  
 გნი ვარამს იხელქენ და ჯავრით თავს იმტვრევენ  
 და სხვებსაც თავს აბეზრებენ, თუ ვინმე ახალი და  
 ნიჭისცენის ასპ.ჩეზზე გამოვიდა, თითქოს იმათ  
 ვინმე ეცილებოდეს, ან ლუკმას პირიდამ გამოტა-  
 ცვას უპირებდეს! ეს სულელობას, ჭკუის სიმტკნა-  
 რეს, თავ-მოყვარების სილაჩრის და გულ-ხინჯობის  
 მეტს არაფერს ნიშნავს. ეს ჩვენი სიტყვები მარტო  
 არტისტებს არ შეეხება. ყველგან ეხედავთ ამის მა-

გალითებს მეტად რე მწერლობაში. ეს საყოველთაოდ  
ითქმის ჩვენ ში. სამწუხიროა, როცა ამ გვარ მოკ-  
ლენის ვხედავთ, უფრო სამწუხაროა ამაზე ლაპარა-  
კი, მაგრამ რასა იქ, სანამდინ იყოს კაცი ჩუმად,  
სანამდის უნდა გუბდებოდეს ჩირჭი იარაში!

ნატალია გაბუნია-ცაგარლისა. ნიჭის  
ძლიერებით და ხელოვნების სიმაღლით ნ. გაბუნია-  
ცაგარლისა თუ არ სჯობნის საფ. აბაშაძისას არც  
უკან ჩამორჩება მას. გამ.-ცაგარლისას განსაკუთრე-  
ბული როლები აქვს, ეგრედ წოდებული „კომიკური  
ბებერ ქალების როლები“. ამ როლებში გაბუნია-  
ცაგარლისა შეუდრებელია. ვის არ ახსოვს გაბუნია-  
ცაგარლისაგან სრულად დახატული ხასიათები და  
ტიპები. ხანფერასი, ხანუმასი, ფროშარისა, კუკუ-  
შკინასი, გოროდნიჩიხასი, სანდიროვისა და სხვ.  
იშეიათად შეხვდება კაცი ისრე დახატულ ცხოველ  
სურათებს, სადაც ნაჩეენ ების ყოველ გვარი წვრილ-  
მანი და ხშირად მეტადაც გამრავლებულია. საოცა-  
რის სინამდვილით ჰხატავს გაბუნია-ცაგარლისა კა-  
პასობას, სიანჩხლეს, ენა წაგდებულ ყბედს და მრა-  
ლაპლაპე დედა-კაცს. საუცხოვოდ მოსდის აგრეოვე  
ვისმე დაცინვა, მასხარად და აბუჩად. ავდება.  
მისი კომიზმო ყოველთვის გულ-წრთველი და შსუ-  
ბუქია. ყველა ამაების გარდა ამ ქალ-არტისტს  
საოცრად შესწევს და ხელს უწყობს თავის როლებისა-  
თვის ხმა, სახე, გარეგნობა, სიმაღლე და სისეკ მისი  
ტანისა, სიარული და მიხერა-მოხერა. ხშირად, სრუ-  
ლებით უბრალო როლს გაბუნია ცაგარლისა. ისეთს

ნიჭის დალს აჭდევს, რომ ორ სამ სიტყვაში მთელს  
ხასიათს სახავს. საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ  
გაბუნია-ცაგარლის ნიჭის ქხერხება დანაკლისების  
შეესება, ხასიათის და ტიპების განმარტება, სურა-  
თის გადიდება, რაიც ხშირად თავის და უჩემურად  
ზომას გადადის ჭიდეც.

ჩვენის აზრით, ნიჭის ძლიერებით, სიგრძე-  
სიღრმით და სხვოსნო ბით ნ. გაბუნია-ცაგარლისა  
ყველა ჩვენს მოთამაშეებზე მაღლა სდგას, თუმცა  
მისი ნიჭის სარბიელი მეტად ვიწროა და განსაკუ-  
რიბული. ამ ფრიად ნიჭიურ ქალ-არტისტის უმთავ-  
რესს ღირსებას, შედარებით სხვა მოთამაშესთან, შეა-  
დგენს ის თვისება, რომელსაც უწოდებენ ღვიძლს,  
ბუნებრივს თამაშობას. გაბუნია-ცაგარლისა ყო-  
ველს თავის ნიჭის შესაფერ როლის ტყავსა  
და სულში ძვრება და ისრე სრულად ახორ-  
ცილებს როლს თავის არტისტულ ბუნებაში, რომ  
ხშირად თავდავიწყებამდე შედის. გაბუნია-ცაგარლი-  
სას სრულებით ავიწყდება სცენაზე თავის თავი ის  
პირადად თითქოს არც კი სცენაზე, ის მხოლოდ  
როლით სცხერობს და სულს იმრთ იბრუნებს, იგი სჯავ-  
რობს და მხიარულობს, სწუხს და იცინის, ტირის  
და ლხინობს მარტო იმ როლით, რომელსაც არ-  
დგენს სცენაზე. ასე ით ღვიძლი და თავის სისხლ-ნა-  
ღველში შეღულებული თამაშობა იშვიათი ღირსე-  
ბაა ყოველის ნიჭიერის, არტისტისათვის, მაგრამ ყა-  
უბედუროდ ამ დიდს ღირსებას თან დიდი ნაკლიც  
მოსდევს ხოლმე. ცნობალი, რომ საზოგადოთ ყო-

ველმა თავდავიწყებამ, განსაკუთრებით სცენაზე, უეჭველად ზომიერებას დავიწყება, ჯეროვან წრის გადაცილება და გადაჭარბება იცის ხოლმე. დიდად დახელოებული და გონება ძლიერი უნდა იყვეს არტისტი, რომ თავდავიწყებულ თამაშობის დროს, გადამლაშებას და ჭარბობას აცილდეს. ნ. გამუნია- ცაგარლისას ხშირად ემართება ეს უბედურება, რა- იც მისი მაღალ ნიჭიერს და ლეიძლ თამაშობას ასუსტებს და ხშირად აფუჭებს კიდევ. ზემოდ ხსე- ნებული ჭარბობა, ასე არსად შეეტყობა საგანს და მოქმედებასროგორც სცენაზე. ამ შემთხვევაში სცენა მეტად სასტიკია და მართებულიც. მოთამა- შის როგორც ლირსებას აგრეთვე ნაკლულევანებას შაშინათვე გაუმჯდავნებს მაყურებელს. ნ. გამუნია- ცაგარლისა, იმედია, უყურადღებოდ არ დასტოვებს თავის ლირსების ძლიერ შემასუსტებელ ნაკლს და მისი გაჭარწყლებას ეცდება.... სხვა ფრივ სა- სურველია, რომ ეს ნიჭიერი და პატივცემული ქალ- არტისტი იმდენად არ ენდობოდეს თავის მართლა შაღალს ბუნებრივ ქალ-ლონეს და როლებს უფრო მეტის რკვევით, მოფიქრებით და გონებით ამზა- დებდეს. როცა როლი ჯეროვანად მომზადებულია და გონებით შემუშავებულია, მხოლოდ მაშინ შე- იძლება არტისტმა თავისუფლად მიენდოს თავშს შინაგან გულის თქმას, წინააღმდეგ შემთხვევაში ნიჭიერი თამაშობაც-კი სწორ ხელოვნური და ეს- ტეტიური არ იქნება.

ბარბარე ავალოვისა. (ხერხეულიძისა) ჯერ სანამ სამუდამო დასი არ იყო დაარსება-ლი, ბარბარე ავალოვისა თამაშობდა ერთად ჭ. ყიფიან-თან კლუბების სცენაზე და მაშინ აჩალგაზდა ქა-ლისათვის სცენაზე გამოსელა დიდი გამედულება და საძნელო საქმე იყო. ამ მხრივ ბარბარე ავალო-ვისას კარგი ლვაწლი მიუძღვის ქართულ თეატრი-სათვის. 1880 წლიდამ ბარბარე ავალოვისა დრო გამოშეებით დღევანდლამდე მონაწილეობას დებუ-ლობს ქართულ წარმოდგენებში. ამ ქალ-არტისტის როლები დრამატიკულებია, რომლებსაც შედარებით გვარიანად თამაშობს. ქართულ სცენას დრამატიულ როლების ამსრულებელი ქალ-არტისტები სულ არ ყოლია, ჭ. ყიფიანის ქალის გარდა, რომელმაც სამწუხაროდ სცენას დიდიხანია რაც თავი დაანება. ბ. ავალოვის წყალობით ქართულ სცენაზე დადგმული იყო რამდენიმე კლასიკური პიესა და ეხლაც იმის მონაწილეობით თუ დაიდგმის, თორებ სხვა მო-თამაშე არავინ არის. ამ მხრითაც კარგი ლვაწლი მიუძღვის ამ პატივცემულ ქალ-არტისტს.

ბ: ავალოვის სასცენო ნიჭი მეტედ უერ-შეკრთალი და ულონოა. მას ეხერხება მხოლოდ ზოგიართი მტირალი და წუწუნა ქალების როლი; — სადაც საჭიროა დიდი გრძნობიერება, ვნება და სუ-ლიერი მოძრაობა იქ. ავალოვისა ძრიელ სუსტია. სახე და გარევნობა თუმცა ხელს უწყობენ ავალო-ვისა, მაგრამ ხმა არ უვარეს, მეტადრუ ერთგვარი და უოველოვის უცვლელი და ერთ ზომიერი ლა-

პარაკის კოლო. რაც უნდა იყვეს, ბარბარე ავალო-  
სისას კარგი სამსახური გაუწევია ქართულ თეატრი-  
სათვის და დიდი მაღლობის ღირსია.

ქეთევან ან დრონიკოვისა (კახიძისა) ზემოდ გვქონდა ნათქვამი, რომ თეატრის ქეთილ-  
დღეობისათვის როდი კმარან მარტო პირველ ხა-  
რისხის არტისტები, საჭიროა და აუცილებელი სა-  
ჭიროებაც, რომ სცენას ჰყავდეს მეორე და მესამე  
ხარისხის მოთამაშენიც, რაღვან უიმათოდ ერთი  
ნაბიჯიც ვერ გაიღმის კარგათ. ამ გვარ მეორე ხა-  
რისხის მოთამაშეს ეკუთხნის ქეთევან ან დრონი-  
კოვისა. ამ ქალ-არტისტს ის ღირსება აქვს, რომ  
როგორც კომიკურს, აგრეთვე ღრამატიულ თითო  
ოროლაროლებიც კარგად თამაშობს განსაკუთრებით  
გია ზოგიერთს ორგინალურს პიესებში. ქ. ანდრო-  
ნიკოვისას სასცენო ნიჭი ცოტა აქვს, მაგრამ ბევრს  
როლებს მეტად ხელოვნურად თამაშობს.

ბარბარე კორინთელი (ყიფშიძისა) ამ  
გვარივე მეორე ხარისხის მოთამაშეთ, რომელიც  
პირველ სამუდამო დასის დაწყებიდამვე გამოვიდა  
სცენაზე, უნდა ჩაითვალოს ბარბარე კორინთელი-  
ყიფშიძისა. ამ ქალ-არტისტს სასცენო ნიჭი აშკარად  
ეტყობოდა და თვეის ხუთის თუ ექვესის წლის სამ-  
სახურის დროს არა ერთხელ უსიამოვნებია შაყურებ-  
ლები. ბარბარე კორინთელი-ყიფშიძისა მარიამ  
საფაროვი-აბაშიძისას მიმდევარი იყო და დღემდე რომ  
დარჩენილიყო სცენაზე ძრიგლ შესაძლებელია, რომ  
მისგან კარგი და დახელოვნებული ქალ - არტისტი  
გამოსულიყო.

ლიზა ჩერქეზი შვილისა. ახალგაზდა.  
მოთამაშეთა შორის, რომელნიც ამ ოთხის წლის  
წინად გამოვიდნენ, ჩვენის აზრით, უეჭველი  
ნიჭით თუ ხელოვნებით პირეელი ადგილი ეკუთვ-  
ნის ლ. ჩერქეზიშვილისას, რომელიც ამ ცოტი  
ხანში უკვე შემჩნეულ იქნა ქართულ სცენაზე. ლ.  
ჩერქეზიშვილისას სასცენო ნიჭი აშკარად ეტყობა,  
რომელსაც, რა თქმა უნდა, ბევრი შემუშავება და  
განვითარება ეჭირვება. მის საუკეთესო როლებად  
ჩაითვლებიან ბებერი ქალების როლები, რომელშიც  
ჯერჯერობით ნ. გაბუნია-ცაგარლისას ჰბაძავს. ქარ-  
გაზ თამაშობს აფრეთვე ახალგაზდა ცქრიალი მოსა  
შსახურე გოფოების როლებს. ჩერქეზიშვილისას კარ-  
გი მომავალი აქვს, თუ კი შრომას არ გაექცევა და  
ბეჭათად შეუღვება საქმეს. ეს ახალგაზდა ქალ-არ-  
ტისტი ნ. გაბუნია-ცაგარლის მიმდევარია და კარგი  
მიმდევარიც არის. დანარჩენ ქალ-არტისტებზე ჯერ-  
ჯერობით ვერაფერი ითქმის, რადგან ჯერ ისეთი  
ვერაფერი შეგვიმჩნევა, ნიჭით თუ საქმით, რომ  
მათი არ მოხსენება დანაშაულად ჩაგვერიცხებოდეს.

### დრამატიული ხელოვნება

ისინი, რომელთაც ცხოვრება შეხედრიათ  
სრულს ჭვით-მოქმედობის გონიერება და ზნეობ-  
რივ მყუდროებაში, როდესაც ცხოვრების ტალღას.

არც ძალა და არც სიკეოგელე ეტყობა, მომეტე-  
 ბულ შემთხვევაში შეპყრობილნი არიან ჩალაც  
 უაზრო ყოფით, არარაობით და უნუკეშო რულით.  
 ესეთი სიცოცხლი თანაბარია თითქმის სიკედილისა,  
 მათ არ მოეპოვებათ არც ლონე და განზრახულება  
 კეოველის ადამიანისა, არც მომქმედი სურიელი და  
 იმედი და არც რწმენა მომაგლისა. თვით ბუნება იმათ-  
 თვის ჩალაც უაზრო უმნიშვნელო მოეგანია, ხალ-  
 ხი უფასური, უკეთური და სასაცილო სულოგულთა  
 ბრჩო. ის სასურველი და სანატრელი მოსწრავება-  
 ნიც, რომელთათვის ოდეს მე თავს სწირავდენ, ეჩვე-  
 ნებათ უნუგეშო და სულელურ საქციილად და თვით  
 ყოფა თავიანთის თავისაუსაგნო და მაბეზარ ლოლგად.  
 ამისთანა დროს მათთვის დრამატიული ხელოვნება  
 სწორედ დროზე მოსწრებული მკურნალია, გზის  
 და ცხოვრების საგნის მაჩვენებელია, იმედ-ნუგეშის  
 მაღვიძებილი და მაცისკროვნებელია. დრამატიული  
 ხელოვნება იხატება იდეალურ და მაღალსურათებს.  
 ეს სურათები ცვინს და გრძნობას ამუშავებენ, არა-  
 რაობას და ცხოვრების იცარიელეს ავსებენ, თვით-  
 მოქმედებას და გამრჯელობას ახალისებენ, აზრის და  
 ზნეობის სიო შეაქეთ უგემურს ცხოვრებაში. კარ-  
 გია თუ რომელიმე გარეშე შემთხვევა ან ჩაიმე  
 შინაგანი მოვლინება გამოაფხიზლებს და შესაფერს  
 ბიჭედს დააჭდეს დროვებას, მაგრამ ამის მოლოდინში  
 ხშირად ბევრი ხანი გაივლის და ვინ იცის, კიდევ იქნება  
 თუ არა ის სასურველი მოვლენა. ხოლო დრამატიული  
 ხელოვნება ცატად თუ ბევრაც მაინც მომქმედია

და შისი ზედ გაელენის ნაყოფი ხშირად ძეირუასი და ყოველის მხრით სასარგებლოა. ამიტომ ჩვენ ვვონებთ უადგილო არ იქნება ჩვენს წიგნაკში დრაჭა-მატიულ ხელოვნებაზედაც ჩამოვაგდოთ საუბარი. ეს საუბარი დროზედაც მოსწრებული იქნება, რადგან ამ ვამად, არ ვიცით რა მიზეზით-კია, ხალხს სრულებით დავიწყებული აქვს დრამატიულ ხელოვ-ნების კანონები.

ყოველისფერი ზნეობრივი და მშვენიერი მჭიდ-როდ არიან ერთმანერთან დაკავშირებულნი, ვი-თარცა პირი და სარჩული ერთისა და იმავე მართ-ლის და ჭრიარიტებისა. ზნეობრივი სიმართლე შე-დევია ადამიანის გონებრივის მოსაზრებისა, თეორე-ტიული მსჯელობისა. და შეხედულობათა ერთად დამწკრივებისა. ხოლო სურათად-მშვენიერება მომ-დინარეობს ადამიანის ოცნებიდამ, ფანტაზიდამ და მისვე შინაგან ესთეტიურ გემოვნებიდამ. ფან-ტაზია ჰბადებს სახეს, სურათს და საზოგადოდ სამ-ხატერო ფორმებს, მოსაზრება და მსჯელობა კი აპრის, შეხედულებას და საზოგადოდ ყოველს მიმარ-თულებას. ყოველს გვარ ხელოვნებაში უცილობლად უნდა მონაწილეობას ღებულობდეს ორივე ზემოდ-ხსენებულ შემოქმედების იარალი განსაკუთრებით აუ-ცილებელს საჭიროებას დრამატიულს ხეოვნებაში შეადგენს ხსენებული ზნეობრივ-მშვენიერი ან, უკეთ-რომ ესთქვათ, სურათად-ჭრიარიტება და სიმართლე. დრამატიულ ხელოვნება ჩვენდა უნებურად და ძალა დაუტანებლივ გვძლევს, გვიპყრობს, გვიბლავს თუ ერთბაშად არა, თან და თან, დღე დღეზე იმად გვხდის

რათაც თევითონ პრის, ე. ი. ზრდის ჩეენში კუთილ  
 ზნეობის და მშეენიერების გრძნობას. დრამატიული  
 ხელოვნება გვიხატავს მუდმივ ბრძოლას ზნეობ-  
 რივ კანონებს და ადამიანის შეუდრეველ ნება-  
 ყოფლობას შეა. ამ ბრძოლის დასასრული ყოველ-  
 თვის სიმართლის გამარჯვება, რაიცა ყველას ჩეერ-  
 თავანს აიმედოვნებს და ანუგეშებს სამერმისოდ.  
 ადამიანის ნება-ყოფლობა ის ძალაა, რომელიც ყო-  
 ველთვის წინა სწევს კაცობრიობის ყოფას და უმა-  
 ღლეს წერტილამდე აჲყავს მისი კეთილი სურვილი.  
 ადამიანის ნება-ყოფლობა გზას ჰყავავს. ამ ძნელს და  
 უკამურს ცხავრებაში, ებრძეის გრძნეულს ჯაჭვებს,  
 და ბორკილებს, რომლითაც ცხოვრება ჰბოჭავს.  
 დამიანის სიცოცხლეს და ამ გვარად თან-და-თან  
 ადამიანი, გამოჰყავს უბედურებიდამ ბედნიერებაში,  
 სიმშეცვლადაც და სიბნელედამ სინათლესა და  
 შუქში, ტანჯვერდამ—შეებაში, დრამატიულ ხელოვ-  
 ნების მაღალი დანაშნულება და ნაყოფიერი ღიოსება  
 იმაში მდგომრეობს, რომ აღვიძოს, ამოძრაოს,  
 აქხნეოს, და აღაფრთოვანოს ადამიანის ნება-ყოფ-  
 ლობა, რათა არ დააძინოს, ზნეობრივ არ მოაუძ-  
 ლოურდს და არ დავიწყოს, რომ ის არის ძალა და  
 უძლიერესი მომქმედი და შემგონებელი ცხოვრები-  
 სა. ად ეს არის დრამის უდიდესი დანიშნულება,  
 ეხლაგანვმარტოთ, თუ რა არის გრძნობა მშეენიე-  
 რებისა, სურათად სიმართლე, ესთეტიური გემოვნება.  
 ყოველ ხელოვნების ბუნება უცილობლად შეიცავს  
 სიმშეენერებას, მხატვრუბითს სიმართლეს და ერთ

ტიურ გემოვნებას. თუმც მშეენიერს ეძახიან ყველაფერს იმას; რაც-კი მოსწონს ადამიანის გულს შაგრამ ხელოვნებაში და განსაკუთრებით დრამატიულ ხელოვნებაში მშეენიერობითა და მხატვრობითს გრძნობას სულ სხვა მნიშვნელობა. და საწყის აქვთ დრამატიულ ხელოვნების მხატვრობითი მშეენიერება უსათუოდ შეიცავს სამს აუცილებელს. პირობას. პირველი — თვით სიმშეენიერებს საგნისას, ესე იგი თანასწორობას, თანხმობას, გარეჩობასა და შინაგნობასა, შორის სილაზათეს, საფუებას, ზომიერებას, თვალის და ყურის, გულის და გონების მოსაწონს; მეორე — სიკეთე ყოველისფერში და ყველას მიმართ და მესამე — სიმართლეს ყოველისფერში, მართებულებას, უტყუარობას, სწორობისაზრებას, ჭკუა-გონებას უმ ვვრ ერთობილ გრძნობას მშეენიერებისას ეწოდების ესთეტიური გემოვნება და თვითონ საგანს ესთეტიურის გრძნობისას ეძახიან ესთეტიკას.

ხოლო მხატვრობითი მშეენიერება ორ გვარია: ერთი ჭეშმარიტი მშეენიერება, ესე იგი ისეთი, რომელშიც ყოველისფერი იხატება თანხმად ზნეობისა და სიკეთისა, გონებისა და სილაზათისა. ერთის სიტყვით თანხმად მწერალის იდეალისა. მეორე — უარყოფითი მშეენიერება, ესე იგი, ისეთი, რომელის ხატვაში მწერალი მომქმედ პირებს სისწორეს და სიმართლეს, ზნეობას, მართლებერულებას, გონიერულ სჯას და აზრს აშორებს, ხოლო იმავე ღროს ამ სისწორეს მოშორებით და ადამიანურ ღირს.

სებ,თა უარყოფით მწერალი მაინც გვიჩვენებს და გვაგებინებს ნამდვილს სიმართლეს და ჭეშმარიტებითს მშვენიერებას.

ხოლო კერძოთ ჭეშმარიტებითი მშვენიერება ორგვარია: ერთი — თეითონ თავის-თავად მშვენიერი, ესე იგი ჩვეულებრივი, რომელიც ადამიანზე წყნარად და ტკბილად ზედ - მოქმედებს, აკმაყოფილებას მის ზნეობრივ და გონებრივ მოთხოვნილებას, უნერგავს სიყვარულს, შეწყნარებას და გონივრულ ცხოვრებას. ასეთი ზედ-გაელენა ადამიანზე მოქმედებს, როგორც ზემოთ ვსთქვით, წყნარად და უამა-მშვიდებლად, არ აღელვებს და არ აშფოთებს, არ არყევს და არ აოცებს, არამედ თანაგრძნობას და სიბრალულს იწვევს მასში. — ხოლო მეორე მაღალი და დიალი მშვენიერება სულ სხვა რიგად მოქმედებს ადამიინზე. იგი აოცებს და აკეირვებს ქაცას თავის დადებით, აღელებს და აშფოთებს მის გულს და გონებას, არყევს მას სულის საძირკველამდე, ან განუსაზღვრელ აღტაცებაში და მწუხარებაში მოჰყავს. ამ გვარ მშვენიერების მასალები ყოველთვის დიალი, უზომო და ძლიერია, რომლის წინ ჩვეულებრივი ადამიანი თავის-თავს უღონოდ და უმწეოდა, გრძნობს, განცვიფრებას და გაოცებას ეძლევა. ამ გვარ ხასიათებს დრამატიულ თხზულებაში, როგორც ზემოდ იყო ნათქვამი, ეწოდებათ ტრაგიკული გმირები.

რაც შეეხება უარყოფითს მშვენიერებას ან სასაცილოს, — ისიც მრავალ მხროვანია. სხვათა შორის, პირკველია შემთხვევითი, ესე იგი, ისეთი როდესაც

კაცი თავისევე მიზეზით და ან შემთხვევით ვარდება  
 იმ გვარ პირაბაში, რამ იგი სიცილს იწვევს და  
 იმდენად არა თეითონ, რამდენადაც მისი მდგომა-  
 რება. მეორე—ჭარბობითი, ესე იგი, ისეთი რო-  
 დესაც ცხოვრების. მოვლენა თუ ადამიანი დრამა-  
 ტურგს განზრახვით სასაცილოდ, გაზვადებულად და  
 ყოველისფერში გადაჭარბებულად, ჰყავს დახატული,  
 რომ მყურებელში სიცილი გამოწიეულ იქმნას. მესამე  
 — სიწრფოებითი, ესე იგი, ისეთი როდესაც კაცი თავის  
 სიცელქით, უცოდინარობით, მოუმზადებლობით, სა-  
 საცილო მდგომარეობაში იმყოფება ხოლო. მე-  
 ოთხე—კომიკური, ესე იგი ისეთი, როდესაც ადამია-  
 მიანი შორდება ზნეობრივს. თუ გონებრივს ჭრ-  
 მარიტებას, სიმართლეს და სიკეთეს რიგაც, რა თქმა  
 უნდა, თავის კაცურ ლირსებას სულლავს და ამდაბ-  
 ლებს და არამც თუ ეს დამცირებ დ არ მიაჩნია  
 და არცა ჰუიქრობს ამას, პირ-იქით თავის-თავი  
 პატიოსანი, ჭკვიანი, ზნეიანი და კეთილი ჰეონა.  
 ამ გვარი სურა-თებრივ გამოხატვა, თავ-შომწოდე  
 სისულელისა და უზნეობისა, სიმდაბლისა და მრა-  
 ვალ ნაკლულევანებათა მაყურებელს თვალს უხელს  
 და აშკარად უჩვენებს, სად არის სისწორე. და სი-  
 ცრუე, როკორი, უნდა იყოს ნამდვილი კაცი და  
 სხვ. გრძნობა, რომელსაც იწვევს ამ გვარი პირების  
 ნახეა და დრამატიული თხელების ზედ-შოჭმედება,  
 ყოველთვის სასაცილოა. ეს სიცილი დაცინვა ულირს-  
 ისა. ამ სიცილში ხშირად ნალველი და ბრაზი ერე-  
 ვა და ამიტომც კომიკური სიცილი ყოველთვის

აზრიანია და საგნოთ არის გამოწვეული. თქმა არ უნდა, რომ ამ გვერ პირებრს უამოსახულებაში მწერალმა ყოველთვის შხედველობაში ზნეობრივი აზრი უნდა იქონიოს და რაც უფრო მაღალი და ზნეობრივი იქნება მწერალის იდეალი, მით უფრო სასარგებლო და მართებული იქმნება მისი ზედ-გავლენა. დრამატიულ ხელოვნებაში სუსკელაფერი დამოკიდებულია მომქმედ პირთა ნება-ყოფლობაზე, სუსკელაფერი იმათი ნება ყოფლობის მოძრაობიდამ და მოქმედებიდამ მომდინარეობს. პიესაში მომქმედი პირნი იტანჯებიან და ხარობენ, ჰკვნესიან და იცინიან, მაგრამ ჩვენ მარტო მათი ტანჯვის და სიხარულის ძახილის გარდა გვესმის აგრეთვე მათი სიტყვები, რომლითაც ისინი გვიზიარებენ თავიანთ გრძნობათა და აზრთა მოძრაობას. მათ გულის სიღრმეში ჩვენა უსჭრეტო ადამიანის სულსა, გულის თქმას და წადილთა, ეიგნებთ იმ გარემოებათა და მიზეზთა, რომელნიც მათზე მოქმედებენ, ჩვენ ვხედავთ და ვიგნებთ იმ შორს მიმალულ ადამიანის ნება-ყოფლობის მოძრაობას, რომლის წყალობით ინასკვება და იღვლარჭნება მათი ბედი და ილმალი. რაკი დრამატიული ხელოვნება ამ გვარ საგნებს მისდევს ყოვლად შეუძლებელია, რომ იყი ზნეობრივის აზრით არ იყვეს გამსჭვალული ჩვენ ამით ის გვინდა ვსთქვათ, რომ დრამასა და კომედიაში უყველად განზრახვით იყოს გატარებული რაიმე აზრი და ტენდენციული განზრას და ძალადატანებული აზრი სრულებრით აუქმებს პიესის ღირსებას. ზნეობრივი დედააზრი, რომელიც დრამატიულ ხე-

ლოვნების სულად უნდა ჩაითვალოს, მწერალის სურ-  
ვილის მიუხედავათაც ზეობრივი დედა-აზრი და იდეა-  
ლი თავის თავად ჩაეწყობა და შთანერგება მაყურებ-  
ლის გონებას, და გულში. იქნება ამაზე გვიპასუხონ,   
რომ მაყურებელს თუ ლუკმასავით პირში არ ჩაუდე  
აზრი, ვერ გაიგებს რაფან კარგის მთქმელს კარგი  
გამგონი უნდაო. ეს მართალია. ხშირად გონება გა-  
უხსნელი და გაუვითარებული მაყურებელი ვერ შეიგნებს  
პიესის დედა აზრს, მაგრამ რაც უნდა იყოს, თუ პრესა  
მართლა ხელოვნური და უტყუარია, დედა-აზრი ზემოდ-  
ხსენებული მოუმზადებლობის მიუხედავად მაინც ჩაე-  
ნერგება ხალხს. მწერალი თავის პიესით ნება უნებ-  
ლიედ აშლის მაყურებელში გრძნობას, ფანტაზიას;  
ტვინს და გონებას. ამუშავებს პიესის მოძრაობის შე-  
საფერად, რისგამო მაყურებელი კვალ და კვალ მიჰ-  
ყვება მწერალის შემოქმედობის ძალას და მის ზრდის  
თანდათანობას. ამ რიგად მაყურებელი, პიესის კით-  
ხვის ან წარმოდგენის დროს, ცოტად თუ ბევრად  
იმასა გრძნობს; რასაც მწერალი გრძნობდა პრესის  
შექმნის დროს: იმავე ფსიხოლოგიურ მთრთოლვარე-  
ბას, იმავე ტანჯვას და სიხარულს, იმავე აზრს და  
ზეობრივ კმაყოფილებას, შეხედულებას და სხვა  
მრავალ წერილმან სულიერ მოძრაობას, თითქოს  
მაყურებლის და მწერალის სული ერთი და იგივე  
იყოსო. ამიტომ საკვირველი როდია, როდესაც პიესის  
წაკითხვის თუ წარმოდგენის შემდეგ თითქოს მაყურე-  
ბელი ერთი ორად გაიზარდა და იმატა მისმა გულის და  
გონების განძმა; იგი გრძნობს მეტს თავისუფლ გბას, სიმ-

ხნევეს და ოვალთა ჩენას. ასეთი გრძნობა ჰქადებს კაცში სიამოვნებას და სიხარულს. და ეს სიხარული, ჩვენის აზრით, უტყუარი მოწამეა პიესის ღირსებისა და უცილობელი ნაყოფიერი ზედ-გავლენისა მაყურებელზე.

ჩვენ ზემოდ ვსთქვით, რომ ფანტაზია ჰქადებს სურათს და აზრი ამ სურათს სისხლ-ხორცს, სულს და სიცოცხლეს აძლევს. პოეტური ფანტაზია ჰქმნის სხვა-და-სხვა სურათებს და სხვა-და-სხვა ფორმებს. პოეტი დრამატიულ თხზულებაში ხატავს ახალს ქვეყანას, ახალს აღამიანს. მის გულსა და გონებაში იბადება, მისი ფანტაზიის ხელოვნებით შექმნილი, ცხოვრება, თავის მეტ-ნაკლებობით და მომქმედნი პირებით. პოეტი ლაპარაკობს მათ მაგიერ და ათქმევინებს და ამჟღავნინებს ყოველს მათს გრძნობას, აზრს, სურვილს და წადილსა. პოეტის ძალა ერთი უძლიერესია, მისი სამფლობელო თვალ მიუწოდომელია. დრამატიულ თხზულებაში გამოყვანილი პირები პოეტის ბრძანებით ზურნება ყოფლობით. იმას სჩადიან, რაც პოეტის ფანტაზია მოიწალინებს. იგი ატაკებს და აბრძოლებს მათ ერთმანერთან, სისხლს აღვრევინებს, ატირებს, აცინებს, სტანჯავს, აბედნიერებს, ჰკლავს და აცოცხლებს და ყოველ იმ მოქმედ პირთაგანს — წრის და წოდების, სჭესის და წლოვანობის მიუხედავათ, აქვთ საკუთარი ფერი და კილო, საკუთარი. მაჯის ცემა, სისხლის დუღილი, სურველი, წადილი, აზრი და მიმართულება, გრძნობა და შეხედულობა ავ-კარგზე, ხასიათი და ნება-ყოფლობა. ამ უკანასკნელზეა დამყარებული მომ-

ქვედ პირთა ბედ-ილბალი, ხოლო რაც კი ნება-ყოფლობას მოკლებულია. ის ყოველისფერი სუსტია და მხოლოდ შემავსებელ საგნად ირიცხება მწერალისაგან გამართულ საერთო ფერხულში. ამისთანავე ღრამა-ტიულ თხზულებაში ერთს უძნელეს საგანს შეადგენს ინტერესი. საჭიროა რომ მაყურებელი ხალხი დიდი-დამ მოკლებული პატარამდე, უვიციდამ-განათლებულამდე, ყველანი შეპყრობილნი იყვნენ პიესის ინტერესით და თან კვალ და კვალ უნდა იზრდებოდეს ეს ინტერესი. ყოველ სიტყვის, სცენის ყოველ მოქმედების შემდეგ ხალხის ყურადღება უნდა სულ მაღლა და მაღლა მაღიოდეს, სანამ უმწვერვალეს წერტილს არ მიაღწევს. ყველაფერი ეს უნდა მოხდეს ორის და სულ ბევრი, სამის საათის განმავლობაში ხუთ-მოქმედებიან პიესაში. ეს ისეთი პირობებია, რომ მწერალს ნიჭის გარდა ბევრი ვონება, ხელოვნება და ღრამატიული კანონების უღიძნა და ბევრის შეკნება ეჭირვება.

ყოველი ღრამატიული თხზულება მიუხედავად მისის სახისა (ესე ივი, ღრამა, ტრაგედია, კომედია, ვოდევილი და სხვა) უნდა წარმოადგენდეს ერთს სრულს და უმეტ-ნაკლებო სხეულს და ამასთანავე უმთავრესი ინტერესი დამკიდებული უნდა იყვეს პიესის უმთავრეს გმირზე, რომლის ბედ-ილბალშიაც უნდა მოსჩანდეს მწერალის დედა-აზრიც. ეს რატერესი აუცილებლად ერთს რომელსამე წერტილზე უნდა იყოს აკებული და აშლილი და არამც და არამც არ უნდა ნაწილდებოდეს მრავალ გვარად იფანტებოდეს.

რომანსა და მოთხრობაში შეიძლება ინტერესი და-  
უოფილიყოს მრავალ პირთა და საგანთა უორის, — თუმ-  
ცა უნდა გამოვტყდეთ, რომ ეს არც იქ არის სასურვე-  
ლი, მაგრამ დრამატიულ თხსულებაში არ უნდა იყ-  
ვეს არც ერთი პირი ან სცენა სიტყვა და მოძრაობა,  
რომელსაც არ მოითხოვს პიესის ბუნება, შინაგანი  
მეხანიზმი, პიესის მოქმედება და მოძრაობა.

უტყუარი სიმარტივე, მოკლედ მოჭრილი სიტყვა-  
პასუხი, სწრაფი ერთობილი მოქმედება, ერთი დედა-  
აზრი და სიმართლე ყოველისფერი პირველი საჭმა-  
ხელოვნურს არსებაში. პიესაში ყოველისფერი უნდა  
მიისწრაფებოდეს ერთი საგნისაკენ, ერთი განზრახულე-  
ბისაკენ, რათა მაყურებლის გულსა და გონებაში ერთი  
საზოგადო შთაბეჭდილება. ერთი აზრი ჩაესახოს, რომე-  
ლიც ძვალ-რბილში და სისხლ-ხორცში უნდა გაუჯ-  
დეს მას, დააჯეროს და დაარწმუნოს ერთს რამეზე.  
რა ვნახე თეატრში, როგორი პიესაა? აი ის აუცი-  
ლებელი კითხავა, რომელზედაც სწორი პასუხი უნდა  
მიიღოს მაყურებელმა ავტორისაგან.

ნამდვილს ხელოვნურს პიესაში არათერი არ უნ-  
და იყვეს გაჭიანურებული, მეტადრე საჭიროა რომ  
პიესის დასაწყისი მოკლე იყოს, რათა მაყურებელი,  
ერთბაშად შევიდეს პიესის არაკში, მომქმედ პირთა ინ-  
ტრიგაში; მაშინვე პირველ სიტყვებიდამ იგრძნოს მა-  
თი გულის და გონების სიღრმე, მათი ნება-ყოფლობის  
სიმტკიცე, ხასიათის სიბეჯითე, რათა იმ თავითვე მი-  
სვდეს მათს მოსალოდნელს ბედ-ილბლის. ჩარჩის ტრი-  
ალს, აუცილებელ შეტაკებას, მათს «ყოფნას თუ არ-

ყოფნასა, და საზარო დასასრულის. ეს პირველი ნაბიჯია დრამატიულ ხელოვნებისა და ვინც აქ წამორძიკდება, ის პიესის მანძილს ვერ გაივლის.

საზოგადოდ დრამატიულ ხელოვნობაზე ის უნდა თქვას, რომ იგი ერთი უძნელესი სახეა საერთო მწერლობაში. სუკველაფერს რომ თავი დავანებეოთ, გარევანი თვისება დრამატიულ თხზულებისა, მისი ტესნიკა მეტის-მეტად ძნელი და რთულია. თეოთონ საგანი და დანიშნულება პიესისა ე. ი. თვალწინ წარმოდგენა აღამიანის შინაგან ბუნებისა, აკინძეა და ანუსხვა ადამიანის ბოროტის თუ კეთილის გულის თქმათა და წადილითა, ფილოსოფიური გამორკვევა მის განზრახულებათა და ყველა ამისი ერთად ერთს კალაპოტში დალაგება და მერე ყველაფრისა ერთად აშვება და აშლა, რომ ბოლოს მაყურებელის გულსა და გონებაში დარჩეს. ზეორებივი სურათი, ესთეტიური კუსკოფილება, შვება და მოსვენება. ყველაფერი ეს; ვიმეორებთ, მეტად ძნელია. აქ როდია საკმარისი მარტო ნიჭი მწერლისა, საჭიროა აგრეთვე რომ დრამატურგს გულშივე თავის თავზე ჰქონდეს ცოტად თუ ბევრად გამოცდილი დრამის გრიგალი, ნაგრძნობი ცხოვრების უსამართლობა, ჰქონდეს საოცარი ჩეილი მუსიკულიური ბუნება, რომ ყოველ ცხოვრების მახინჯმა მოვლინებამ და აღამიანის უმართლო ქცევამ ერთის დანახვით ააღელვოს და შტოთით ააქლეროს მისი მერძნობიარე გულის და სულის სიმები. საჭიროა რომ, დრამატურგი იმავე დროს დიდად განვითარებული, ნასწავლი, ცხოვრებაში გამოცდილი, ბევრის შემგნებელი, ამწონ-დამწონველი.

იყვეს. ზედ მიწევნით ჩუოდეს როგორც წარსულის  
აგრეთვე აწმუნის ისტორია, დროთა და ფამთა ვი-  
თარება და გარემოებათა ფასი და მნიშვნელობა. უნ-  
და იყვეს მამულის ერთგული შვილი, ერის და ქვეყ-  
ნის ავ-კარგიანობის და გასაჭირის, მათის სურვილის და  
იღუმალ წადილთა მცოდნე, უნდა ჰქონდეს თანამერჩო-  
ბი, სიყვარულით. აღსავსე, გული, რაღვან სიყვარუ-  
ლის გარეთ სიკეთეს და სარგებლობის მოტანა შეუ-  
ძლებელია. უნდა ჰქონდეს საოცარი მეხსიერება ნახუ-  
ლის და გაგონილისა, დაკვირვების, მოფიქრების და  
გარჩევის უნარი, შორს გამსკვრეცი თვალი და გო-  
ნება დინჯი და დალაგებული, შრომის და შემუშავე-  
ბის ხალისი და სხვა მრავალი ლირება. მაშინ და  
მხოლოდ მაშინ შეიძლებს დრამატურგი ნამდვილი და  
ხელოვნურის პიესის შექმნას, საერო დრამატურგის  
სახელის დამკვიდრებას.

ეხლა შევუდგეთ დრამატიულ ხელოვნების სხვა-  
და-სხვა სახეთა განმარტებას, ესე იგი ტრაგედიას, დრა-  
მას, კომედიას, ვოდევილს და სხვას. მაგრამ სანამ ამა-  
ზე ვიტყოდეთ რასმე, მოვიგონოთ თუ რას ნიშნავს  
საზოგადოდ დრამატიული თხზულება. დრამა არის  
იმისთვის თხზულება, რომელშიაც იხატება დიალოგე-  
ბით (ლაპარაკით) და მოქმედდებით რომელსამე ცხო-  
ვრების მაგალითი ან მოვლინება, რომელიც მოძრა-  
ობს უმთავრეს მომქმედის პირის ნება-ყოფლობით,  
მისის სურვილით, თუ წათილით, ვნებით, სიყვარუ-  
ლით ან სიძულვილით, პროცესით და შეტაკებით გა-  
რეშე ან შინაგან დამატებულებელი მიზეზთან ან გარე-

მოებასთან. ამ რიგად დრამა მოქმედებათა სურათია; რომელშიც მაყურებელი თვალ წინ ხედავს მოქმედი პირთა ბრძოლას იმ დაბრკოლებასთან, რომელნიც მათ უშლიან საწედელის. მიღწევას. მაგალითად, გულის თქმა ებრძევის. მოვალეობას, სურვილი-ზნეობას და სხვა. ამ გვარ ბრძოლის განვითარებას ეწოდების კოლი ზია. დრამატიული თხზულება გვიჩვენებს. უმთავრესად იმას-კი არა რაც მომხდარა, არამედ იმას როგორ და რად ან რა მიზეზით მოხდა ეს და ეს მაგალითი; რამ აიძულა პიესის გმირი ამა და ამ საქმის ჩასადენად, რამ ასტეხა, რამ დაუცხრო და სხვა. მომქმედი პირნი დრამატიულ თხზულებისათვის მომეტუბულად არიან მაგარი და მტკიცე ხასიათის პატრონნი, ვნებიანნი, გულის თქმის ამყოლნი, რისიმე ძრიგლ მოწანდინე და მსურველნი, იმათაც აქვთ საკუთარი მტკიცე აზრი, მოვალეობის გრძნობა, ზნეობრივი საძირკველი, არიან შაულრეკელნი და ერთხელ განზრახულისაგან-უკან არ დამხეველნი, თუნდაც რომ იმის ასრულებისათვის სიკვდილიც და აუარეცელი ტანჯვა-წამებაც მოელოდესთ. ხოლო რაც შეეხება სხვა გარევნულ პირობებს დრამისას, რომელშიც მოქმედება სწარმოებს, ეს მხოლოდ ხელის შემწყობი მასალებია, ბანის მიმცემი, ფერის და შუქის შემმატებელია. ასე დაწერილ თხზულებას ჰქვიან დრამატიული თხზულება.

თუ პიესის უმრავრესი მომქმედი პირი — გმირი უდიდესის ვნებათა, სულიერი ძლიერების, შეუძრკველის ხასიათის და უკან დაუხეველის, ნება-ყოფლობის პატრონია, თუ მის ფართო და მაღალს განზრახულებას. სა-

ზღვარი არა აქვს, თუ თავის გულის თქმისა და სურ-  
ვილისათვის არაფერს არ ზოგავს და სწირავს თავის  
სიცოცხლეს და არამც თუ მარტო თავისას, არამედ  
სხვების სიცოცხლესაც, თავის საყვარლების და მოკე-  
თე-მოყვარებისას; თუ გმირი თავის თავს დამნაშავე-  
და გრძნობს, იტანჯება და მაინც არ იშლის თავისას,  
თუ სინიდისი, მოვალეობა და გონება წინაღუდეი-  
ბიან, თუ მიუხედავათ უძვირულესეს და უსაყვარლეს  
თავის საგნებს, ცოლ-ქრული, მამა-შვილური,  
ძმურ-მეგობრულ კავშირს და დამოკიდებულებას სწი-  
რავს თავის მისაღწევ საგანს, აზრს და განზრახვას, საწა-  
დელს და სურეილს, თუ ამ ბრძოლის შეტაკებაში იგი  
არც თავის პირადი ბელნიერებას, სულის და ხორცის  
სიმშვიდეს არ ზოგავს, თუ ძლევა-მოსილ დამაბრკოლე-  
ბელ მიზეზთა ლაპტის ქვეშ სულსა ლევს თვალ-ახი-  
ლულ და თავის ცოდვების მონაწილით ან კიდევ იმ  
უკანასკნელ იმედით, რომ მისი საწადელი მომავალში  
შესრულდება — მაშინ ამ გვარ მომქმედ პირს უწოდებენ  
ტრაგიკულ გმირს და თვითონ პიესას ტრაგე-  
დიას.

რა-კი ტრაგედიის გმირს თავისი შესაფერი სურ-  
ვილი და განზრახვა აქვს და რაც უფრო დიდი და  
ფართოა მისი განზრახვა და სურვილი, მით უფრო ძლი-  
ერია მისი დამაბრკოლებელი მიზეზებიც. ადამიანის ვნება  
რაც უფრო ძლიმა, მით უფრო მწვავი და ძნელია  
მისი ატანა; მაშასაღამე ტანჯვაც და ქენჯნაც ტრა-  
გიკულ გმირისა არა ჩეცულებრივია. ამტომაც ტრა-  
გედიის შთაბეჭდილება და ზედ-მოქმედება მაყურებელ-

ხე ძლიერი, საოცარი და საზაროა. ამ ზედ-მოქმედებას უკილობლად ემატება მაყურეშელის თანაგძნოჭარა; შეტაღრე თუ გმირი თავის ცოდოს, ვნებათა შეც-დომას მოინანიებს და შეისყიდის თავის უანგარო ნჯვით, სულის და გონების მშევიდობიანობის შერ- ყევით და ხშირად სიკვდილით. ტრაგედიის გმირად უოველი კაცი ვერ გამოდგება, ტრაგედიის არაკად ყო- ველი მაგალითი, თუ მოვლინება, წრე და წოდება ვერ გამოდგება. ართავე შემთხვევაში საჭიროა განსაკუ- თრებული დრო-მოვლენება, წრე და წოდება.

თუ პიესის მომქმედი პირი აღებულია ჩვეულე- ბრივი წრისა და წოდებისაგან, თუ მათი მოქმედება მომეტებულად წარმოებს ოჯახის, ცოლ-შვილის და საზოგადოდ თუ მათი ინტერესი უფრო პრატეს და ეიწრო სარბიელზე აშენებული, თუ დამაბრკოლებე- ლი მიზეზები და გარემოებანი მათის ბეღნიერებისა იმდენად არ არიან ძნელნი და მიმენი, რომ მათი და- უძლეველობა სიკვდილს მოასწევებდეს, თუ ბრძოლა და შეტაკება მსპეცერპლი ითხოვს, მაგრამ მაინც შე- საძლებელია, რომ კაცი გამარჯვებული გამოვიდეს განსაცდელისაგან, თუ მომქმედი პირის ტანჯვა და უბედურება იმდენად გაზეიადებული არ არის, რომ მისი მონებებია არ შეიძლებოდეს, თუ მათი ბრძოლა უფრო მიმართულია რომელსამე 'ჰალა ან შეძლების მექონე პირთან. ერთის სიტყვით თუ მომქმედ პირთა საქმე ჩვეულებრივია და საყოველობა, თუ თვითონ შეგა- ლითის ან მოვლინების შთაბეჭიდლება არ გვთვალის- და არ გვაკვირვებს თავის საზარლობით, როგორც

ტრაგედიაში, მაშინ ამ გვარ პიესებს უწოდებენ და რა-  
შას. დრამა თითქმის იყივე კომედია, ხოლო შიგ  
უფრო დრამატიული მდგრმარეობა იხატება, ვიდრე  
კომიკური. ამ უკანასკნელ ხანებში დრამა და კომე-  
დია თითქმის ვერც-კი გაირჩევა, ისე დაუახლოვდნენ  
ერთშანობის, და საკვირველიც არ არის, რაღაც თვით  
ცხოვრებამ ტირილს გვერდზე სიცილი მოუსვა და ხში-  
რად ისე გადახლართული და გადაბმული არიან ერთ-  
მანერთან, რომ არ იკი. სად იწყება დრამა და სად თა-  
ვდება კომედია.

კოშე და ჩა არის იმისთანა პიესა, რომელშიაც გხა-  
ტებიან მოქმედი პირნი, რომელთაც თუმცა ხასიათიც  
აქვთ, ნება-ყოფლობაც და ძალ-ლონეც, მაგრამ მა-  
თი სურვილი და წადილი, ცნება და განზრახვა ისე  
მცირე, ისე მდაბალი და უზნება, ისე პირადი  
და საერთო, საზოგადო ხასიათს მოკლებულია, ისე  
შორდება ჩვეულებრივ იდეალს, კეთილს და სიმარ-  
თლეს, რომ მაყურებელში სიბრალულის მავიერად სი-  
ცილს იწვევენ. კომედიაშიაც არის ბრძოლა და შეტაკე-  
ბა, მრავალი დამაბრკოლებელი მიზეზები, მაგრამ ყვე-  
ლაფერი ეს მეტად ვიწრო და უმნიშვნელოა. კომე-  
დიის გმირი ხშირდა თვითონ ჰპალებს თავის მხატე  
გონებაში დაბრკოლებას და მათს ბრძოლაში უფრო  
მეტს სიცილს იწვევს კაცში თავის არარაობით. კო-  
მედიის მომქმედ პირების სახასიათო თვისებას შეად-  
გენს თავმომწონე სისულელე, სიბრიყე, ცრუ, სი-  
მართლე, გრეხსიაობა და პრანჭიაობა, მოდაზე სიარუ-  
ლი, ჭორიკანობა, თავის უცოდველობა; სრულობით

უმნიშვნელო საგნის გაზვიადება და ალიაქოთის ატეხა; ცრუობა, გაზვიადება, ტყვილ-სწავლულობა, გონების სისუსტე, ჰკუის სიმჩატე და სიმტკნარე, ყბედობა, დაბალი ვნებანი, ინსტინკტები და სხვა. აი კომიკური გმირის თვისებანი. კომედიის მოქმედების სარბიელო ყოველ წოდებაში და წრეში მოიპოვება. რაც უფრო მეტს სახასიათო თვისებას, სასოგადო და სერიოზულ ნაკლს გამოაშეარცებს და გამოაძვეუყნებს მწერალი კომედია-ში, მით უფრო უკეთესი და სასარგებლოა. კომედიის შთაბეჭდილება და ზედ-გავლენა ყოველთვის სიცი-ლია. მაყურებელი დასცინის მოქმედ პირის სასაცი-ლო მღვომარეობას, რომელშიაც თავის არარაობით თვითონ გაიბა თავი. ამ სიცილს ხანდისხან შემჩრა-ლების გრძნობაც ემატება, თუ კომედის გმირი თა-ვის წყალობით ბედისაგან იტანჯება.

ამ გვარად აშკარად სჩანს, რომ დრამატიული თხზულება არის ხასიათების წარმოდგენა მოქმედება-ში. სახოგადოდ-კი მოქმედება არის რაიმე გარეშე მოვლინება და, შჩნავან ხასიათების გამოხატვა. თუ დრამატიულ თხზულებაში უფრო იხატება, მოქმედი პირთა გულის თქმა და მისგან წარმომდგარი მოძრაობა, მაშინ ეწოდების ტრალედია, ხოლო, თუ უფრო იხა-ტება, ზნე-ჩეეულების ყოფა-ცხოვრების სურათი მაშინ ეწოდება კომედია. სხვა ფრივ რომ ვსთქვით, ტრა-ლედია სჯის და ჰკიცხავს ყოვლისფერს იმას, რაც-კი, ზნე-ობრივ კანონზემალლა ადის, კომედია კი სჯის იმას, რაც ზნეობრივ კანონზესდგას, დაბლა. ორივე შემთხვევაში ზნეობრივი კანონია მართლ-მსაჯული და ბრალის მდებელი.

რადგან დრამატიულს თხზულებაში იხატება  
ოძრაობა ადამიანის ნება-ყოფლობისა, ამიტომაც  
აუცილებელ საჭიროებას შეადგენს რომ პიესაში  
მართლა მოძრაობა და მოქმედებაი ყოს; მოქმედებას  
თან მოსწევს ხასიათები: ხასიათები ჩემოდაც იყო ნა-  
თქვაში, კომედიასა და ტრაგედიაში სხვა-ტა-სხვაობენ.  
ხასიათების გამოსახვაში მწერალი როდი უნდა გა-  
დაეკიდოს კერძო მაგალითებს და ცქიდამ გადმოსწე-  
ნის თავისი სურათები, არამედ უნდა ცდილობდეს;  
რომ შისგან დაზარულს ხასიათს საერთო რაჩე ეტ-  
ყობოდეს. მწერალს შეუძლიან თავის ხასიათებისა-  
თვის შასალები ცხოვრებიდამ ჰკრეფოს ან თავის ფან-  
ტაზითაც შექმნას; ხოლო ორთავე შემთხვევაში  
საჭიროა, რომ ხასიათები თავის-თავად სწორნი და  
უტყუარნი, ცხოველნი და ლოგიკურად განმარტებუ-  
ლი იყვნენ. ამ გვარად ხასიათში დაცული უნდა იყოს  
ერთგვარობა, ესე იგი, არ იცვლებოდეს და არ სხვა-  
და-სხვაობდეს. როგორც ტრაგედიაში ავრეთვე კო-  
მედიაშიაც ხასიათები პირველი საქმეა.

განსაკუთრებით კომედიაშია ხასიათების საჭიროება:  
კომედიაში მწერალს სხვა-და-სხვა კოშიკურს გარემო-  
ებას იმდენად აქცევს ყურადღებას, რაოდენადაც ეს სა-  
ჭიროა ხასიათების ნათელი გამოხატვისათვის. უმთა-  
ვრესი საქმე ხასიათია და გარემოება მხოლოდ ხელ-  
შემწყობი მასალაა. კომედიაში გამოყენილი ხა-  
სიათები ერთმანერთს. არ უნდა ჰგვანდენ. რაკი ხა-  
სიათები ერთგვარი არ იქნებიან, მაშინ უცილობ-  
ლიად მათ შორის შეტაკება მოხდება, რას შედევრ

შოძრაობა და ცხოველ მოქმედებაა. ჩაც შეცხება  
არაკს ან ფაბულას კომედიისათვის, ბევრი ვერაფერი  
ითქმის. ეს თვითონ მწერალის სურვილზეა დამო-  
კიდებული. ხოლო აუცილებელ პირობას შეადგენს.  
ზე ჩვეულების და ყოფა-ცხოვერების სამავალითო  
სურათების გამოსახვა სრულის და ზრდის სის-  
ტორით, რომელსაც წაწყაოდ ზნეობა უნდა ჰქონ-  
დეს.

თუ კომედიაში უმხარესი ყურადღება შექცე-  
სულია ხასიათებზე, ტრაგეტიასა და დრამაში უმთავ-  
რესი ყურადღება უნდა მიეკცეს მდგომარეობას,  
რომლიცდამაც მომდინარეობს დრამატიული და ტრა-  
გიკული შედეგი; თუმცა ვიმეორებთ; რომ აქაც,  
დრამაშიაც საჭიროა ხასიათები. დრამის და ტრაგე-  
ტიის ხასიათები არც გადაჭარბებული და არც რას-  
მე მოკლებული უნდა იყვეს. არავი დრამისა და  
ტრაგეტიისათვის სულ ერთია საიდამაც იქნება აღ-  
ბული, თანამედროვე ცხოვერებიდამ, წასულიდამ—  
ისტორიული დროიდამ თუ საკუთრიად გამოგონებუ-  
ლი, ხოლო ყოველ შემთხვევაში მართებული და  
უტყუვერად უნდა იყოს გამოსახული; ისტორიულ  
პიესებში მნიშვნელობა აქვს უმთავრესად ხასიათებს;  
დროებას და მის შესაფერ წეს-წყობილებას, ხოლო  
ისტორიული მაგალითები იმდენად არის საჭირო;  
რომდენად იგი ხელის შეძრებია დრამის გმირის  
ხასიათის გამოსაჩენად.

ეხლა უადგილო არ იქნება განვიარტოთ თუ  
პრესენტაციონ ტიპს, ლიტერატურულ ხასიათს, ყოველს

ლიტერატურულ ნაწარმოებს უნდა უვეჭველად ხაძირ. კულტური საერთო და საზოგადოებრივი ჰქონდეს. ანუ, უკეთ რომ ესთქვათ, რომელსამე პირსა და მოვლინებაში გვიჩვენოს საერთო სურათი საზოგადოებისა, წრისა და წოდებისა-სქესისა და წლოვანობისა მიუხედავად-დროთა და ფამთა; ზნე-ჩვეულებათა და ყოფა-ცხოვრებათა; რაკი დრომატიულ უხშულებებში უმთავრესად იხატება ხასიათების, ამიტომაც აქ ხასიათებიც უვეჭველად საერთო საზოგადოებრივი უნდა იყოს. ამგვარ საერთო ხასიათებს ეწოდება ტიპი. ტიპი არის კრებული, იმ მრავალ სახასიათო თვისებათა, რომელნიც ერთად შეერთებულნი და შედუღებულნი არავის არ გავს და იმავე დროს ყველა ცოტ-ცოტად გვანან მას. შეცდომით ამბობენ-რომ ეს და ეს ხასიათი, ეს-და-ეს ტიპი ამა-და-ამ ჭატა რუ ჭალა ჰგავსო. ლიტერატურულ ტიპის ლირიკა და თვისება ის არის, რომ მას ვერც ერთს ჭატა ვერ შევადარებთ, ვერ დაევამსგავსებთ ცხოვრებაში. ტიპი თავის თავად არავის არ ჰგავს, ხოლო ყოველს პირს კერძოდ შეიძლება ტიპისა ან ჭუა, ან ზნე, ან ხასიათი და სხვა რამე ფსიქოლოგიური თვისება მიუგავლენ. ლიტერატურული ტიპი საერთო სურათია, საერთო კრებულია იმ მრავალ გვარ კერძო პირების სახასიათო თვისებათა, რომელნიც მასში შეღიან და ერთდებიან. რა თქმა უნდა, ტიპში ყოველი ჩვენთაგანი რასმე საკუთარს მონათვესავე, კავშირს პოულობს, რადგან ტიპი შეიტავს ჩერენსას, თქვენსას

და სხვებისას რასმე ნაწილს. ამიტომაც არის, რომ  
ტიპის სახელი ყოველთვის საზოგადო სახელად  
ხდება, რადგან ხელოვნური ტიპი სრული წარმო-  
მადგენელია რომელსამე დროების, გარემოების, ვი-  
თ რ. ბის, წეს-წყობილების, ყოფა-ცხოვრების, ხა-  
სიათხს, ჭურა-გონებრის ფსიქოლოგიურის და შმაგუ-  
რი მდგომარეობისა და სხვა. ლუარსაბ თათქარიძე  
თეოთონ ცნოვრებაში აჩ ყოფილა, ამ არის და  
არც იქნება; ხოლო თათქარიძეებისთანა, მისი მსგავ-  
სი მრავალი ყოფილან და დღესაც ბევრნი ზრიან,  
ამიტომაც ჩვენ უწმოდებთ მათ საერთო სახელს;  
რომელიც პარეტის მაღალ ნიჭმა შექმნა.

რადგან ყოველი დრამატიკული ნაწარმოები,  
მიუხედავად მისი სხვა და სხვ სახისა, უნდა შეი-  
ცავდეს სრულს ერთობას ხასიათისას, მოქმედები-  
სას და აზრისას, რომელშიაც ორის თუ საშის საა-  
თას განმავლობაში უნდა განვითარებული იქმნას  
დასაწყისი, შეუ ინტერესი და დასასრულობა და ისიც  
ისე სწრაფად და საგულისხმიეროდ რომ მაყურებლის  
ინტერესი არამც-და-არამც არ შეხერდეს, არამედ  
თან-და თან სულ იზრუებოდეს, ამიტომ, როგორც  
ეგძოდ გვქონდა ნათქვაში, დრამატიულ თხზულე-  
ბას უცილობლარ ეჭირება შემდეგი პირობები:

უმთავრეს მომქმედ პირზე—ვმიჩნე უნდა და-  
მყრებულიყოს პიესის ინტერესი. სხვა საჭირო მო-  
ქმედი პირები დიდის სიფრთხილით და მოფიქრე-  
ბით უნდა იყენენ არჩეულნი, რათა პიესის თან-და-  
თან მსევლელობას, მოძრაობას და მოქმედებას არ

აფერხებდენ. რაოდენობა მომქმედ პირთა რაც  
უფრო მცირე იქნება, მით უფრო უკეთესია, რად-  
გან ამით ორ ნაირი საჩვებლობა — ერთი, ისა რომ  
პირის ინტერესი არ ნაწილდება მრავალ მომქმედ  
პირთა შორის და მეორე — მოქმედება უფრო სწრა-  
ფი და ცხოველია. საჭიროა აგრეთვე მეორე და მე-  
სამე ხარისხის მომქმედი პირები ბევრს არ ლაპარა-  
კობდენ და არ მოქმედებდენ და ერთხელ გამოყვანი-  
ლი პირები ბოლომდე გატარებულ აუცნენ პირსაში.  
დროზე გამოსულა და გასვლა, საჭიროების დაგვა  
რად მოქმედ პირების გამოყვანა პირველი. საჭმე,  
ლოვნურს პირსაში. როგორც ყოველს სხეულს  
ბუნებისას სამი უმთავრესი დრო აქვს: შობა, ზრდა, და  
სიკედილი, აგრეთვე პირსას აქვს დასაწყისი განვითა-  
რება და დასასრული, ეს სამი უმთავრესი წუთი  
პირსას ერთად, ლოლიკურად გადაბმული უნდა  
იყვეს და იმავე დროს პირველს მეორე და მეორეს  
მესამე უნდა მოსდევდეს სრულის თანადა-თანობით;  
ხოლო რაც შეეხება პირის არაკს, ეს ისე უნდა  
იყოს დაყოფილი, როგორც თვითონ არაკი ნებას  
აძლევს მწერალს. უმჯობესია თუ თანხმად, სამის  
უმთავრესის პირის წუთისა, სამ ნაწილად, ესე იგი  
სამ მოქმედებად იქნება დაყოფილი, მაგრამ ხშირად  
ეს მოუხერხებელია და ხან ოთხს და ხუთს და მეტს  
მოქმედებად ყოფენ პირსა. რაც უნდა იყვეს, უწინა-  
რეს ყოველისა მწერალმა ღონისძიება უნდა იხმაროს,  
რომ მოქმედებანი ერთმანერთს ლოგიკურად მისჯევ-  
დენ და ამასთანავე ყოველი მოქმედება კერძო

ერთს სრულს სხეულს მთელისას წარვიადგენ დეს  
და ყველანი საერთოდ ერთს სრულს სურათს, მოქ-  
მედებათა სისწრაფე და მოძრაობა, თანდათანობა  
და ინტერესი ცხოველად უნდა მიღიოდეს. პიესის  
მოქმედებათა თანდათანობა და მოძრაობა შეიძლება  
მთაზე ასელის და ჩამოსკლის მაგალითს შევადა-  
როთ. ჯერ კაცი ნელ-ნელა აღის სიმაღლეზე, (ეს  
პირველი მოქმედება) ავა თუ არა უმწვერეალესი  
წერტილზე (ეს მეორე მოქმედება), უნდა სწრაფად  
დაეშვას მთის მეორე ფერდოზე (ეს უკანასკნელი  
მოქმედება) ან კიდევ სახლს ცეცხლი რომ გაუჩნ-  
დება— ჯერ ნელ-ნელა ეკიდება, მერე თან-და-თან  
ცეცხლი მატულობს, შემდეგ ყოველ მხარეს აღის  
ბუქი და ალი; მთელი სახლი ალსა და ცეცხლში  
იქნება შთანთქმული და ბოლოს რამდენისამე ხნის  
შემდეგ მთელი შენობა თავის ჭრით და კედლებით  
საშინელის სისწრაფით ინგრევა და იმუსრება ცე-  
ცხლში. პიესის მოქმედებაც ეგრე უნდა იყოს, მა-  
შინ მაყურებლის ინტერესი მოქმედ პირის პირველ  
სიტყვიდამ უკანასკნელ სულის აღმოჩეთქადმე.  
მთლად შეპყრობალი ექნება ავტორს.

დანარჩენი პირობები, როგორც მაგალითად  
მონოლოგები (თავისთან ლაპარაკი) თუ უამისოდ  
შეიძლება ძრიელ კარგია და პიესა მოგების მეტი  
წაგებაში. არ იქნება თუ მაინც ცერ, მოხერხდა უმო-  
ნოლოგოდ, საჭიროა რომ მონოლოგები იქ მოხ-  
მარდეს პიესას, სადაც იგი საჭიროა მომქმედის პი-  
რის მეტად აშფოთებული სულის გამოსახატავად,

ან როდესაც სხვა ფრივ (დიალოგში და მოქმედებ-  
ზეში) არ შეიძლება გმირის ხასიათის გამოაშვა-  
რავება. ყოველ შემთხვევაში მონოლოგი მოკლე  
სჯობიან, იგი უნდა გვიხსნიდეს შხოლოდ მოქმე-  
დი პირის გულის თქმას, გონიერის ტვირთს,  
გრძნობათა ტკივილს და სხვა. ლაპარაკი და მისი  
კილო ყოველთვის ცხოველი უნდა იყოს, აზრიანი,  
და ყოველთვის საჭიროების და მოთხოვნილების  
მიხედვით სწრაფი და მოქმედების წინ მწეველი.  
ლაპარაკი უნდა ყოველს ხასიათს თავისებური ჰქონ-  
დეს, ხშირად ლაპარაკითაც იხატება კაცის ხასიათი. სა-  
ზოგადოთ კი ლაპარაკი მეტად ცხოველი და მკერძოცხლი  
უნდა იყვეს. ლაპარაკში ყველანი უნდა ღებულობ-  
დენ მონაწილეობას, ერთი შეორეს ასწრობდეს.  
ერთის სიტყვით, სიტყვა-პასუხი ბურთისავით უნდა  
ტრიალებდეს ყველა მომქმედ პირთა შორის. ენა  
პიესისა მეტად მკერძოცხლი მოსწრებული, აზრიანი  
მაღალი, მარტი და მოკლე, შემკობილი პოეტუ-  
რის შედარებით, პირ და პირ საჭიროების გამომხა-  
ტველი, ადვილად გასაგები, ტკბილი და მუსიკალუ-  
რი უნდა იყოს. რაც შეეხება გარეგან სურათს, ისიც  
ხელოვნური უნდა იყვეს; ტყე, ლამე, ქუჩილი და  
სხვა მაგვარი გარეგანი. ხელის შემწყობი მასალები  
მოფიქრებული და შესაძლებელი უნდა იყოს. რო-  
გორც სჩანს, დრამატიული ხელოვნება მეტად  
ძნელია, სერიოზულის პიესის შექმნა ერთი უძნე-  
ლესი საჭმეა. მწერალს დიდი ნიჭის გარდა, უნდა  
ჰქონდეს დიდი ცოდნა, გამოცდილება, ფილოსო-

ფიური და პრაკტიკული ჭურა-გონება და შრომის  
ხალისი. ზომიერება ყველასთვერში, აზრის გატარება,  
ზეობრივი იღეალით გამსჭვალვა პიესისა; შემსუბუ-  
რება მასალებისა, მოვლინებათა გამსჭრეტელი შორს  
მხედველობა, სისასტიკე და სისწორე, მართებულო-  
ბა და უპირალობა, უხევი და მდიდარი ბუნება;  
ჩეილი გული და ლრმა სული და სხვა მრავალი ოვი-  
სფება და ლირსება უნდა ჰქონდეს მომაღლებული  
მწერალს, რომ საერო დრამატურგის სახელი დაიმ-  
კვიდროს.

### სასცენო ხელოვნება

ამ სათაურით ჩვენ გვინდა ეისაუბროთ ერთის  
უძლურესი მომქმედ აღამიანის გონებაზე, დრამა-  
კომედიის—ამ მწერლობის და პოეზიის გვირგვი-  
ნისა—განხოციელებაზე სცენის საშუალობით. სცენა  
საერო და საჯარო სალაყბოა, საიდამაც ლატადებს  
სრული ჭეშმარიტება და რომელსაც ყურს უგდებს  
არა ერთი და ორი, არამედ ათასი და ათო ათასი, და  
ყურს უგდებს არა მარტო ერთი რაიმე გრძნობა  
აღამიანისა, არამედ ყველაფერის ყური, თვალი,  
გრძნობა, გონება, სული და ყოველი ადამიანის  
ცხოველი ინსტინკტი.

სცენაზე თამაშობა ხელოვნებაა და ძნელი ხე-  
ლოვნებაც. მასაც აქვს თავისი კანონები, თავისი  
ხელ-შემწყობი და ხელ-შემშლელი პირობები. რო-

დესაც მ. ყურებელი აქტორის ხელოვნებას აფასებს უეჭველად კარგად შეგნებული უნდა ჰქონდეს საცენო ხელოვნების კანონები.

როგორც უხეირო პიესა მავნებელია და ხალხის გემოვნების მაფუჭებელია, აგრეთვე უხეირო თავ მაშობაც სცენაზე მავნე და ზიანის შობტანია. თუ კარგი პიესა კარგად არის წარმოდგენილი, მაშინ გადაჭრით შეიძლება ესთქვათ, რომ ერთ და ქვეყანა წარმატების გზას დადგება, ხოლო უხეირო წარმოდგენა, იმის გარდა რომ ხალხს გემოვნებას უფუჭებს და თეატრის აძლევებს, ხალხს სხვა გასართობს, მავნეზელს, უსაგროს და გონებაზნეობა გასახრწნელ შექცევას აჩვევს.

სიტყვა, რომლითაც დრამატურლი გვიხსნის და გვიშლის, ადამიანის ბუნების შაუწყვეტელ დრამატიულ თუ კომიკურ მოვლინებას — უსცენოდ ისე ძლიერი მომქმედი რიქნებოდა, როგორც სცენაზე გაფონილი. რაც გინდ დიდი და მდიდარი ფანტაზიის პატრონი იყოს მკითხველი, მაინც დრამის და კომედიის წაკითხვის დროს, იმას ვერ წარმოაღენს, რასაც მას სცენა და სასცენო ხელოვნება მისცემს. ყოველი დუღილი და აშლილი ვნებათა დელვა, ძარღვის და სისხლის ფეთქება, ის ცხოველ, მყოფელი ცეცხლი, რომელშიაც გამომწვარია და ნალველში გაღესილია მწერლის ყოველი სიტყვა, უსცენოდ სულ დაიკარგებოდა დრამატიულა ნაწარმოები, რაც გინდ ძლიერი იყოს, თუ მარტო ფანტაზიის საზღვარში იტრიალებს, საჭანს ვერ მიაღ-

წევს. შალა და ძლიერება პიესისა, მისი საოცარო ზედ გავლენა მხოლოდ სცენის საშუალობით უნდა მოხდეს. განა ერთი და ოგივეა კითხვა დრამატიულის თხზულებისა და ხილულად, სახიერად, სურათებად მისი თეალტინ წარმოდგენა. ცხოველი ადამიანი სისხლ-ხორციანი და მეტყველი ყაველივე მისის ფსიხოლოგიურის და ფიზიოლოგიურის მოძრაობით, რა თქმა უნდა, მეტს გვაგრძნობინებს და მეტს გაგვავებინებს, ვიღრე უსულო სიტყვები ქალალდზედ დანიშნულნი,— განა შესაძლებელია ქალალდზე დაიწერეს ყველაფერი ის, რასაც ადამიანი ფიჭრობს და ვრძნობს? განა ყოველი სულის და კულის წუთიერი მოძრაობა შესაძლებელია ქალალდზედ დანიშნოს? ეს ყოვლად შეუძლებელია. ადამიანის ბუნება ში იმდენი აუარებელი რამ მოიპოვება, რომლის გამოხატვა არც აქრით, არც მართლ-მსჯელობით და არც სიტყვით არ გამოითქმება. ტანის მოძრაობა, სახე, თვალები, ხმა,— ი ამათ შემწეობით შეიძლება ყველაფერი გამოიხატოს,— ხოლო ყოველიფერი ე' სცენის კუთვნილებაა.

სასცენო ხელოვნების განსაკუთრებული თვისება იმაში იმყოფება, რომ სხვა ხელოვნებაში არტისტებს რაიმე მასალა აქვთ ხელთ ქვეშ და იმ მასალებიდამ ჰქმნიან თავიანთ ხელოვნებას, ხოლო სასცემო არტისტი თვითონ თავის თავად არის მასალაა თავის სისხლ-ხორცით და გრძნობა-გონებით. ეს ცხოველი მასალა იმით არის ყურადსალები, რომ ერთსა და იმავე დროს მასალაც არის და ჰქმნელიც და ისიც მრავალ მხროვანი ჰქმნელი.

ხშირად გაიგებთ: აქტორის ნიჭი იმდენი პრა-  
ფერია, თავი და პირებელი საქმე—მწერალია. ამას  
ჩეენ უცოდინარობას ვაბრალებთ. მართალია, მწე-  
რალი ჰქმნის პირსას, მოქადა პირებს და აქტიორი  
თითქოს მწერალის ნიჭისაგან არის დამოკიდებუ-  
ლი, მაგრამ კარგად რომ დავაკვირდეთ სულ სხვა  
გამოვა. ჯერ რქიდამ დავიწყოთ და ვიკითხოთ: რატომ  
ერთი დრამატურგი მაინც არ გამოსულა აქამდე  
ისეთი, რომ თავის შექმნილი პირი გაეხორციელე-  
ბინა სცენაზე? აშკარაა, როგორც მწერალს  
აგრეთვე აქტორს შექმნისათვის ნიჭი უნდა, ხოლო  
ერთს ის უპირატესობა აქვს, რომ პირებელად მან გა-  
მოიგონა მოქმედი პირი და მეორემ გაახორციელა  
იგივე პირი: მეტს ვიტუვით ზოგჯერ მწერალი მეტად  
ბუნდათ ხატავს მოქმედ პირს, ხშირად ყალბიც  
არის, მაგრამ ნიჭიერი აქტორი ისეთს სრულს და  
უტყუარ სურათს არდებას, რომ არამც თუ მაყუ-  
რებელი, თვითონ მწერალი—მამა ვერ იცნობს თა-  
ვის ყალბი მოქმედ პირს—მანი ჯი შეილსა. სას-  
ცენო ხელოვნება ანუ აქტორის ხელოვნება ახორ-  
ციელებს და ასახიერებს მწერლის ნაწარმოებს. ეს  
განხორციელება მარტო სიტყვიერი როდია, არამედ  
სისხლ-ხორციში შედუღებულია. გამსჭვალვა და  
ჩაძრომა ადამიანის ულრმეესი სულის უფსკრულში,  
გამოცნობა მისი ხასიათისა, გამორკვევა მასი იდუ-  
შალ თვალით შეუმჩნეველ სულის მოძრაობის მი-  
ზეზებისა და დახლართულ მდგომარეობაზა, გრძნო-  
ბა ოდნავ დასანახი გულის ცახცახისა, შეგნება

სიტყვაში მიმაღლულ აზრისა და ყველაფერი ამათ  
განხორციელება დიდი საჭმეა; დიდს ხელოვნებას და  
უფრო დიდ ნიჭისაც თხოულობს.

როგორც მწერლის გონებაში წერის დროს  
იბადება ჯერ რაიმე თესლი, მერე ის თესლი იხ-  
სნება და თან-და-თან განვითარებაში შედის და  
ბოლოს სრულად ლებულობს რომელსამე სრულს  
სახეს და ცხოველდება. ასრევე ხდება აქტორის გო-  
ნებაშიაც და არამც თუ მარტო მის გონებაში, არამედ  
თვით მის ბუნებაშიაც. აქტორი იმ პირად იქცევა,  
რომელსაც არდგენს და ამ გარდა ქუცვაში იგი ხე-  
ლავს სიხარულს და სიამოვნებას. მის ტყავისორ-  
ცში ძრვება სხვა კაცი, მისივე ნიჭით და ხელოვ-  
ნებით შექმნილი, რომელიც აქტიორს თავის თავს  
ავიწყებს და ნება—უნებლივდ მის გულსა და ლვიძლ-  
ში შედის.

ხშირიდ ორიგანულურს პიესებში ზოგი მო-  
თამაშე ისე ხელოვნურად ჰბაძავს ხოლმე ვისმეს,  
რომ პირ-და-პირ ცხოვრებიდამ ამოლებულ კაცს  
ჰატმა-დახურვით, გრძნობით, მიხერა-მოხერით  
სიტყვა-პასუხით და სხვ. ხშირად ამ გვარ 'აქტო-  
რებზე ამბობენ: აი ეს არის' ნიჭიერი აქტორი,  
ნამდვილი არტისტი თქმა არ უნდა, რომ ყოველს  
მიბაძვასაც კი ხერხი და უნარი უნდა, მაგრამ ეს ხერ-  
ხი და მიბაძვის ხალისი, ყოველს კაცს აქვს. ადამინი  
მაგ შემოხვევაში მაიმუნსა ჰვავს და თვით ადამიანს  
ბუნებაში ბლობად აქვს სსენებული მაიმუნობა  
და მიბაძვა. ამიტომ, როცა კაცი ჰქედავს კარგს მი-

შბაძეელს, ან მკაჭედ რომ ესთქათ, კარგს შაიმუნს,  
 მაყურებელს ეს ახალისებს და დახელოვნებულს  
 მაიმუნს ხან ნიჭს უწოდებს და ხან გენიოსს, მაგრამ  
 ეს, ჩვენის აზრით, შეცდომა, და თან დიდი ცოდვაც.  
 მიმბაძველობაში როდია აქტორის ნიჭი. ყოველი  
 კარგი მიმბაძველს, რომ ნიჭიერი აქტორი ვუწო-  
 დოთ, მაშინ ხომ ყველა აქტორად უნდა ჩაგვეთვალა,  
 რადგან მიბაძვა და მაიმუნობა ყველას აღვილად  
 შეუძლიან, მეტადრე თუ კაცი იმისთანა პირო  
 ჰქაძავს, რამელთაც ყოველ დღე ხედავს. აშიტომ,  
 მომეტებულად უნიჭო არტისტები ხშარად ძრიელ  
 კარგნი არიან ეგრედ წადებული ყოფა-ცხოვრე-  
 ბის და ზნე-ჩვეულების კომედიებში, რადგან, ამ  
 პიესებში გამოყვანილი პირები მომეტებულად ჩვე-  
 ულებრივი, ყველასაგვის ცნობილი წრიდამ არიან  
 და ყოველი მოთამაშე კარგად იცნობს ყოველს  
 მათგანს. ეს რომ ლიტონი სიტყვები არ არის, ამას  
 ისუც ამტკაცებს, რომ ყველა იმ წარმოდგენებში  
 რომლებშიაც სცენის მოყვარენი თამაშობენ ხოლმე  
 ორიგინალურს პიესებში, მეტადრე ყოფა-ცხოვრე-  
 ბის და ზნე ხასიათების კომედიებში, ყოველი მო-  
 ყვარე ცოტად თუ ბევრად კარგად თამაშობს და  
 ხშარად ხელოვნურდაც, თუმცა ის აქტორი არ  
 არის და არც იქნება. მიბაძვას არც ნიჭი უნდე-  
 ბა არც ჭკუა-გონება. ხოლო ნამდვილი არტისტი-  
 სათვის პირველი საქმე ნიჭი და ჭკუა-გონებაა და  
 მიმბაძველობის უნარი მხოლოდ ხელ-შემწყობი-  
 გარემოებაა. პქმნა სცენაზე თხოულობს დიდ შინა-  
 გან სულიერს და გონიერ ძალ-ლოჩეს. არტისტს

უნდა ჰქონდეს არა ჩვეულებრივი ნარნარი გრძნო-  
ბიერება და ყოველის ფერი, ჩვეულებრივ თვალისაგან  
შეუმჩნეველი, წვრილმანების გამსჭრეტელობა და  
ამ წვრილმანების ერთად აკინძევა თავის შერძნო-  
ბიარე და ნარნარი ბუნების ძაფზე. არტისტი თავ-  
დაპიროვლად გრძნობს მთელი პიესის სიმშევნიე-  
რეს, მერე მისი კერძო ნაწილების სინამდვილეს.  
ეს სიმშევნიერე და სინამდვილე არტისტის ბუნე-  
ბას ნელ-ნელა იპყრობს. არტისტი ჯერ ბუნ-  
დად, მაგრამ თან-და-თან უფრო ნათლად ჰქონდეს  
მომქმედი პირების ოცნებრივ სახეს, რომელსაც  
მისი ფიცხე და შემოქმდებითი ფანტაზია სხეულს  
აძლევს, სისხლ-ხორცით ავსებს. არტისტი სანამ  
როლს შეასრულებს, მინამ ათასფრათ წარმოიდგენს  
მას თავის გონებაში. იგი შედის გმრჩევაში, ჯწონ-  
დაწონვაში, დანაკლისს ავსებს და მეტს აკლებს.  
ერთის სიტყვით, რანდავს და ალაზათებს თავისს  
საყვარელს საგანს, რომელიც თავის გულსა და  
სულში, ტვინსა და გონებაში უნდა ჩაისოს. ასეთი  
შრომა როლის წარმოდგენამდე წინკარია იმ დახ-  
ლართულ შენობის შესავალისა, რომელიც აქტორმა  
უნდა გაიაროს წარმოდგენის დროს. არტისტის  
შრომა ორ გვარია; ერთი წარმოდგენამდე, მეორე  
თვითონ წარმოდგენაში. პირველში არტისტი მასა-  
ლას ამზადებს და მეორეში თვითონ მასალათ იქ-  
ცევა და მაყურებლის თვალ წინ ათას ფრად იშ-  
ლება. ამიტომ არტისტის ხელოვნება ბევრად გან-  
სხვავდება სხვა ხელოვნებათაგან. ამასთან ავე ისიც

უნდა ვსთქვათ, რომ არტისტის ხელოვნებასა და  
შემოქმედებაში ერთი რამ არის საკვროველი. არ-  
ტისტი წარმოდგენაზე ერთსა და იმავე დროს თა-  
მაშობს კიდეც, გრძნობს დაისე გატაცებულია რო-  
ლის წარმოდგენით, რომ პირადი მყოფელობა  
სრულებით დავიწყებული აქვს და იმავე დროს  
იგი სასტიკი კრიტიკოსია თავის-თავისა, მკაცრი  
მსაჯულია თავის თამაშობია, იგი გონების  
თვალით შესცემის თავის-თავს და მხოლოდ მას  
ფიქრობს, რომ არაფერი არ წაახდინოს, არაფერს  
არ დაკლოს ან არ გადააჭარბოს. რა თქმა უნდა,  
რომ ერთსა და იმავე დროს გრძნობიერობა და  
უყრძნობლობაც, აღტაცება და სიღინჯეც, შეუ-  
პოვრობა და სიწყნარეც მეტის-მეტად ძნელია და  
დიდს ნაჭის, მდიდარს ბუნებას, ყოველის-ფერის გამს-  
ჭვრეტი გონებას, სრულს ჩომიერობას, უხვის და  
ფიცხელს ფანტაზიას, სწრაფლ შოსაზრებას, მაღალ  
გრძნობიერებას და ჭკუას თხოულობს.

ერთი უძნელესი საქმე სასცენო ხელოვნება-  
ში არტისტისათვის არ ის ეგრედ წოდებული ბუნებრი-  
ვი, ღვიძლი თამაშობა. ბუნებრივს თამაშობას ჩვენ  
ვეძახით იმ გვარ თამაშობას, როდესაც აქტორი ბუ-  
ნებრივ და ჩვეულებრივ საშუალებასა ხმარობს თავის  
ხელოვნებისათვის. ყოველი გრძნობის გამოხატვა  
მართებული უნდა იყვეს, არც მომეტება, არც რა  
დაკლება რიაშე. იმის ლაპარაკის კილო არც ისეთი,  
ტლანტი უნდა იყვეს, რომ ყურს დალავდეს და არც  
ისეთი მუსიკალური რომ ლაპარაკის მაგიერულ სიმღე-

რა გაისმოდეს, მიხერა მოხერა მომქმედი, პირის ხა-  
სათა და ტემპერატურის, წრეს და წოდებას, ვნე-  
ბას და გონებას შეკვერებოდეს. თუ აქტორი თავს  
შეტად აძლევს ვნებათა ღელვის ტალღებსა—ის  
ჯეროვან შთაბეჭდილებას ვერ მოახუენს, აგრეთვე  
თუ შეტად ძეირობს გრძნობათა გამოშელავნებაზე,  
უსიამოვნო და უფერულია მისი თამაშობა. მრმე-  
ტებულ შემლხვევაში-კი აქტორები უფრო უმატე-  
ბენ როლებს ფერს და უმარილს, ვიღრე აკლებენ.  
ხოლო არც ერთი და არც მეორე არის სასურველი.  
პირველი საქმე აქტორისა არის სიმარტივე ყოვე-  
ლისფერში. ხელოვნებაში სიმარტივე, და ზომიერე-  
ბი, ეთანხმება ეკონომისს ცხოვრებაში. აქტორი ყო-  
ველთვის უნდა არჩევდეს, ყოველთვის უკეთესს  
უნდა ეტანებოდეს. უკეთესობა სცენაზე იმას ჰქეიან,  
როცა აქტორი სრულს ტიპს არღვენს. რასაც უნ-  
და არღვენდეს აქტორი, მხედველობაში განსაკუთ-  
რებული და კურძო ზომები როდი უნდა ჰქინდეს,  
არამედ ყოველთვის საერთო და სახასიათო. რაც  
უნდა კრიკად თამაშობებს აქტორი, თუ, მას აკლრა,  
გარეარი გამოსახვა შინაგან გრძნობათა, ყოვლად  
შეუძლებელია, რომ მისმა თამაშობაშ ძლიერ ზე გ  
გავლენა იქონიოს ხალხზე. საჭიროა ეგრეთვე,  
რომ აქტორი აკტორს ყურს უგდებდეს და მარტო  
მასაგან დახატულ სურათს განაცითარებდეს და განა-  
ხორციელებდეს; ხოლო აქცე უნდა იქონიოს მხე-  
დველობაში სიღვიძლე და ბუნებრივობა იმდენად,  
რაოდენადც ეგ საჭირო იქნება ხასიათის გამოსა-

სფირათვის. ყოველს ხელოვნებას, როგორც ზემოდ  
იყო ნათქვაში, საგნად ადამიანის სულიერი და გო-  
ნებითი ესთეტიკურ გრძნობათა დაქშაყოფილება აქვს,  
მშენებილის და ზნეობრივის თესლის ჩანერგვა აღ-  
მიანის ბუნებაში, ამიტომც აქტორიც ყოველთვის მარ-  
ტო ამაზე უნდა ჰქონდეს. ხმა, თვალები და ტანის  
მოძრაობა აი მხოლოდ ეს არის აქტორის ხერხები  
შინაგან გრძნობათა გამოხატვისათვის თავის სახეზე.  
თუ აქტორს გარეგნობით, ესე იყი, სახის მოძრაობით  
არ ძალუში გრძნობა გამოხატოს მაყურებლის თვალ წინ,  
იყი თავს ტყუილად იწუხებს და მაყურებელსაც სტან-  
ჯავს. ყოველი გრძნობა აქტორმა ისეთის თამაშობით  
უნდა გამოხატოს; რომელიც ერთსა და იმავე დროს გასა-  
გებიყუნდა იყოს, აღმტაცებელიც და მშენებირ-ხელოვ-  
ნურიც. ხმა თუ კარგი აქვს აქტორს, მაშინ მისი საქმე-  
ნახევრად შოგებულია. ის ხმა, რომლითაც აქტორი  
აჭადოებს ხალხს, არც მომეტებულად მელოდიური  
ძლიერ სასიამოვნო უნდა იყვეს, ხოლო უცილობლად  
მერძნობიარე, ამაღელვებელი, გულის სიღრმიდამ აღმო-  
ზეთქილი უნდა იყვეს, რათა მაყურებელს თავის სიმარ-  
თლით და უტყუარობით ხიბლავდეს და შესაფერ გრძნო-  
ბაში მოყავდეს. ერთს ოხერას ან მრისხანე თვალის ელ-  
ვას იძღენი ზედ-გავლენა აქვს, რომ მრთელი თეატრის  
აქტორულება და აკანკაღება შეუძლიან. მაყურებელი  
აქტორს მხოლოდ თვალში შესცემის, მარტო მხს.  
ხმას უგდებს ყურს.

მიხერა-მოხერას და საზოგადოებრივ ტანის მოძრაობას  
არა უკანასკნელი ადგილი უჭირავს აქტორის ხელოვ-

ნებაში. ამ შემთხვევაში ზომიერება პირეელი მცნებაა. საზოგადოდ სასურნო ხელოვნების სიძნელე მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ აქტორს მართებული ზომიერება ხშირად ღოლატობს ხოლმე. არც ისე უნდა, რომ აქტორს მოძრაობა მჟაფად ღარიბი ჰქონდეს. ამ შემთხვევისათვის ურიგო არ იქნება ერთი მაგალითი მოვიყვანოთ საქვეყნოდ ცნობილი ვოლტერის ცხოვრებიდამ. ვოლტერი, თურმე; ერთს ახალგაზდა ქალს ასწავლიდა სასურნო ხელოვნებას და სკენისთვის გმიზადებდა. ქალს უხვი ნიჭი ჰქონდა; მაგრამ საუბრედუროდ ხელებს მეტად ხშირად შლილა, უზომოდა ამოძრავებდა, რის გამო უსიამოენი შთაბეჭდილებას ხდენდა ხოლმე. ვოლტერი ბევრს ჟურად; რომ გადა ეჩვია ქალი ამ სენს, და ბოლოს, რომ უერთ გააწეონა, ხელები სხვრლი ძლიერ შეუკრა. ქალმა დაიწყო როლის კითხვა, ჩვეულებრივად ხელების გაშლა მოინდობა, მაგრამ ძაფი ნებას ჯრ აძლევდა, ურთს პატეტიურ—მერქნობიარე აღგრძს ქალმა უკრ მოითმინა, ძალზე გაიქნია ხელები, და ძაფის სხებაც ჯრ დარჩენილა. ქალს ძრიელ შერცხვა, მაგრამ ვოლტერმა მოუწონა და ასე უთხრა: «შრიელ კარგია, შრიელ. ამ ადგილს უეჭველად საჭირო იყო ხელის გაშლა.» ეს აშკარად ვერმტკიცებს, რაოდენად მოუიქნებული უნდა იყოს აქტორის თამაშობაში მოძრაობა და რაოდენადაც აღავგალაგ მაცნელებელია; იმდენადაც შესაფერ დროზე მომარჯვებული და საჭიროა. აქტორი ერთსა და იმავე დროს აღელვებულიც და რაწენარებულიც უნდა იყვნეს. ენებათ ლელვისგან უნდა თრთო-

დეს და იმავ დროს სრულად უნდა ბრძანებლობდეს თავის-თავს, რომ არ გადააჭარბოს ჯეროვან წრეს და მშვენიერება უშნო პრანჭიაობათ არ გადაქმნას, აქტორი უნდა იყვეს მეტად მეტანობიარე, რომ ყოველი-ფერს გრძნობდეს, მაგრამ მარტო თავისთვის კი არა, არამედ მაყურებელის დასანახავად. ყოველი ხელოვ-ნება ხატებრივია, — სურათებრივი, აქტორის ხელოვნე-ბ აც მით უმეტესად. აქტორი შინაგან სულის მოძ-რაობით გვაგრძნობინებს მომქმედი პირის გულის თქმას და გარეგანის მოძრაობით გვიჩვენებს ამ გუ-ლის თქმათა სურათებს. მხოლოდ ესეთის შინაგანად და გარეგანად შეთანხმებულის თამაშობით იგნებს მაყურებელი დრამატიულ და სასცენო ხელოვნების სიმშვენიერეს.

როგორც დახელოვნებული მოლაპარაკე-ორატორი გრძნობის შესაფერ ხმის ხან აწევით ხან დაწევით ზედ-მოქმედებს მსმენელზედ, ისრე ყოველი აქტორი უნდა ცდილობდეს, რომ არ იყვეს ერთგვარი და რაც-კი შეიძლება მეტად ასხვა-და-სხვაფერებდეს თავის თამა-შობას, მეტადრე დრამატიულ და ტრაგიკულ პიესებ-ში, საღაც გრძნობათა სიმწვავე და სიგრძე-სიღრმე ერთმანერთს ასწრობენ და შეუპოვრად მიმჩქეფარო-ბენ. აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ყოველი, იქ-ტორისათვის, სანამ როლის შესწავლას შეუდგებოდეს, ჯერგადაიკითხოს პიესა და არა ერთხელ, არამედ ათჯე-რაც; კრიტიკულად გაარჩიოს, დააფასოს ყოველი მოქმე-დი პირის ლირსება და ნაკლი. ესეთი კითხვა, იმის გარდა რომ თომაშობას დიდად შველის, აჩვევს აქტორს

ფიქრს და სერიოზულ მოსაზრებას, თვით მყოფელი აზ-  
რის შეძენას. უამისოდ ყოველი აქტორი მონურად ემორ-  
ჩილება მწერლის ავტორიტეტს, რაც ხშირად სრულე-  
ბით სასურველი არ არის, რადგან შეცდომას ვერ ვინ-  
წაუვა და მწერლებიც ხშირად ცდებიან. სანამ აქტორი  
თამაშობას დაიწყებდეს, უნდა მოისაზროს ყოველი ნა-  
ბიჯი, ყოველი სიტყვა, ყოველი მიხერა-მოხვრა, რომ წარ-  
მოდგენისდ როს ორ ნაირი მუშაობა არ მოუხდეს: თამა-  
შობაც და სწავლაც კარგად შეგნებული როლის თამაშო-  
ბას ის უპირატესობა აქვს, რომ აქტორს ერთი ორად  
უადვილდება ყოველივე სკენაზე. როცა აქტორი მომ-  
ზადებულია ჯეროვანად, მაშინ მისი თამაშობას, უფე-  
როც რომ იყვეს, მაინც შრომის ბეჭედი და ეტყობა და  
ნიჭი თავისას მაინც გაიტანს.

ძრიელ უნდა ერიდებოდეს აქტორი თავდავიწყე-  
ბას სკენაზე, გრძნობის დამონავებას და არც თუ  
ცივი უნდა იყვეს. მისი თამაშობა მაყურებლებზე ესთე-  
ტიურად უნდა მოქმედებდეს. ამაშია აქტორის უძნე-  
ლესი საქმე. ნამდვილს აქტორს ყოველთვის ზომიე-  
რად აქვს შეწყობილი თავის ბუნების სიფიცხლე გო-  
ნების სიღინჯესთან. რა თქმა უნდა, რომ აქტორის  
გამოთქმას, დიკუიას უმთავრესი ადგილი უჭირავს სას-  
ცენო ხელოვნებაში. აქტორი ისე უნდა ლაპარაკობდეს,  
რომ მისი ხმა ყველას ყოველ ალაგას ესმოდეს და  
იმავე დროს იმდენად მელოდიური იყვეს, რომ ყუჩს  
არ ღალავდეს, ყვირილს არ გავდეს და უსიამოენო  
შთცუჭდილებას არ მოახდენდეს, მაგრამ იმავე დროს,  
ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ერთს კილოზე ლაპარაკი,

ერთგვარობა ხმისა მეტად მავნებელია. ყველაფერი, რაც კი მაყურებლის გრძნობაში აღვლვებს, თუ ერთგვარის ხმით გამოითქმის, სუსტი და უღონოა. სიტყვა არის გამოხმა გრძნობისა.

ისე მნელი ჭრაფერი არ არის აქტორისათვის როგორც ჩვენება ყურძნებისა. მომეტებულად აქტორის წიჭი მხოლოდ ამით და შეიძლება დაფასდეს. თვითონ თამაშობა აქტორისა ნაჭირვევი და ნაძელად დევი არ უნდა იყვეს. მაყურებელი სიყალბეს მაშინათვე შეატყობის აქტორს. ყველაზი საერთოდ და ყოველი კერძოთ იმას უნდა ცდილობდენ, რომ შესაფერის სრული ზედგავლენა იქმნონ მაყურებელზე; ეს არის აქტორთა საგანი. ყოველ აქტორს მტკიცედ შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ იგი მხოლოდ ერთ ნაწილიდა რადმელსამე სავნისა და არამც და არამც თვით სავანი. სასკუნო ჟელოვნების საჩლეარი თვალ მოუნდობელია. აქტორს სრული შეძლება აქვს დაუბოლოვებელ წარმატების გზით იარჩეს, ამისთვის მხოლოდ საჭიროა, რომ აქტორი ჯერ მოიფიქრებდეს, სანამ იტყოდეს რასმე, ე. ი. ჯერ შრომობდეს და მერე თამაშობდეს.

აქტორის ხელოვნება ემორჩილება ორს უმთავრესს თვისებას ადამიანისას: კომედიაში ტემპერამენტს ე. ი. შინაგან აგებულებას და ტრაგედიაში ვნებას და შრაბეჭდილებას, კომედიაში აქტორის ტემპერამენტი ჰქმნის ტიპს და ხასიათს, ტრაგედიაში-კი საჭიროა ვნებითა ქლიერება და შთაბეჭდილება. ვნებათა სალას და ტემპერამენტს კული ფერ შეიძენს თუ ბუნებითვე არ

აბადია. ვერც გამოუდილება, ვერც უწომო სწავლა  
და მუშაობა ვერ მისცემს აქტორს ზემოდ ხსნებულ  
თვისებათა.

ბევრი რომ ითქმის სასცენო ხელოვნებაზე, მთე-  
ლი წიგნები დაიწერება იმაზე, მაგრამ ჩვენ არც უნთ  
და არც საგანი ნებას არ გვაძლევს, რაც ესთქვით ამა-  
ზე მეტი ვილაპარაკოთ. ყველაფერი ზემოდ თქმულა-  
დამ აშკარად სჩინს, რომ ნამდვილს არტისტს ხელოვ-  
ნური თამაშობისათვის ეჭირვება: რომ მას ისეთი ბუ-  
ნებრივი აგებულება ჰქონდეს, რომ ყოველს მოქმედი  
პარის სულსა და ტყავში ჩაძვრეს; ისე მალე იგრძნობა  
დეს მწერლის აჩრის და გაახორციელებდეს იმას, რო-  
გორც კარგი ჩონგურის სიმები დამკვრელის თითის  
მიკარებით სასიამოვნო ხმით ეღერიან.

საჭიროა, რომ აქტორის შემოქმედებითი ნიჭი  
შორს-გამსჭვრეტი და ღრმა იყოს, რომ ყოველსავე  
ცხოვრების და მოვლინებათა წვრილმან სახასიათო  
თვისებებს იგნებდეს და მათს დაფასებასა და გარჩევა-  
ში შედიოდეს. აქტორს უნდა ჰქონდეს მეტად ნაზი  
და იმავე ღროს მეტად ძლიერი და ღრმა შთაბეჭდი-  
ლება, რომლის წყალობით მას შეეძლოს უკიდურესი  
მდგომარეობათა, ღრამატიულ და ტრადიკულ გრძნო-  
ბათა გშმულანება, რათა მისი თამაშობა ღიაძლი და ბუ-  
ნებრივი იყოს. აქტორს უნდა ჰქონდეს სწრაფად შეგ-  
ნების და განხრუიელების უნარი, რათა მწერლისაგან ალ-  
წერილი მდგომარეობა სწრაფად შეიგნოს და წარმოიდგი-  
ნოს და იმ წამსვე გაახორციელოს კიდეც. აქტორი  
როდი უნდა ელოდეს შემთხვევას თავის აღელვებისა

და ათროლებისათვის, იგი თავის ნებით და სურვეი-  
ლით უნდა იწვევდეს თავის თავში სიმხიარულეს და  
სამწუხარეს. საჭიროა აკრეთვე აქტორისათვის ზომიე-  
რობის გრძნობა, რათა არც რა მოაკლოს და არც-  
რა მოუმატოს როლს. როგორც მომეტებული სიძუნწე,  
აფრეთვე უთავბოლო ხელ-გაშლილობაც მავნებელია  
სცენაზე. ზომიერობას ჰპადებს გონებრივი მოსაზრება  
და განვითარებული ჭყუა, რაიც აქტორისათვის ჯუცი-  
ლებელია. რაც შეეხება გარეგნობას აქტორისას აქაც  
საჭიროა ზოგიერთი პირობები, ჯეროვანი ზედ-გავლე-  
ნისათვის მაყურებლებზე. საჭიროა, რომ აქტორს თა-  
ვის ნიჭის საჩივიელოსათვის შესაფერი ტანთ-აგებულება  
ჰქონდეს, მიხერა-მოხერა ლაზათიანი, პირის სახე  
მოძრავი და მეტყველური თველები, რათა ამათ სა-  
შუალებით შეიძლოს ყოველის შინაგანის გრძნობის  
გარეგნად ხელოვნურად დასურათება. მიხერა-მოხერით  
და თავის დაჭრით, უნდა ხატავდეს იმ ხასიათს  
თუ ტიპს, რომელსაც არღენს და ბოლოს უნდა  
ჰქონდეს ხმა, ყოველისფრის გამომთქმელი, მუსიკა-  
ლური და მელიდიური, მრავალ გრძნობათ გამოხატ-  
ვისათვის. ხმა ყურის გარდა, გულსაც უნდა ხვდებო-  
დეს და ათას გვარ ჰანგზე აულერებდეს მაყურებლის  
გულსა და სულს. ყველა ამას უნდა დაემატოს შრო-  
მა და მეცადინეობა, ფიქრი და მართებული მოსაზ-  
რება, მსჯელი გონება, დაკვირვების ხალისი და უზო-  
მო სიყვარული თავის საგნისა. ამით ვათავებთ ჩვენს  
საუბარს სასცენო ხელოვნებაზე, რომელიც მუდამ, კა-  
ცობრიობის უხოერებასავით, ცხოველია და თვითონ-  
კაცობრიობის სხეულშივე ბინადრობს.

## თეატრის შნაშენელი

თეატრი, ძალა-უნებურად გადაიქცა ერთი უძლიერესი. ზედ-მომქმედათ ქალაქის მცხოვრებლებზე, მეტადრე ამ უქანასკნელის ათის წლის განმავლობაში თეატრის ნაყოფიერი ზედგავლენა ჩვენ ერზედ ეჭვის. გარეშე უნდა იყოს. ღრამატიული და სასცენო ხელოვნებამ ჩვენში, ძრიელ ადვილად მოიდგა ფეხი. თეატრი საერთო მოთხოვნილებათ შეიქმნა და ამ შემთხვევაში არაფერი არ შეეძრება მას. ჯერ ჩვენში სხვა ხელოვნება არც კი აღორძინებულა, და რომ ყოფილიყო კიდევაც, მაინც ისე საერთო კუთვნილებად არ იქნება, როგორც თეატრი. სხვა ყოველისფერს რომ თავი დავანებოთ, ადგილების სიათე მაინც ყველასათვის შესაძლებელს ხდის თეატრში ყოფნას. ყოველს დარიბ კაცსაც შეუძლიან დაეწროს. თეატრში წარმოდგენას, რომელშიაც ცოტად თუ ბევრად ყოველთვის ხედავს საერთო სიცოცხლის მაჯის ცემას. ჩვენში თეატრი მარტო დროს გასატარებელი და თავ-შესაქცევი როდია, იგი საერთო სკოლა და მასწავლელია.

თეატრი და სასცენო ხელოვნება ნაყოფია აღაშიანის მოსვევნების წალილისა, მისის შინაგან გრძნობათა და დაკმაყოფილების სურვილსა. თეატრი ხელს უწყობს და შველის ცხოვრების კანონს და საღაც საერთო კანონების ძალა თავდება, იქ იწყება ზნეობრივი კანონების მოქმედება ხალხზე და ამ ზნეობრივ კან-

ნების სამსჯავრო მხოლოდ თეატრია. თეატრი სჯის ყოველისფერს მრუდეს და უწესოს და იმავე დროს სიბოროტეს და სისაძაგლეს გვერდით გვიჩვენებს სიკეთეს, სრულს ზნეობას და ჭეშმარიტებას. თეატრი თვალს გვიხელს და გვაფრთხილებს ყოველს ცხოვრების განსაცდელისაგან, რომელნიც წარმოსდგებიან უძეტეს შემთხვევაში ადამიანის ულონოობისაგან, გულის თქმისა, უგნურებისა და უზნეობისაგან. თუ მრუდე კაცის გარანდვა არ შეუძლიან თეატრს, მათს სიმრუდეს ხომ მაინც უჩვენებს დანარჩენებს, და პირბადე ახდილი უწესობა თუ არ დაიმალება თეატრის მკაცრი სიცილის წინაშე, ჩვენ ხომ მაინც გაგვათრთხილებს და შეგვაზარეს იმათ ნახვით. თეატრი გვასწავლის ადამიანის სიყვარულს, გაჭირვებულის თანაგრძნობას, უბედურების დახმარებას, უმწეობის შემწეობას და უწყნაროთა შეწყნარებას.

თეატრის წყალობით ხალხთა შორის ხდება ახლოდ დაკავშირება, ერთმანერთის გაგება და გაცნობა, საერთო წადილთა და სურეილთა ერთად შედულება. თეატრი მარტო აწ-მყოს არ გვაჩვენებს, თუ წარსულსაც ცხოვლად გვანახვებას.

თეატრისთანა საოცარი ზედ-გავლენა, მისთანა ძლიერი და შეუფერხებელი მოქმედება კერძოთ ყოველს კაცზე და საზოგადოს მრთელს ხალხზე შეუძლებელია. ისე არაფერი ასაზრდოებს და განვითარებს ადამიანის სულიერს და გონიერს მოთხოვნილებას, რაც არაუგრი აცხოველებს და აშალლებს კაცს, როგორც სათეატრო ხელოვნება, თეატრში

სცენაზე ყველა ხელოვნებანი თაეს ერთად იყრისნა: მწერლობა, პოეზია, მუსიკა, მხატვრობა, არხიტექტურა, ხელოვნებული და სხვა. ამ ერთობილი ხელოვნებათაგან, და-ქმურად გადახვეულნი და დაკავშირებულნი ნაწილებიდამ შემდგარი ძლიერება—თეატრი-წარმოვეთგენს ერთს ახალს სხეულს, ერთს კერძო ქვეყანას. თეატრში-სცენიდამ ლალადებს ყოველი ნათელ-ცხოველი აზრი, სცენიდამ იგმირება ბიჭიერება, სიბოროტე და სასაძაგლე, ხოლო იქიდანვე გაისმის სიმართლის ქება, ზნეობის და სიკეთის დღება.

ღრამა ხელოვნური ცხოვრებაა და ამ ღრამის უკიდურესი წერტილები-ტრაგედია და კომედია-ალავარდოვანებს ხალხის სიბრძლით და წყვდიადით ძლევა-მოსილ გონებას, არბილებს და ანაბებს მის გაკერ-პებულ გრძნობას, გაქვავებულ გულ-გრილობას, სწმენდს და ასპეტაკებს ცხოვრებას ფანგისაგან.

როდესაც სცენაზე ორ-სამ საათის განმავალობა-ში მაყურებლის თვალ წინ ფართოდ და ნათლად იშ-ლება და იხსნება რომელიმე ხელოვნური ნაწარმოვების სიმღიდრე, როდესაც სცენაზე სახიერად მოძრაობენ დასურათებული ჭკუა და გონება, ზნე და ჩვეულება ვნება და მოვალეობა, როდესაც ხელოვნურის წარ-მოდგენით აღზნებული და გამოწვევული ადამიანის გულის თქმა, ადულებულ წყალსავით სჩქეფენ და ჩუხ-ჩუხებენ, როდესაც გრძნობა შიშისა და შესაზარისისა, სიმხიარულისა და თავ-დაუჭერელი სიცილი-კისკასისა, გრძნობა დიადობისა, უმაღლეს ძლიერე-

ბათა და თავ-განწირულობის მაგალითებისა ჰქექა ქუჩა  
ლივით რიგ-რიგად, ზედი-ზედ მოქმედებენ მაყურებელზე,  
როდესაც ამ უეცარ გრძნობათავან წარმოდან ებული  
ცხოველ-ნათელი აზრები, სათას ნაირს საკითხეას აღვი-  
ძებენ ადამიანის გონებაში და ათას ნაირადვე ფ-  
ლერებენ მის გულის სიმებს, როდესაც სული აღ-  
შუოთებულია და ადამიანის მთელი ბუნება აღელ-  
ვებულია ხელოვნური პიესის ნახვით და ხელოვ-  
ნურისვე წარმოდგენით სცენაზე, მაშინ ეჭვს გარე-  
შე უნდა იყოს ხალხის გონებათი და ზნეობითი  
აღზრდა და განათლება.

უთეატროდ ვის ეცოდინებოდა შექსპირი, ში-  
ლერი, მოლიერი, გეტე, ბომარშე, ლოპოდევეგა,  
კოლდერონი, რასინი, კორნელი, ლესინგი, გოგოლი  
და სხვა გამოჩენილ დრამატიულ მწერალთა სახელი?  
მხოლოდ ოთატრის წყალობით უიკით მრავალთა გა-  
მოჩენილ ნიჭთა და გენიოსთა აზრები, მათი იდეა-  
ლები, ზნეობრივი ლტოლვილებანი და პატრიტუსანი  
და მაღალი სურვილი და განზრახულებანი, მრავა-  
ლი ნიჭიერი არტისტების სწორ-ხელოვნური და სრუ-  
ლი-თამაშობა-რაც ხალხის უმრავლესობისათვის დღეს  
გასაგები, თვალ-დასანახი და ადვილად შესავნებია.

მართალია, წიგნი და განათლება ბევრს აძლევს  
საშუალებას უთეატროდაც გაიზიაროს დრამატიული  
მწერლობის საუნჯე, მაგრამ განა ასის, ათასის და  
თუნდა ათი ათასის ცოდნა, საერთ — საქვეყნო ცო-  
დნა და განათლება არას? ერთს განათლება და ცო-  
დნა გამოიხატება არა ერთისა და ორას ან სამისა

შაგალითით, არამედ საერთო სწავლა-განვითარებით. ხალხის დღეგრძელობა მდგრმარეობს იმ საგრძების სა- ერთოდ სარგებლობაში, რომელიც მხოლოდ ზო- გიერთი არჩეულ პირთა საკუთრებას შეადგენს. სცე- ნის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მის ზედგავლენის ქვეშ შეუძლიან იყვეს ყოველი კაცი, ეისაც ყურთა სმენა და თვალთა ხილვა აქვს. წარ- მოდგენის დროს ადამიანის უმთავრესი ორგანოები თვითოვეული კერძოდ და ყველანი ერთად მონა- წილეობას ღებულობენ იმ შთაბეჭდილებაში, რო- შელსაც იძლევა სცენა ხელოვნურის თამაშობით. ხშირად მაყურებელს ისრე გაიტაცებს პიესის სიუ- მშეენიერე და არტისტთა ხელოვნური თამაშობა, რომ მას სრულებით ავიწყდება თავის-თავი და მთლად შეპყრობილია იმ ზედ-გავლენით, რომლის ქვეშ იმყოფება. განა სხვა რამე ხელოვნებას შეუ- ძლიან ადამიანზე ასეთი ძლიერი გავლენა იქნიოს? ამიტომაც ავბობენ ხოლო, რომ თეატრისთანა ძლიე- რი და შეუფერხებელი ზედ მომქნევი ძალა არაფე- რი, არისო.

თეატრი რომ არ ყოფილიყო, კაცობრიობის ისტორიაში ისეთს უშეცრებით და სიბრელით ძლევა მოსილ ფურცლებს შევხდებოდით, რომლის ვა- ნათლება შეუძლებელი იქნებოდა. ყველა ის ცხო ეცლ-ნათელ, პუმანიურ აზრთა და განზრახულებათა ხროვა, რომლით დღეს კაცობრიობა სარგებლობას და თავმომწონეობას, უთეატროდ, თვინიერ დრამა- ტიულ ხელოვნებისა სრულიად გაუგებარი დარჩებო-

და ხალხის უმთავრეს ნაწილისათვის, ე. ი. გაუ-  
ნათლებელთათვის, მეტადრე მათთვის, რომელიც  
მთელს სიცოცხლეს განუწყვეტელ ჯაფასა და დღი-  
ურ სარჩო-საბადებელის ძებნაში ატარებენ და მა-  
შასადამე შეადგინენ იმ უმრავლესობას, რომელიც  
ეწოდება „ხალხი“, ვერც ერთი შესანიშნავი და გა-  
მოჩენილი წიგნი, ვერც ერთი უმჭევრები სიტყვა.  
საზოგადო მოღვაწისა, ვერ მისცემდა ხალხს იმას,  
რასაც აძლევს მას ტეატრი, რასაც აძლევს მას  
დრამატული და სასცენო ხელოვნება!

ვიმეორებთ, რომ თეატრს დიდი მნიშვნელო-  
ბა აქვს ხალხთა განათლებაში, ეროვნების დღვ-  
ერძელობაში, მათს ზნეობრივ ძალ-ლონის გორკე-  
ცებაში, მაგრამ, როგორც ყვლგან, აქაც საჭიროა  
ზოგიერთი აუცილებელი პირობა, ნამდვილ სარგებ-  
ლობის შოტანისათვის.

თეატრი მაშინ ასრულებს თავის შაღალ დანი-  
შნულებას, მაშინ მიაწევს თავის დიდს საგანს და  
საპატიო განზრახულებამდე, როდესაც თეატრში ხალ-  
ხი მუდამ ივლის და გაჭედილი იქნება. ხოლო ამი-  
სათვის ზაჭიროა, რომ თეატრი გადიქცეს ხალხის  
მოთხოვნილებად, საიდამაც წყლელს მოკველა შე-  
ეძლოს. საჭიროა, რომ პიესები, წარმოდგენები და  
თამაშობა ნიჭიერი და ხელოვნური იყოს, მაშინ  
ხალხი ნება-უნებურად დაიძრება თეატრისაკენ და  
მუდამ ივლის.

როგორც წინედ ვსთქვით თეატრი ფრიად სა-  
სარგებლო მოგონილებაა ხალხის კეთილ-დღეობი-

სათეას, მაგრამ როგორც ყოველს საქმეში, აქც  
 შესაძლებელია სერგებლობის მაგიერად ვნება მო-  
 ხდეს. თუ თეატრი ჯეროვანად არ იქნება გა-  
 მართული, და სათავეში მცოდნედა ჰატიოსანი პი-  
 რები არ იქნებიან დაყენებული, მაშინ როგორც  
 სარგებლობის მოტანა შეიძლება აგრეთვე ზიანიც და  
 ვნება ცალკეულია. ამ შემთხვევაში ხალხს დიდი ზარალი  
 ეძლევა ზეობრივ და გონიერივად. სცენა მავნებე-  
 ლია, როცა იმის მაგიერად, რომ ბიწიერება, ასი-  
 ბოროტე და სიმრუდე სთელოს და გმიროს, იგი  
 ელაქუცუნება ბოროტებას და პირბადეს აფარებს  
 სიყალბეს, როდესაც სცენა ისეთის სამოსელით და  
 სამკაულებით ირთვება; რომელნიც ხელს უწყობენ  
 მაყურებლის პირუტყვისებურ ინსტინკტებს და მდა-  
 ბალ სურვილებს, როდესაც გარეუნილობას და მრუ-  
 შობას სასიამოენოდ ხდის. თეატრი საწამლავია  
 ხალხისათვის, როდესაც ართობს, ანაზებს და უა-  
 ლერსებს საზოგადოების სამარცხვინო ზე-ჩვეულე-  
 ბას. სცენა ამასინ ჯებს ტალხის გონებას, აჩლუნ-  
 გებს მისი ჭკუის სიმახვილეს, როდეს ცხოველ-ნა-  
 თელ აზრების მაგიერად, გაისმის გაცვეთილი  
 უსაგნო თხუნჯობა, მტკნარი სისულელე და თავ-  
 მომწონე უეიცობის სხაპა-სხუპი. სცენა რყვნის  
 ხალხის გონებას და ზეობას, ხრწნის მის კეთილ  
 ბუნებას, როდესაც წრფელის, ჰატიოსანის და პირ-  
 უფერო გრძნობათა მაგიერად, სიცრუვე, სიმურდე  
 და მლიქენელობა დაიწყებენ მასზედ ნავარდობას;  
 ხალხის დღეგრძელობა შუა გზაზედ ჩერდება, და ხში-

ჩადა უკანაც იწევა. როდესაც თეატრში ნიჭის და  
შრომის მაგიერად ბინას იმკვიდრებს უნიჭო სიზარ-  
მაცე და თავ-მომწონე სიბრიყეე. უველაფერი, რაც  
ესთქვით, შეეხება საზოგადოთ მწერლებსაც, არტის-  
ტებსაც, წარმოდგენის მმართველებს და სხვა თეატ-  
რის ბეჭ-იღბლის გამგებლებსაც:

ყოველივე ზემოდ ხსენებულის სენის ასულებ.  
ლად, საჭიროა, რომ თეატრის დროშა ხელთ ეპურას  
ყოველის მხრით განვითარებულა, ნიჭიერს და სანდო  
კაცს, რომელიც გამსჭალული უნდა იყენო ამ სა-  
ერო საქმის სიყვარულით. საჭიროა, რომ პიესები  
მდიდრნი იყვნენ შინაგან ღრძნებით, ცხოველ,  
მყოფელ დედა-აზრით, — მშვენიერნი გარეგანის აგე-  
ბულობით და სერიოზულნი შემუშავებით. საჭიროა,  
რომ მოთამაშენი ღირსნი იყვნენ თავიანთ შალა-  
ლის დანიშნულებისა და მძიმე მოვალეობისა: ნი-  
ჭიერნი, მშრომელნი, ბეჯითნი და საქმის ერთ-  
გულნი. საჭიროა, რომ თეატრში და სცენაზე სრუ-  
ლი რიგიანობა და წერილება სუფედეს, — მაშინ  
და მხოლოდ მაშინ თეატრი შეისრულდებს თავის:  
მოვალეობას და მაღალ დანიშნულებას, მხოლოდ  
მაშინ გამართლდება ის მნიშვნელოვანი სიტყვა:  
„თეატრი სკოლაა და მისი ნაყოფი საერო მარგება-  
ლობით“.


ამით ვათავეთ ჩერტის წიგნაქს და ვისურებოთ;  
რომ ქართულს თეატრს და სცენას, ქართულ დრამა-  
ტურვებს და ქართველ არტისტებს თან და თან ძალა-  
უნე ემატებოდეს, რათა ქართველ ერს წარმატება

ემარჯვებოდეს ამ ძნელ დროსა და გასაჭირ მდგო-  
მარეობაში.

თეატრი ის მიღია, რომლიდამაც იმედის წყა-  
რო მოჩრიალებს და ყოველი ქართველი უმდა ცდი-  
ლობდეს, რომ ეს მიღი კვიშით და ლამით არ გაიხი-  
როს და იმედის წყარო არ შეწყდეს, — მაშინ ქართუ-  
ლი თეატრი არამც თუ ათის, არამედ ასის და მე-  
ტის წლის ღვაწლსაც იდლესასწაულებს ჩვენი ერის  
და ქვეყნის სასიქალულო და საბედნიეროდ....

P. S. ბოლიშ ვიხდით ჯერ მეითხველებთან იმ  
კორექტურული შეცდომებისათვის, რომელნიც სიჩქა-  
რის გამო არ აგვიდა ამ წიგნაკში და მერე ჩვენ  
პატივცემულ ქალ-არტისტი მარიამ მარიამ მარიამის  
ქალთან (ლეონიძისა) რომ ამ აქერებაში დაგვავიწყ-  
და მოგვეხსენებია თავის ადგილზე მ. მარიამის ქა-  
ლი. ამ პატივცემულ ქალ-არტისტს კარგი სამსახური  
მიუძღვის ქართულ სცენის მიმართ. მის ხელოვნურს  
და გონივრულ თამაშობას მრავალ ჯერ დაუტკბია მა-  
ყურებელთა ესთეტიკური გემოვნება. განსაკთოებით  
კარგი აყო მ. მარიამის ზოგიერთს ბებერ ქალე-  
ბის როლებში. — იმის თამაშობას დიდი ნაჭის შექი  
არ ეტყობოდა, მაგრამ ყოველთვის სრულს და ჯე-  
როვანს შთაბეჭდილებას ახდენდა ხალხზე. ამ ფარად  
მ. მარიამისა გათხოვდა და სცენაზე არა თამაშობს.  
ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მ. მარიამისა,  
როგორც სცენაზე ისე ცხოვრებაშიაც სასარგებლო  
და ბეჭითი წევრი იქნება საზოგადოებისა.

792  
8955



— ፳፻፭፻ የፌዴራል አዲስአበባ —